
№ 19 | შემოდგომა/ზამთარი 2021/22 | 5₾
NARGIS
GEORGIA
Fall/Winter
2021 Trends
ექსკლუზივი
ტილდა სვინტონი
Rendez-vous
au château


Feel the comfort everywhere with Primeclass
Primeclass offers you a privileged travel experience with its CIP and VIP Services on arrivals and departures, luxurious business lounges, transit services and transfers from/to airports.
CIP & VIP Service
Transit Service
Transfer from/to Airport
Business Lounges
primeclass
Tbilisi Tel: +995 322 310 330
www.primeclass.com.tr
@tavprimeclass


BLOOMS
Tbilisi
14 Daniel Chonkadze Street, Tbilisi, Georgia

# NARGIS


**მთავარი რედაქტორი** თაკო ჩხეიძე | Editor-in-Chief TAKO CHKHEIDZE

**აღმასრულებელი დირექტორი** ნინო დიასამიძე | Executive Director NINO DIASAMIDZE

**აღმასრულებელი რედაქტორი** ნინო მურღულია | Executive Editor NINO MURGHULIA

**მოდის რედაქტორი** ანანო დოლაბერიძე | Fashion Editor ANANO DOLABERIDZE

**ნომერზე მუშაობდნენ**

ნიგარ ორუჯოვა / NIGAR ORUJOVA / ირინა ბელანი / IRINA BELAN /
სონა ნასიბოვა / SONA NASIBOVA / ტატიანა როზენშტაინი / TATIANA ROSENSTEIN

**თარგმანი რუსულიდან** ნინიშა ჩლაიძე | Translation from Russian NINISHA CHLAIDZE

**თარგმანი ინგლისურიდან** კობა ჯანიაშვილი | Translation from English KOBA JANIASHVILI

**სტილი** ნინო ლურსმანაშვილი | Style NINO LURSMANASHVILI

გუნდი

დიზაინი

ნინო ჭინჭარაული | NINO CHINCHARAULI

ფოტო

თაკო სკრიპნიჩენკო / TAKO SKRIPNICHENKO
ბექა ჩოკოშვილი / BEKA CHOKOSHVILI
გიორგი პაპიძე / GIORGI PAPIDZE
ტატიანა გრესა / TATIANA GRESSA
შოთა გოთოშია / SHOTA GOTOSHIA
ლერა პატეიშვილი / LERA PATEISHVILI

ავტორები

გარეკანი




Starring: LIZI GODZIASHVILI, REZI ABRAMISHVILI
GEOMODELS AGENCY
Photo: TAKO SKRIPNICHENKO
Style: ANANO DOLABERIDZE
Apparel: MANGO
Stylist: DATA ALEKSEEV
Makeup: LANA / MAC COSMETICS TBILISI
Location: CHATEAU MUKHRANI


ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს NARGIS–ის საკუთრებას.
ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გამოცემის სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ჟურნალი NARGIS–ი არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.

**რეკლამა ჟურნალში:** 577 22 25 00

facebook.com/NargisGeorgia   instagram.com/nargis - georgia







4 - 6 გვ.
რედაქტორისგან

12 გვ.
TRENDS

22 გვ.
FASHION WEEK

36 გვ.
ინდივიდუალიზმი, როგორც ხელწერა

40 გვ.
IN THE CITY

48 გვ.
ვარსკვლავების პირადი სტილისტის გზა წარმატებამდე

54 გვ.





WINTER START

70 გვ.
მე მიყვარს DIOR

72 გვ.





*Rendez-vous au château*

90 გვ.
BEAUTY TRENDS

94 გვ.
3 რეკომენდაცია სალომე ღვინიაშვილისგან

98 გვ.





Don't Focus


„ნარგისის" ჟურნალი, ასევე, ვენი გამორჩეულად ელოდება ახალგაზრდა ნიჭიერ ადამიანებს საკუთარი პროექტებითა და ხედვებით, რომელთაც კიდევ უფრო ფართოდ გავუხსნით ჩვენს კარს

"სუნამოს ყიდვისას არც თუ ხშირად ვფიქრობთ, რა ემოციური გზავნილი ახლავს მას თან"

ეს იყო ჩემი პირველი აღმოჩენა, რომელმაც თვალი ამიხილა იმაზე, თუ როგორ მუშაობდნენ საკულტო ბრენდები

# ახალი შესაძლებლობები...


photo GIORGI PAPIDZE, DIGITAL STUDIO
appare WEEKEND MAXMARA

ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐ - ᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲛᲐᲡ ᲨᲔᲕᲔᲒᲣᲔᲗ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ. ᲤᲔᲮᲘᲪ ᲐᲕᲣᲬᲧᲕᲔᲗ, ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲓᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲘᲢᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐᲪ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲡᲐᲘᲢᲛᲐ ᲙᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲑᲐ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ.
ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲛᲐ ᲪᲘᲤᲠᲣᲚ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲜᲐᲪᲕᲚᲐ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲣᲚ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ ᲓᲐ „ᲜᲐᲠᲒᲘᲡᲘᲡ“ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲡ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲔᲜ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲡ... ᲐᲛᲐᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲡ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ, ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ-ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲐ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲕᲐᲛᲐᲧᲝᲑ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲣᲮᲓᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲒᲣᲜᲓᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓᲐᲪ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲗ ᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ...

შედეგიც აშკარაა – თქვენ უკვე გიჭირავთ ხელში ჩვენი ჟურნალის შემოდგომა–ზამთრის ნომერი. კიდევ ერთხელ ვიხსენებ, პარიზში სანაპიროზე სეირნობისას როგორი დიდი ინტერესით ვათვალიერებ ხოლმე იქ გამოფენილ ძველ წიგნებსა და ჟურნალებს, ვეცნობი სტატიებსა და იმას, თუ რა იყო მოდური წლების წინათ, სხვა ეპოქაში...

ვფიქრობ, „ნარგისმაც“ შექმნა საკუთარი ისტორია. ისიც გვახარებს, რომ გამოცემით დაინტერესებულია არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო კომპანია და ჩვენი თანამშრომლობის არაჩვეულებრივ ნაყოფს ახალი ნომრის ფურცლებზე იხილავთ „მანგოს“ თავგადასავლებით სავსე გადაღებაში, თუ „მაქს მარასა“ და „ტვინსეტის“ შესანიშნავი კოლექციების გაცნობაში. მსოფლიო ვარსკვლავებთან „ნარგისის“ მიერ ექსკლუზიურად ჩაწერილი ინტერვიუები ნამდვილად აღარ არის სიახლე ჩვენი მკითხველისთვის, თუმცა ახალი ნომერი ამ მხრივაც გამორჩეულია... და რა თქმა უნდა, ქართული ღვინო, რომლითაც სულ ვამაყობთ და ახლა ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია – მით უმეტეს, რომ კიდევ ერთხელ გავიგეთ იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ ქართულ მეღვინეობაში ქალები, რომელთა შესახებაც დაწვრილებით მოგითხრობთ...

ღვინო ვახსენეთ და – ერთი ჭიქა ნებისმიერი კარგი ქართული ღვინით ხელში, ვფიქრობ, მოსალოდნელ ცივ დღეებში, ჩვენი ჟურნალის ახალი ნომრის გადაფურცვლით მყუდრო გარემოს ნამდვილად შეიქმნით...

დაბოლოს, სიახლით დავასრულებ: ჩემთვის სულ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ახლა განსაკუთრებულად მინდა გავუსვა ხაზი – „ნარგისის“ ჟურნალი, ასევე, ვები გამორჩეულად ელოდება ახალბედა ნიჭიერ ადამიანებს საკუთარი პროექტებითა და ხედვებით, რომელთაც კიდევ უფრო ფართოდ გავუხსნით ჩვენს კარს. პანდემიამ დაგვანახვა, როგორ სჭირდებათ ადამიანებს ერთმანეთის გვერდში დგომა. გვინდა, ამის მაგალითი ჩვენი სფეროს წარმომადგენლებს ვაჩვენოთ, ასე რომ, გელოდებით საინტერესო იდეებით!..

თაკო ჩხეიძე
მთავარი რედაქტორი





108 გვ.
DEO - ახალი სილამაზის სალონის ყველა პროცედურა და პროდუქცია გარანტირებული შედეგისთვის!

116 გვ.
გზავნილი ფლაკონში

148 გვ.



ცხოვრება კადრს მიღმა

120 გვ.



ენტონი ქუინის მოქანდაკე შვილის ცხოვრება წაგების გარეშე

თუ მინდა, რომ ჩემი ესმოდეთ, სხვებისთვის გასაგები ხელოვნება უნდა შევქმნა

156 გვ.
ქართული ემოციის გადაშლილი წიგნი WINE LIBRARY

162 გვ.
მცირე მარნის დიდი წარმატება - „მეღვინეობა პის“ „გრანდ გოლდი“

128 გვ.
არაფერია ისეთი სექსუალური, როგორც საკუთარ თავში დარწმუნებული ქალი...

168 გვ.
მერიკოსთან, „ნინიას ბაღში“

არასდროს მაინტერესებდა ფილმები, რომლებიც პოპულარობას და დიდ ფულს მომიტანდნენ

138 გვ.


ᲢᲘᲚᲓᲐ ᲡᲕᲘᲜᲢᲝᲜᲘ

174 გვ.
ჰოლივუდის ვარსკვლავების მიერ ტრადიციად დამკვიდრებული ბრანჩი - გემრიელი გვიანი დილა „თბილისი მარიოტში“

178 გვ.
„სოკარი“ - სოციალური პასუხისმგებლობის 15 წელი

# STYLISH CALMNESS

შემოდგომა–ზამთრის განწყობას ავიმაღლებ მშვიდი პასტელური ფერებით, ლამაზი სილუეტით და კლასიკური დახვეწილობით.

## 1. NANUSHKA

ამ პალტოთი მისი გამორჩეული სილუეტისა და ფერის გამო მოვიხიბლე





## 2. AMI PARIS

ზამთრის ცივ დღეებში ამ კაბაში თავს თბილად და ელეგანტურად ვიგრძნობ



## 3. SAINT LAURENT

ჩემი გარდერობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნივთი კარგი ჩანთაა



## 4. THE FASHION BOOK



## 5. SAINT LAURENT



## 6. BABOR

სილამაზის პროდუქტებს შორის ეს ბრენდი ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენაა



## 7. BOTTEGA VENETA



## 8. GUCCI

მოდური აქსესუარი ჩაცმულობას სრულყოფილს ხდის



## 9. JO MALONE

ზამთრის საუკეთესო საყვარელი სანთლები გვიქმნის



## 10. BYREDO



## 11. VAZISUBANI ESTATE

ადგილი, რომელიც აერთიანებს სიმშვიდეს, დახვეწილობასა და კლასიკას

# NARGIS

FASHION, ART AND BEAUTY




www.nargismagazine.ge




გვ. 9

# FASHION

MERIC DAGLI

# SHOP THE LOOK

სამოსის საინტერესოდ წარმოჩენა VICTORIA BECKHAM-ის კოლექციების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი შტრიხია ყოველთვის. ჩაიცვით მაღალყელიანი თბილი სვიტერი, ზემოდან გადაიცვით ფერადყვავილებიანი კაბა და შეუხამეთ ღია ფერის მაღალყელიანი ჩექმა.



VICTORIA BECKHAM F/W 2021








# Season's MUST HAVE



## Saint Laurent Hobo Logo Bag

„სენ ლორანის“ პატარა ჰობო ჩანთა ბრენდის ლოგოთი ამ სეზონზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და ტრენდული მოდელია, რომელიც დაამშვენებს თქვენს ყოველდღიურ თუ გამოსასვლელ ჩაცმულობას.



VALENTINO F/W 2021

ISABEL MARANT F/W 2021

PRADA F/W 2021

GIORGIO ARMANI F/W 2021

CAROLINA HERRERA F/W 2021

DOLCE & GABBANA F/W 2021

ALBERTA FERRETTI F/W 2021

MICHAEL KORS F/W 2021

# SHINE OUT

ზამთარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია, რადგან ამ დროს საკმაოდ ბევრი დღესასწაულია, ასეთ განსაკუთრებულ დღეებს კი გამორჩეული ჩაცმულობა სჭირდება. გააკეთეთ არჩევანი მბზინავ, ბრჭყვიალა სამოსზე და გამოხატეთ თქვენი ემოცია სამოსით.





VALENTINO F/W 2021

MICHAEL KORS F/W 2021

VICTORIA BECKHAM F/W 2021

THE ROW F/W 2021

TORY BURCH F/W 2021

RALPH LAUREN F/W 2021

# WELL-TAILORED

ბოლო რამდენიმე სეზონია, ორეულები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს დიზაინერების კოლექციებში და მათ ფართოდ გვთავაზობენ ისეთი მოდის სახლები, როგორიცაა: THE ROW, CHRISTIAN DIOR, VALENTINO, SANDRO და სხვა. აუცილებლად აირჩიეთ თქვენი ფავორიტი ორეული, იქნება ეს შარვალი და პიჯაკი, თუ ქვედაბოლო და პიჯაკი. ეს არის ის, რაც ამ სეზონზე უნდა გქონდეთ გარდეროზში.







MICHAEL KORS F/W 2021

ALBERTA FERRETTI F/W 2021

JACQUEMUS F/W 2021

CHLOÉ F/W 2021

TORY BURCH F/W 2021

OFF-WHITE F/W 2021

ISABEL MARANT F/W 2021

# NUDE TONES

შემოდგომაზე კრემისფერი, ბეჟი და ყავისფერი უპირობოდ ლიდერი ტონალობებია. ჩაიცვით ნებისმიერი სამოსი, რომელიც ამ ფერთა პალიტრიდანაა, ასე ხაზს გაუსვამთ თქვენს მოდურობას სეზონის შესაბამისად.



CHLOÉ F/W 2021

BOSS F/W 2021

ISABEL MARANT F/W 2021

CHANEL F/W 2021

STELLA MCCARTNEY F/W 2021

VICTORIA BECKHAM F/W 2021

GIORGIO ARMANI F/W 2021

# COATS! COATS!

2021 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციაში სხვადასხვა სტილის, ფორმისა და ფერის პალტოები იყო წარმოდგენილი, თუმცა, რა თქმა უნდა, ჭარბობდა ბეჟი, ნაცრისფერი პალტოები კუბოკრული პრინტით, ან პრინტის გარეშე, სადა ვარიანტი. შემოგვთავაზეს როგორც სწორი კლასიკური ფორმის, ისე გაშვებული, ე. წ. OVERSIZED პალტოები, რომლებიც უკვე წლებია, მოდურია.



VALENTINO F/W 2021

ALBERTA FERRETTI F/W 2021

RALPH LAUREN F/W 2021

MAX MARA F/W 2021

ISABEL MARANT F/W 2021

PHILLIP LIM F/W 2021

# KNIT VIBES

ეს სეზონი წარმოუდგენელია თბილი, ნაქსოვი ჟემპრების გარეშე. შეგიძლიათ, მოირგოთ როგორც ფერადი, ისე სადა სტილის ნაქსოვი ჟემპრები, შეუხამოთ ქვედაბოლოს, შარვალს და თუნდაც გამოსასვლელ თხელ კაბას.



JIL SANDER F/W 2021

OFF-WHITE F/W 2021

ISABEL MARANT F/W 2021

RAF SIMONS F/W 2021

VICTORIA BECKHAM F/W 2021

PRADA F/W 2021

ISABEL MARANT F/W 2021

# COLOR THERAPY

შემოდგომა-ზამთარი ასოცირდება მუქ ტონალობებთან, თუმცა ამ სეზონზე დიზაინერებმა აქტიურად წარმოადგინეს საკმაოდ ნათელი და ფერადი სამოსიც, დაწყებული JACQUEMUS-ით, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია ქალების ერთ-ერთი საყვარელი დიზაინერია, დამთავრებული PRADA-თი, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება კლასიკა იტალიური მოდის სამყაროსთვის.







MICHAEL KORS COLLECTION F/W 2021

TOM FORD F/W 2021

RAF SIMONS F/W 2021

TOD'S F/W 2021

CHRISTIAN DIOR F/W 2021

ISABEL MARANT F/W 2021

JACQUEMUS F/W 2021

# PUFFED UP

ზამთრის სუსხიან ამინდში თბილ, ე. წ. დუტის ქურთუკზე კომფორტული ალბათ არაფერი არსებობს, შესაბამისად, დიზაინერებიც სხვადასხვა დიზაინის ქურთუკებს გვთავაზობენ, რომელთაგან ზოგი სადა, ზოგი კი უფრო საინტერესო ვიზუალისაა. გადაავლეთ თვალი ისეთი მოდის სახლების კოლექციებს, როგორიცაა: CELINE, BOSS, JACQUEMUS, TOM FORD, CHLOÉ და სხვა.

# SHOP THE LOOK

MAX MARA-ს შემოდგომა-ზამთრის კოლექციები მუდამ მრავალფეროვანია. მოირგეთ კუბოკრული ორეული პიჯაკისა და ქვედაბოლოს სახით, შეუხამეთ მას ყოველდღიური წარწერებიანი, ან ნახატებიანი მაისური და თავზე აქსესუარის სახით მოიხვიეთ შარფი - ასე ძალიან მოდურ ანსამბლს შექმნით.



MAX MARA F/W 2021



MANGO

BERSHKA

MASSIMO DUTTI

MANGO





# Season's MUST HAVE



## Fendi
### Leather Ankle Boots

ამ სეზონზე კოლექციებში ხშირად ვხვდება დაბალძირიანი მასკულინური თბილი ფეხსაცმელი, ე. წ. „ბათინკე“. არჩევანი შეგიძლიათ შეაჩეროთ Fendi-ს ამ ძალიან ლამაზ და განსხვავებულ მოდელზე, რომელსაც ძირზე Fendi-ს ცნობილი ლოგო აქვს გამოსახული. ეს ფეხსაცმელი კიდევ უფრო საინტერესოს გახდის თქვენს ჩაცმულობას.

# New York






## 3.1 PHILLIP LIM

PHILLIP LIM-ის კოლექციებში მუდამ იგრძნობა გამბედაობა, რისკი და მამაკაცური და ქალური ფორმების სინთეზი. ამ კოლექციაში განსაკუთრებით შესამჩნევი იყო საინტერესო მიქსი, რომელიც 3.1 PHILLIP LIM-ის კოლექციებისთვის, ზოგადად, დამახასიათებელია.






## PROENZA SCHOULER

PROENZA SCHOULER-ი ნიუ-იორკის მოდის კვირეულზე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოდის სახლია, რომლის კოლექციებიც ყოველთვის განსხვავდება სხვებისგან და სრულად მიჰყვება ბრენდის ხედვასა და სტილს. კოლექციაში წარმოდგენილი იყო მკვეთრი ფერის სამოსი სხვადასხვა პრინტითა და ელემენტით, როგორც სწორი, წელში გამოყვანილი, ისე თავისუფალი ფორმები და სილუეტები.






## CAROLINA HERRERA

CAROLINA HERRERA, ტრადიციულად, ქალური ფორმებითა და სტილით გამოირჩევა. 2022 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციებში მაქსიმალურად დახვეწილი და ფერადი სამოსი იყო წარმოდგენილი, რომელშიც წითელი და ვარდისფერი დომინირებდა.






## TOM FORD

TOM FORD-ის კოლექციებში ყოველთვის განსაკუთრებულად არის წარმოჩენილი ქალურობა და თითოეულ დეტალს დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მბზინავი ქსოვილები, მასიური აქსესუარები, მაღალ წელზე გამოყვანილი ფორმები არის ყველაფერი, რაც ნებისმიერ ქალს შემდეგი სეზონისთვის სჭირდება.










# LONDON

## BURBERRY

BURBERRY იყო, არის და იქნება ლონდონის მოდის კვირეულზე ერთ-ერთი თვალშისაცემი მოდის სახლი, რომლის კოლექციები მართლაც განსაკუთრებულია. ბრენდისთვის დამახასიათებელი საკულტო ნივთი, ე. წ. თრენჩი სხვადასხვანაირი სტილის, ფორმისა და ფერის ვერსიებით ვიხილეთ. აღსანიშნავია, რომ ბრენდის კრეატიულმა დირექტორმა რიკარდო ტიშიმ შეძლო, რომ თითოეული ლუქი არა მარტო პრაქტიკული, არამედ საინტერესოც ყოფილიყო.

## ERDEM

ERDEM-ის კოლექციაში ჩვეულებისამებრ ნაზი, ქალური, დახვეწილი სამოსია წარმოდგენილი. სხვადასხვა ფერისა და ტონალობის ყვავილებიანი პრინტის თხელი ქსოვილები, მაქმანები, წელზე აქცენტი... - ეს ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილია იმისა, რის ნახვაც კოლექციაში შეგიძლიათ.








## DAVID KOMA

DAVID KOMA-□ 2022 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციაში საკმაოდ თამამი და სექსუალური სამოსი წარმოადგინა, თუმცა ამ ყველაფერთან ერთად მისთვის დამახასიათებელი გეომეტრიული ფორმები, საინტერესო ელემენტები თითქმის ყველა ლუქს სდევდა თან.




## VICTORIA BECKHAM

VICTORIA BECKHAM-ის მოდის სახლმა ნიუ-იორკიდან ლონდონის მოდის კვირეულზე გადაინაცვლა. მისი კოლექცია, როგორც ყოველთვის, ძალიან დახვეწილი, ტენდენციური და საინტერესოა, ტრადიციულად, იგრძნობა ქალის ორი ბუნების - სინაზისა და სიძლიერის ბალანსი. ახალ კოლექციაში დიზაინერმა აქტიურად წარმოადგინა გაშვებული შარვლები, საშუალო სიგრძის ქვედაბოლოები და სწორი ფორმის კლასიკური პალტოები.

# MILAN






## FENDI

FENDI-ს კოლექციაში თეთრი და შავი ფერის სამოსი ჭარბობდა, ხელოვნური ბეწვი, მაღალ წელზე აქცენტირებული ფორმები და პრინტები.






## MAX MARA

MAX MARA-ს კოლექციები თავდაჯერებული, წარმატებული, ძლიერი ქალებისთვის არის შექმნილი, რომლებიც სამოსს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მისი საშუალებით კონკრეტულ გზავნილს გადმოსცემენ. ბრენდის ახალ კოლექციაში წარმოდგენილია პრიალა ტყავის სამოსი, ორეულები ერთ ფერში, დენიმი და სხვა.






## JIL SANDER

JIL SANDER – სახელის გაგონებისასაც კი უკვე აშკარაა, როგორი სადა, მინიმალისტური კოლექცია არის წარმოდგენილი. თეთრი და შავი ის ძირითადი ფერებია, რომლებიც კოლექციაში უხვად იყო გამოყენებული, ზემოხსენებული ბრენდის ჩანთები კი კვლავ დიდ ინტერესს იწვევს მომხმარებელთა შორის.






## PRADA

PRADA-ს ჩვენება აღსანიშნავი იყო, უპირველესად, იმით, რომ 2022 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია ერთდროულად ორ ქალაქში აჩვენეს: მილანსა და შანხაიში. თითოეული ლუქი „პრადასთვის“ დამახასიათებელი სტილით, ხედვითა და უნიკალურობით იყო გაჯერებული, მით უფრო, რომ ახლა მიუჩა პრადასთან ერთად ბრენდის შემოქმედებითი თანადირექტორი ცნობილი ბელგიელი დიზაინერი რაფ სიმონსია.

# PARIS



## BALENCIAGA

BALENCIAGA - მოდის სახლი, ბრენდი, სახელი, რომელსაც მუდამ დიდი ინტერესი სდევს თან. ეს იმიტომ, რომ მსოფლიო მოდის ინდუსტრიას ყველა სეზონზე ორიგინალური სიახლის მოლოდინი აქვს დემნა გვასალიასგან. მან ამჯერადაც შეძლო და აალაპარაკა მთელი მსოფლიო ჩვენებით, რომელიც წითელ ხალიჩად აქცია. ამ მოულოდნელობით აღსავსე სანახაობას კი ბოლოს „სიმფსონების“ მიერ შექმნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმის THE SIMPSONS X BALENCIAGA ჩვენება მოჰყვა, რომლის პერსონაჟები დემნა გვასალია და ანა ვინტური არიან.



## CHANEL

CHANEL-ის ახალმა კოლექციამ სრულად მიიპყრო მთელი მსოფლიოს ყურადღება, რადგან ბრენდის კრეატიულმა დირექტორმა ვირჯინი ვიარმა ჯორჯ მაიკლის სიმღერის - FREEDOM-ის ფონზე, მოღიმარი მოდელებითა და ძველებური პოზირებით, „შანელის“ 90-იანი წლების კოლექციებით ინსპირირებული სამოსი წარადგინა, რომელმაც ნამდვილად გვამოგზაურა წარსულ დროში. თითოეული დეტალი თითქოს მართლაც ნანახი გვაქვს და დათვალიერებული ძველი კოლექციებიდან და სასიხარულოა, რომ ის, რაც მხოლოდ ჟურნალებსა თუ არქივებში იყო წარმოდგენილი, 2022 წლის გაზაფხული-ზაფხულის უახლეს კოლექციაშია.



## SAINT LAURENT

SAINT LAURENT-ის ჩვენება მოკაშკაშე ეიფელის კოშკის ფონზე გაიმართა. ბრენდის კრეატიული დირექტორის, ენტონი ვაკარელოს ინსპირაცია ამჯერად ივ სენ ლორანის მუზა პალომა პიკასო იყო, რომლის სტილი, ჩაცმულობა დიზაინერმა საინტერესო ხედვით წარმოაჩინა. მოკლე განიერი პიჯაკები, ამოღებული ტოპები, გაშვებული ჯინსის შარვლები, ტყავის ხელთათმანები, კომბინეზონები და ყვავილებიანი პრინტი - ეს ის ყველაფერია, რაც ნათლად გამოხატავს კოლექციის ინსპირაციასა და მუზას.



## STELLA MCCARNTEY

STELLA MCCARNTEY-ს კოლექცია მოდის მოყვარულთა ყურადღებას იპყრობს საინტერესო ფორმების, სილუეტებისა და ქსოვილების შეხამებით. ნეონისფერი მწვანე, ატმისფერი, შავი, პასტელისფერი ცისფერი, გაშვებული შარვლები და ე. წ. CUT-OUT-ები - და ეს სულაც არაა კოლექციის სრული აღწერა, სადაც ბევრ განსხვავებულ მოდელს შეხვდებით.






# ცხოვრების ყვავილები

2021 წელს ესკაპიზმმა ახალი მნიშვნელობა შეიძინა როგორც მოდაში, ისე ცხოვრებაში. როდესაც რეალობისგან გაქცევა მხოლოდ ფანტაზიის ფრთებითაა შესაძლებელი, მშვენიერების მოყვარულებმა ცხოველმყოფელი შთაგონება მაღალი მოდის კოლექციებში უნდა ეძიონ. ოტ კუტიურის კვალდაკვალ, მხატვარმა ალინა შირიაევამ სპეციალურად „ნარგისისთვის“ შთამბეჭდავი ილუსტრაციების სერია შექმნა.

**ილუსტრაციები** ალინა შირაევა




Iris Van Herpen




Schiaparelli






Fendy



TATUNA



# ინდივიდუალიზმი, როგორც ხელწერა

ტატუნა ნიკოლაიშვილი ერთ-ერთი წარმატებული ქართველი დიზაინერია, რომლის კოლექციები თავს მუდმივად გვამახსოვრებს გემოვნებით, საინტერესო თარგებით, კრეატიული ელემენტებითა და მინიმალიზმით.

TATUNA-ს კოლექციები წლებია, დიდი პოპულარობით სარგებლობს და წარმატებით იყიდება მთელ მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემია ძალიან რთული გამოწვევა აღმოჩნდა მთლიანად მოდის ინდუსტრიისთვის, TATUNA არ გაჩერებულა და, უფრო მეტიც, ძალიან საინტერესო სიახლე აქვს, რომელსაც „ნარგისის“ მკითხველს უზიარებს.

**ინტერვიუ** ანანო დოლაბერიძე
**ფოტო** პრესმასალა

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი წარმომავლობა, ქართული კულტურის ელემენტები და სტილი





ᲩᲔᲛᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲙᲝᲜᲪᲔᲞᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

**პროფესიული არჩევანი...**
ჩემს ოჯახში ბებია კერავდა. დედაჩემსაც უყვარდა მოდის კატალოგებსა და ჟურნალებში ნანახი კაბების მორგება, ხან მკერავებს აკერინებდა, ხან ბებოს. მეც ჩართული ვიყავი ამ პროცესში და დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი. შემდეგ დავიწყე ხატვა, სკოლის ასაკიდან კი თავად ვიკერავდი სამოსს.

რომ გავიზარდე, იმდენად მიყვარდა სამოსის შექმნა, რომ თავისთავად ავირჩიე ეს სფერო, სხვა პროფესიაზე არც მიფიქრია. ძალიან მომწონს თანამედროვე მოდა და ვფიქრობ, ამ დროში საუკეთესოდ გამოვხატავ ჩემს თავს.

**ყოველდღიური სტილი**
ყოველდღიურად მაცვია მხოლოდ ჩემი შექმნილი სამოსი და იმის გამო, რომ მთელი დღე სახელოსნოში მიწევს ყოფნა, ვცდილობ, მაქსიმალურად კომფორტულად ვიყო.

**რა არის საჭირო იმისთვის, რომ გახდე კარგი მოდის დიზაინერი?**
პირველ რიგში, უნდა გქონდეს ნიჭი, ხედვა, უნდა იყო კრეატიული და, რაც მთავარია, შრომისმოყვარე.

**საკუთარი წარმომავლობისა და კულტურის წარმოჩენის მნიშვნელობა ნამუშევრებში...**
ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია – ჩემი წარმომავლობა, ქართული კულტურის ელემენტები და სტილი. 90-იანების პერიოდი, სტილი ხშირად აისახება ჩემს კოლექციებში.





ძალიან მომწონს თანამედროვე მოდა და ვფიქრობ, ამ დროში საუკეთესოდ გამოვხატავ ჩემს თავს

**საყვარელი სამოსის შექმნის პროცესი...**
უფრო მეტად მსიამოვნებს პალტოებისა და პიჯაკების შექმნა, რაშიც მეტად ჩანს ჩემი ხელწერა და ინდივიდუალიზმი.

**საყვარელი დიზაინერი...**
Rei Kawakubo.

**პანდემიის გამო მიღებული გადაწყვეტილება...**
ამ პანდემიის პერიოდში ჩემს ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ კონცეპტუალურ მაღაზიასთან დავიწყეთ თანამშრომლობა და ჩვენი ტანსაცმელი იყიდება DSM-ში ლონდონსა და ტოკიოში. Beaker-ი არის ონლაინმაღაზია კორეაში, რომელთანაც სამომავლოდ ვგეგმავთ თანამშრომლობას.







# IN THE CITY

PHOTO BEKA CHOKOSHVILI PRODUCTION/STYLE NOIZY












MODELS LIZI TABATADZE, NIKA GIORKHELIDZE
GEOMODELS AGENCY
APPAREL WOMENSWEAR BLOOMS
MENSWEAR BESPOKE TBILISI
MAKEUP NINO SHUBLADZE



როდესაც წითელ ხალიჩაზე თვალს ადევნებთ ცნობილ ადამიანებს, რომლებიც თვალისმომჭრელად გამოიყურებიან, ოდესმე გიფიქრიათ იმ სტილისტზე, მთელი ამ ლუქის მიღმა რომ დგას? ავიგაილ კოლინზი ერთ-ერთი ასეთი უჩინარი გმირი ქალია: იგი რიანას, სემ სმითის, სენტ ვინსენტის, ჯესი ჯეის, ლორდის, ჯესი გლაინისა და ბევრი სხვა ცნობილი ადამიანის სტილს ქმნის, რომელთა მუსიკის მოსმენა და ჰანგებზე ცეკვა ყველას ძალიან გვიყვარს. ავიგაილმა ჩვენთან გულახდილად ისაუბრა ცნობილი ადამიანების სტილისტის სამუშაოს დადებით და უარყოფით მხარეებზე, რომელიც არც ისე გლამურულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.





– ავიგაილ კოლინზი –

# ვარსკვლავების პირადი სტილისტის გზა წარმატებამდე

**ინტერვიუ** ნიგარ ორუჯოვა
**ფოტო** პრესმასალა

**რომელი იყო თქვენი პირველი სამუშაო მოდის ინდუსტრიაში?**
საიუველირო კომპანია „ტეტი დევაინში“ (Tatty Devine) გავდიოდი სტაჟირებას და ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებდა! მაღაზიის უკანა მხარეს ვისხედით ხოლმე და სამკაულებს ვამზადებდით. ყოველი კვირის ბოლოს, გასამრჯელოს სახით, მაღაზიიდან შემეძლო რაიმე ნივთის არჩევა. ამ ბრენდის დიდი თაყვანისმცემელი და კოლექციონერი ვიყავი და ეს იყო ჩემი პირველი აღმოჩენა, რომელმაც თვალი ამიხილა იმაზე, თუ როგორ მუშაობდნენ საკულტო ბრენდები და აღმოსავლეთ ლონდონის მოდის სამყარო.

ეს იყო ჩემი პირველი აღმოჩენა, რომელმაც თვალი ამიხილა იმაზე, თუ როგორ მუშაობდნენ საკულტო ბრენდები

**გახსოვთ პირველი ადამიანი, რომლის სტილის შექმნაზეც იმუშავეთ?**
ჩემი პირველი კლიენტი მომღერალი ელიზა დულიტლი იყო.

**რიანასთან მუშაობის ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია გაქვთ. როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა?**
ჩემს პარტნიორ დამიანესთან ერთად სამთვიან სტაჟირებაზე ვიმყოფებოდი ნიუ-იორკში. ახალი შექმნილი გვქონდა ჩვენი უნისექს-ბრენდი Silver Spoon Attire-ი და „ემტივის“ სტილისტებს – მარიელ ჰენს და რობ ზანგარდის დავუკავშირდით სოციალურ ქსელ „მაისპეისის“ (Myspace) საშუალებით. იმ დროს ნამდვილად არ გვესმოდა სტილისტის საქმიანობის მთავარი არსი, რადგან ეს იქამდე იყო, სანამ სოციალური მედია ამ სამყაროს ფართო საზოგადოებას დაანახვებდა. მარიელს ნიუ-იორკში შევხვდით და რამდენიმე ნივთი გადავეცით საჩუქრად იმ დროისთვის დიდი იმედის მომცემი კლიენტის, რიანასთვის. დაახლოებით 6 თვის შემდეგ მარიელი და რობი რიანასთან ერთად ლონდონს ესტუმრნენ და ჩვენთან შეხვედრა მოისურვეს. ჩვენ ბევრი რამ ვიცოდით ბრიტანეთის მოდის სამყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ამიტომ მოინდომეს, რომ ისინი საყიდლებზე ჩვენ წაგვეყვანა. მათ რამდენიმე ახალბედა, მაგრამ ძალიან საინტერესო დიზაინერი გავაცანით და დაინახეს, რომ ერთად კარგად შეგვეძლო რიანასთან თანამშრომლობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ დაბრუნდნენ, დაგვირეკეს და გვკითხეს, ხომ არ ვიქნებოდით მათი წარმომადგენლები დიდ ბრიტანეთში. მთელი ეს ამბავი იმით დაიწყო, რომ ჩვენ მათ ვეხმარებოდით, შემდეგ კი რიანასთან ერთად ვმოგზაურობდით, რასაც შედეგად მოჰყვა მასთან მუშაობა მარიელის და რობისგან დამოუკიდებლად. რიანასთვის საყიდლებზე დღემდე მე დავდივარ და არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს.

## არაჩვეულებრივია, როცა გვერდით ყოველთვის გყავთ ის, ვინც იდეებს გაგიზიარებთ, ის, ვისაც ეს იდეები აქვს

**როგორ პოულობთ საერთო ენას ცნობილ ადამიანთან?**
ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მას სხვა კოლეგისგან განსხვავებულად არ უნდა მოექცე.

**სანამ ახალ ადამიანთან მუშაობას შეუდგებოდეთ, გჭირდებათ მოდის სფეროში მისი გემოვნების გაგება?**
რასაკვირველია. მნიშვნელოვანია ჯერ მათი შესწავლა და გაცნობა. როგორც წესი, მომწონს კლიენტთან ერთად საყიდლებზე სიარული, თუ ამის დრო გვაქვს და ჩემი მთავარი ამოცანაა იმის გარკვევა, რა არ მოსწონს მას. შემდეგ შეგვიძლია იმის გარკვევა, თუ რას ანიჭებს იგი უპირატესობას.

**წლების წინათ ოდესმე წარმოიდგენდით, რომ ისეთ ცნობილ ადამიანებთან მოგიწევდათ მუშაობა, რომლებთანაც ახლა თანამშრომლობთ? რას ფიქრობთ, როგორ შეძელით წარმატების მიღწევა?**
არა, რა თქმა უნდა! ნამდვილად არ ვიცოდი, რომ არსებობდნენ ცნობილი ადამიანების სტილისტები. ვფიქრობ, რომ წარმატებას მივაღწიე შრომისმოყვარეობით, პატიოსნებითა და იმით, რომ, როგორც ჩემი კლიენტები მეუბნებიან, შესანიშნავი გემოვნება მაქვს.

**ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ სამუშაომ შეგცვალათ?**
ნამდვილად არა. ისევ იმავე გოგონებთან ვმეგობრობ, რომლებთან ერთადაც გავიზარდე ჩემს მშობლიურ ქალაქში და ჩვენი შვილები ახლა ერთმანეთთან მეგობრობენ.
ასევე, მყავს დიდი ოჯახი, რომლის წევრებთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს. ოჯახი ჩემთვის დიდი დასაყრდენია.

**რა არის ის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომლებიც ცნობილი ადამიანების ყველა სტილისტისთვის აუცილებელია?**
ორგანიზაციული მხარე ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შემოქმედება. თუ ორგანიზებული არ ხართ, საქმეს ერთად თავს ვერ მოუყრით და ბრენდებს თქვენთან მუშაობის სურვილი არ ექნებათ. როგორც კი თვალს გადაავლებთ ბრენდს, უკვე თქვენ ხართ მასზე პასუხისმგებელი და შეიძლება, ერთდროულად 60–70-ზე მეტი ლუქი გქონდეთ. ასევე, მნიშვნელოვანია სწრაფად ადაპტირების უნარი, განსაკუთრებით უკვე წინასწარ განსაზღვრულ საკითხებზე. უნდა შეგეძლოთ პრობლემების გადაჭრა ყოველ მოცემულ მომენტში.

**რით განსხვავდება მუსიკალური ვიდეოს ან საკონცერტო გამოსვლის სტილისტობა ნებისმიერი სხვა სახის სტილისტობისგან?**
მუსიკალური ვიდეოები და საკონცერტო გამოსვლები არტისტის მოძრაობებს უკავშირდება და ის ტანსაცმელი, რომელიც ამ დროს აცვიათ, მხოლოდ მათ კი არ უნდა ასახავდეს, არამედ მათ მიერ შესრულებულ სიმღერასაც. ეს განსხვავდება წითელი ხალიჩის ცერემონიებისგან, სადაც მთავარია ერთი ლუქი და ერთი კადრი, გადაღებული დროის იმ მოცემულ მომენტში.

**თქვენი პარტნიორი დამიან კოლინზიც სტილისტია. მასთან კავშირი გეხმარებათ პროფესიულ ზრდაში?**
არაჩვეულებრივია, როცა გვერდით ყოველთვის გყავთ ის, ვინც იდეებს გაგიზიარებთ, ის, ვისაც ეს იდეები აქვს. ხალხი ფიქრობს, რომ ეს გლამურული სამუშაოა, მაგრამ რეალურად გლამურული ამ საქმის მხოლოდ დაახლოებით 10%-ია. ძირითადად, სტილისტობა დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვს. გასაკეთებელი საქმე ბოლო მომენტშიც კი შეიძლება, ძალიან დიდი იყოს. ასე რომ, ამ სიტუაციაში ორი ტვინი ყოველთვის უკეთ მუშაობს, ვიდრე ერთი... და ჩვენ დროის უმეტესი ნაწილი ასე შეწყობილად ვთანამშრომლობთ. სტილისტის საქმიანობას ერთად ახლა ისე ხშირად აღარ ვასრულებთ, როგორც ადრე, ვინაიდან დამიანე ამჟამად უფრო მეტად მოდის სფეროში კონსულტაციებით და გრაფიკული დიზაინით არის დაკავებული.










**თქვენ ორმა როგორ დაიწყეთ ერთად ტანსაცმლის დიზაინი?**
ეს ყველაფერი დაიწყო პროექტით, რომელსაც ჩემი უნივერსიტეტის სამუშაოსთვის ვაკეთებდი. ძალიან მინდოდა, შემექმნა უნისექს ქურთუკები, რომლებსაც ჩვენ ჩავიცვამდით. დამიანი დიზაინერად მუშაობდა თავის ოჯახურ ბიზნესში, რომელიც კორპორაციულ სფეროს განეკუთვნებოდა და მოსწონდა საქმე, რასაც მე ვაკეთებდი. ერთ დღეს მას შეხვედრა ჰქონდა ტყავის ქურთუკების მწარმოებელთან. ამ დროს მე მანქანაში ვიცდიდი, იგი მოვიდა და მასთან მუშაობა შემომთავაზა. წარმოდგენა არ მქონდა, რა მოხდებოდა, მაგრამ ერთი უნისექსის სტილის ტყავის ქურთუკის დიზაინის შესახებ გამართულ შეხვედრას დავესწარი, იმავე შეხვედრაზე ერთად კიდევ სამი ქურთუკის დიზაინი შევქმენით და მწარმოებელმა ნიმუშები ჩვენთვის აიღო.
ასე დაიწყო ბრენდ „სილვერ სპუნ ეთაიერის“ შექმნა. როდესაც ნიმუშების მომზადება დასრულდა, გადაღებები ჩვენი შენობის სახურავზე გავმართეთ. ფოტოსურათები მე თვითონ გადავიღე, ხოლო მოდელი ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო უნივერსიტეტიდან. შევქმენით გვერდი „მაისპეისის“ პორტალზე, სურათები ავტვირთეთ და ჟურნალებსა და მაღაზიებს მივმართეთ. შემდეგი, რაც გავიგეთ, იყო ის, რომ ჟურნალ „ვოგის“ ფურცლებზე მოვხვდით, როგორც ახალი ბრენდი, რომლისთვისაც ყურადღება უნდა მიექციათ.
ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ჩემი უნივერსიტეტში ყოფნის დროს მოხდა. „სილვერ სპუნ ეთაიერს“ დაახლოებით 15-წლიანი ისტორია ჰქონდა.

**რა მთავარი იდეა გახდა მისი საფუძველი?**
რეალურად ეს ბრენდი უნისექსის სტილის ტანსაცმელზე მოთხოვნილების გამო იშვა. ასეთი ტანსაცმელი იმ დროს არ არსებობდა. მე და ჩემს ქმარს გვიყვარდა ერთმანეთში ვინტაჟური ქურთუკების გაცვლა. გვინდოდა, ისეთი ბრენდი შეგვექმნა, რომელიც მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის ეტიკეტებს მკაცრად არ შეესაბამებოდა. ეს იყო 2007 წელს, ასე რომ, ჩვენი სამოსი ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რასაც სხვა ბრენდები იმ დროს აკეთებდნენ. თანდათანობით ის ქუდების მწარმოებელ ბრენდში გადაიზარდა. ყველაზე მეტად ცნობილი გავხდით ბადიანი ვუალის მქონე ჩვენი პატარა მრგვალი ფორმის ქუდებით, რომლებსაც რიანა ატარებდა.
ბრენდზე მუშაობა 2017 წელს შევწყვიტეთ, რადგან მის ფარგლებში ნამდვილად მივაღწიეთ ყველა დასახულ მიზანს. ჩვენი უდიდესი მიზანი იყო პარიზში მდებარე მაღაზია „კოლეტში“ (Colette) მოხვედრა, რაც „ჰელოუ ქითისთან“ (Hello Kitty) თანამშრომლობით შევძელით. და როდესაც „კოლეტი“ დაიხურა, ისეთი შეგრძნება გვქონდა, რომ „სილვერ სპუნ ეთაიერთან“ დაკავშირებული ჩვენი ისტორიაც დასრულდა.



## თუ ორგანიზებული არ ხართ, საქმეს ერთად თავს ვერ მოუყრით და ბრენდებს თქვენთან მუშაობის სურვილი არ ექნებათ

**რატომ გადაწყვიტეთ თქვენი ბრენდის საქმიანობის რაიმე ახალი მიმართულებით წაყვანა?**
საქმიანობა ხელახლა დავიწყეთ 2020 წელს The Nothing New Studio-სთან ერთად, რომელიც სინამდვილეში არ არის ტანსაცმლის ბრენდი – ის მდგრადი მოდის საკონსულტაციო საქმიანობას ეწევა და ამისთვის პლატფორმას წარმოადგენს. გასული სამი წელი სხვა ბრენდებისთვის კონსულტაციების გაწევას, მთელ მსოფლიოში მოგზაურობასა და, რასაკვირველია, სტილისტის საქმიანობას დავუთმეთ. იმ დროს დამიანემ ასეთი რამ მითხრა: „არავის არასდროს მაისურა რომ არ შეექმნა, მსოფლიოში ყველაფერი კარგად იქნებოდა“. ვინაიდან ბრენდები, მაღალი კლასის, ძვირად ღირებული მაღაზიებიდან დაწყებული, ქუჩის ჩვეულებრივი მაღაზიებით დამთავრებული, წელიწადში უფრო მეტ კოლექციებს უშვებენ, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ, ჩავთვალეთ, რომ მნიშვნელოვანი იყო გარკვეული პასუხისმგებლობის



## ცნობილი გავხდით ბადიანი ვუალის მქონე ჩვენი პატარა მრგვალი რომლებსაც რიანა ატარებდა




აღება და იმის ნახვა, თუ როგორ დავხმარებოდით ადამიანებს, კვლავ ჰყვარებოდათ მოდა და ლუქების ხელახლა შექმნა სტაბილურად, მაგრამ გააზრებულად. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, იმ საქმეს, რაც „სილვერ სპუნ ეთაიერისთვის“ გავაკეთეთ და იმასაც, რაც შემდგომში შევქმენით, ჩვენთან ერთად გაეგრძელებინა ეს მოგზაურობა.

**მოდის დიზაინერები შთაგონებას წინა თაობებში ნახულობენ. სტილისტები სად პოულობენ მას?**
შთაგონებას მეც წინა თაობებში ვპოულობ. მიყვარს პარიზის ძველი კოლექციების თვალიერება. ამ დროს სულ სხვა სამყაროში გადავდივარ. ჩემი შთაგონების წყაროა ფილმებიც და, რა თქმა უნდა, ქუჩის მოდა და კულტურა.

**რა იყო აქამდე თქვენთვის ყველაზე დიდი აღმოჩენა ცნობილი ადამიანების სტილისტის კარიერის განმავლობაში?**
ადრე აღვნიშნე, მაგრამ გულწრფელად მინდა გითხრათ, თუ რამდენად დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს რეალური სამუშაო. თუ კლიენტისთვის ერთი ლუქის შესაქმნელად დაგიქირავეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ტანსაცმლის მთელი სერია უნდა მოამზადო და ამ ყველაფრის ორგანიზებას ზოგჯერ მთელი კვირა შეიძლება დასჭირდეს.

**რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ცნობილი ადამიანების სტილისტობას?**
დადებითი მხარეა ის, რომ ყოველდღე იმ საქმის კეთება მიწევს, რომელიც მიყვარს! – ახალი დიზაინერების აღმოჩენა და იმ წარმოუდგენლად ნიჭიერ მკერავებთან მუშაობა, რომლებიც რეალურად გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებენ. ასევე, ახალ ადგილებში მოგზაურობა და ადამიანებთან შეხვედრა მთელი მსოფლიოდან და მათთან მუშაობა.







# CULTURAL

## გულწრფელად მინდა გითხრათ, თუ რამდენად დიდ ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს რეალური სამუშაო

უარყოფითი მხარე ის არის, რომ მას ნამდვილად არ აქვს „გამოსართავი ღილაკი“ – შეიძლება მოგიწიოთ მუშაობა შაბათ-კვირას, არდადეგებზე, ღამეების, ზედიზედ მრავალი საათის განმავლობაში და თანაც ისე, რომ განრიგი ბოლო წუთს შეიძლება შეიცვალოს. ასე რომ, ძნელია საქმის წინასწარ დაგეგმვა, რადგან არ იცი, როდის შეიძლება შეიცვალოს სამუშაო, ან როდის შეიძლება დაგასაქმონ.

**როგორც სტილისტს, ლოქდაუნის პერიოდში ყველაზე მეტად რა გენატრებოდათ?**
მენატრებოდა სხვებთან ერთად ყოფნა და ცოცხალი მუსიკალური შოუების სტილისტის საქმიანობის შესრულება, რაც ჯერ კიდევ არ გამიკეთებია პანდემიის შემდეგ. ცოცხალი შოუს კეთებაზე, მაყურებლის რეაქციაზე და იმაზე საინტერესო არაფერია, როცა ხედავ, თუ როგორ ისხამს ხორცს შენი იდეები სცენაზე დეკორაციებთან ერთად. ეს გასაოცარი რამეა.

**დღევანდელი მოდა მთლიანად ორიენტირებულია მდგრად განვითარებაზე. არსებობს მოდის სტილისტის საქმიანობაში მდგრადი განვითარების შენარჩუნების შესაძლებლობა?**
ნამდვილად ასეა. The Nothing New Studio სწორედ ამ საქმით არის დაკავებული და ვცდილობ, რომ ყველა ჩემს კლიენტთან მუშაობისას ეს განვახორციელო. ყოველთვის ვიყავი ვინტაჟური ნივთების შეგროვებით გატაცებული ადამიანი. ეს ცნობილი ადამიანებისთვის არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა, შეინარჩუნონ მდგრადობა. ასევე, მდგრადობის შენარჩუნების ერთ-ერთი საშუალებაა ნივთების ახლებურად მორგება. სოციალური მედიის სამყაროს მეშვეობით ადამიანები ერთ დღეს შეპყრობილნი გახდნენ სამოსის ტარებით, რადგან ყველაფერი მეტისმეტად ხშირად და ზედმიწევნით არის ფოტოებზე აღბეჭდილი  და ნანახი.

ყოველთვის ვიყავი ვინტაჟური ნივთების შეგროვებით გატაცებული ადამიანი

ვიმედოვნებ, რომ მოდის სფეროში მდგრადი განვითარების ტალღა ადამიანებს ორჯერ დააფიქრებს, სანამ ამ ერთჯერად ნივთებს შეიძენენ. ამის ავანგარდში სწორედ ცნობილი ადამიანები უნდა ჩადგნენ. ხელახლა მორგება და დანიშნულების ხელახლა გამოძებნა საკვანძო მომენტს წარმოადგენს.

**თქვენ იმაზე მეტს მიაღწიეთ, ვიდრე თქვენს ასაკში სტილისტთა უმეტესობას შეეძლო წარმოედგინა. როგორია თქვენი სამომავლო ოცნებები?**
ახლა ორიენტირებული ვარ უფრო მეტი ალბომის პროექტების თავიდან ბოლომდე განხორციელებასა და ჩემს კლიენტებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობით ბრენდებთან მუშაობაზე,  ურთიერთობების დამყარებასა და იმის დანახვაზე, ერთიან ნამუშევარში როგორ შეგვიძლია მოვუყაროთ თავი იმ სხვადასხვა დეტალს, რომლებიც მუსიკას და ბრენდების არსს გამოხატავენ. ვისურვებდი, რომ ამან კლიენტს სტიმული მისცეს, იმ ბრენდთან შექმნას კოლექცია, რომელთანაც ჩვენ გვიმუშავია. ასევე ვისურვებდი, უფრო მეტ მსახიობთან მეთანამშრომლა და „ოსკარების“ ცერემონიისთვის შემესრულებინა სამუშაო.





# WINTER START

ახალი სეზონი იწყება - ზამთრის სულისკვეთება ყველა ფორმითა და სტილით შემოდის. ხალისიანი მრავალშრიანი ლუქები ერთდროულად მოსახერხებელიც არის და ელეგანტურიც იმისათვის, რომ სათხილამურო ფერდობებიდან აპრე-სკის სტილში გადაგიყვანოთ. ამ ტრანსფორმაციისთვის საჭირო ხრიკი კი  მრავალშრიანი დიზაინის მიმართ დინამიკურ მიდგომაშია - ისეთი ტრადიციული ნივთები, როგორიცაა Fair Isle-ის ტრიკოტაჟი და უელსის პრინცის კუბოკრული ქსოვილი, სპორტულ სამოსს ეხამება და იქმნება ლუქი, რომელიც სტილსა და შინაარსს თანაბრად აერთიანებს. დალიანდაგებული დათბილული ქურთუკის რამდენიმე ვერსია მუქი ლურჯის, ხაკისფრისა და აქლემისფრის დახვეწილ ტონებში, ხოლო აქსესუარები ფოჩებისა და ანიმალისტური პრინტის ტექსტურირებული ინტრიგით თავგადასავლის დამატებით განცდას იწვევს.

1983 წელს შექმნილი, როგორც დასვენების დღეებში გარეთ ჩასაცმელი ყოველდღიური ტანისამოსის კოლექცია, „უიქენდ მაქს მარა“ (Weekend Max Mara), ცხოვრების წესის ნამდვილ იტალიურ ბრენდად იქცა თავისი უნიკალური იდენტობითა და აქტუალური ინდივიდუალურობით. დღეს „უიქენდ მაქს მარას“ მზა ტანსაცმლისა და აქსესუარების ფართო კოლექციებში ერთმანეთს ოსტატურად ეხამება აქტუალურობა და მემკვიდრეობითობა. თანამედროვე და დახვეწილ ასორტიმენტში ოფიციალური და არაოფიციალური სტილი უნივერსალურ ყოველდღიურ ელეგანტურობასთან არის შეზავებული სტერეოტიპებისგან თავისუფალი, კულტურული და თავისუფლების მოყვარე ქალებისთვის, რომელთა ინდივიდუალურობაც მოდისა და წელიწადის დროების მიღმაა. ბრენდის მიმდინარე სამუშაოს ფარგლებში, „უიქენდ მაქს მარამ“ თავისი „სიგნეიჩერ კაფსულ“ (Signature Capsule) კოლექციები წარადგინა. კოლექციები შემუშავებული ან შთაგონებულია ცნობილი შემოქმედის მიერ, რომელიც ყოველ სეზონზე ახდენს მოდის სახლის კოდების ინტერპრეტაციას და უნიკალურ გარდერობს გამორჩეული ხედვით ქმნის. „უიქენდ მაქს მარა“ ხელმისაწვდომია მსოფლიოს 250-მდე მონობრენდულ მაღაზიასა და წამყვან უნივერმაღში.

WEEKEND
MaxMara

















DERBY







# მე მიყვარს DIOR

## „დიორის“ მოდის სახლის საიუველირო ხაზი

Dior Joaillerie–ს კრეატიულმა დირექტორმა ვიქტუარ დე კასტელანმა „დიორის“ სახლის საიუველირო სამკაულებისა და საათების კოლექციას „მოწესრიგებული ქაოსი“ უწოდა. კოლექცია „დიორის“ სახლის ისტორიის მოტივების მიხედვითაა შექმნილი.





ყურადღებას იპყრობს სამაჯურები უსწორმასწორო კიდეებით. ისინი აბსტრაქტულ ნახატებსა და იმ ქსოვილების ნიმუშებს გვახსენებენ, რომლებსაც კრისტიან დიორი ქინძისთავებით ამაგრებდა და ამით Haute couture–ის მორიგ შედევრებს ქმნიდა. ამასთან ერთად, უსწორმასწორო კიდეები იმ მინერალების მონახაზებს ჰგავს, რომლებსაც ვიქტუარ დე კასტელანი ძვირფას ქვებთან ერთად იყენებს.
რა თქმა უნდა, მან არც ამჯერად აუარა გვერდი მინერალებს: Gem Dior–ის კოლექციის მოდელები – ბეჭდები, სამაჯურები, საყურეები – თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი ოქროთი და, ასევე, ფერადი ქვების გამოყენებითაა დამზადებული.






სახელწოდება ერთგვარი სიყვარულის ახსნაა Dior-ის სახლისადმი: ინგლისური Gem – „თვითმყოფადი ფერი, ძვირფასი ქვა“ – ეხმიანება ფრანგულ J'aime-ს – „მე მიყვარს“.





# *Rendez-vous au château*

**ფოტო** თაკო სკრიპნიჩენკო **სტილი** ანანო დოლაბერიძე

MANGO F/W '21

თბილისი მოლი | ისთ ფოინთი | სითი მოლი საბურთალო




























MODELS LIZI GODZIASHVILI /REZI ABRAMISHVILI
GEOMODELS AGENCY
STYLIST DATA ALEKSEEV
MAKEUP LANA FROM MAC COSMETICS TBILISI
APPAREL FULL LOOKS MANGO
SPECIAL THANKS TO CHATEAU MUKHRANI









# 89

# BEAUTY

XIANG GAO



ISABEL MARANT F/W 2021

# JUST PERFECT SKIN

უბრალოდ, იდეალურად დამუშავებული კანი არის ის, რაც ძალიან მოდურია ამ სეზონზე. მბზინავი გლუვი ტექსტურა სწორედ ისაა, რაც სრულიად საკმარისია თქვენი კანის იდეალურად წარმოსაჩენად.

1




1. MAC
2. VIOLET VOSS SAKURA
3. BOBBI BROWN

# COLORFUL EYES

ფერადი თვალის ჩრდილი მბზინავი ეფექტით თქვენს ინდივიდუალიზმს გაუსვამს ხაზს. ეცადეთ, არჩევანი ჟოლოსფერზე შეაჩეროთ.

2



VERSACE F/W 2021




3



VALENTINO F/W 2021




# PERFECT EYELINER

სწორად წასმული შავი ლაინერი ამ სეზონის ერთ-ერთი ჰიტია.

# ELECTRIC BLUE

ელექტრო ცისფერი თვალის ლაინერი, რომელიც DAVID KOMA-ს 2021 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციაში იყო წარმოდგენილი, საკმაოდ საინტერესო ელფერს შესძენს თქვენს გარეგნობას.



DAVID KOMA F/W 2021

2






BOTTEGA VENETA F/W 2021

1

# BOLD LIPS

მუქი ბორდოსფერი მბზინავი ტუჩსაცხი წელს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ტრენდია.






1. MAC
2. GIVENCHY
3. TOM FORD

# SMOKEY

ე. წ. სმოქი ყოველთვის იყო, არის და იქნება ტენდენციური მაკიაჟი, რომელიც 2021 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციაში CHANEL-საც კი ჰქონდა წარმოდგენილი.

3



CHANEL F/W 2021



# BOW TIME

თმის დიდი აქსესუარები ბანტის სახით ნებისმიერ ელეგანტურ ლუქს დაამშვენებს.

1



ALESSANDRA RICH F/W 2021






FENDI F/W 2021

2

# BRAIDS

აფრიკული სტილის ნაწნავების სახელით ცნობილი თმის ვარცხნილობა საკმაოდ ტენდენციურია ამ სეზონზე.

1. PARFOIS
2. VERB GHOST WEIGHTLESS HAIR OIL
3. KERASTASE

3



VALENTINO F/W 2021

# BLUNT-CUT FRINGE

BLUNT-CUT FRING – ე. წ. წინამო ძალიან მოდურია, ის ამ სეზონზე არაერთმა დიზაინერმა წარმოადგინა.








# GLOSSY TOUCH

თმის სველი ეფექტი უკვე წლებია, აქტუალობას არ კარგავს. თუ გსურთ, განსაკუთრებული იერსახე გქონდეთ, აუცილებლად გაიკეთეთ ასეთი ვარცხნილობა.




PRADA F/W 2021

2



CHRISTIAN DIOR F/W 2021

1

# RETRO STYLE

რეტროსტილი პერიოდულად ბრუნდება მოდაში. მოირგეთ ბადით შექმნილი აქსესუარი და ამგვარად უკეთ წარმოაჩინეთ თქვენი ხედვა და სტილი.

1. AMAZON
2. AMIKA
3. ZARA

MAX MARA F/W 2021



3



# SCARF MOMENTS

2021 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციებში აქტიურად შემოვვთავაზეს შარფი, როგორც თმის აქსესუარი. MAX MARA-ს კოლექციიდან ეს ლუქი კი ამის ერთ-ერთი ვარიაციაა.

# 3 რეკომენდაცია სალომე ღვინიაშვილისგან

თავის მოვლა სალომე ღვინიაშვილისთვის, ასაკის მატებასთან ერთად, კიდევ უფრო პრიორიტეტული საკითხი გახდა. აქვს პრინციპები, რომლებსაც არასდროს ღალატობს - იმისთვის, რომ საუკეთესოდ გამოიყურებოდეს... და ამ მხრივ რეკომენდაციებს „ნარგისის“ მკითხველსაც უზიარებს.

**რა არის თქვენთვის Make-up?**
Make up ჩემთვის ყოველდღიურობაა, მხოლოდ მინიმალისტური და ძალიან მსუბუქი მაკიაჟი მომწონს, თუმცა პროფესიიდან გამომდინარე, მიწევს გამოკვეთილი მაკიაჟის გაკეთებაც.

**რა მნიშვნელობას ანიჭებთ სახის კანის მოვლას?**
ასაკის მატებასთან ერთად კანის მოვლას უფრო დიდ დროს ვუთმობ. მყავს არაჩვეულებრივი კოსმეტოლოგ- თერაპევტი შორენა ალიბეგაშვილი, რომელიც მეხმარება, რომ ჩემი კანი მოვლილი იყოს და ყოველთვის კარგად გამოიყურებოდეს.

**როგორია სახის მოვლის თქვენი ყოველდღიური რუტინა?**
მაქვს დილისა და ღამის რუტინა, რომელიც იწყება სახის გაწმენდით, გრძელდება დაბანით და შემდეგ – შრატისა და დამატენიანებელი კრემის დატანით.

**მაკიაჟის სამი პროდუქტი, რომელსაც ყოველთვის იყენებთ...**
მსუბუქი ბაზა, წარბის ფიქსატორი და ტუში.

**რა რჩევებს მისცემდით ჩვენს მკითხველს და რა არის თქვენი სილამაზის საიდუმლო?**
მექნება 3 ძირითადი რჩევა, რომელსაც თავად მუდამ ვითვალისწინებ:
არასდროს დაიძინოთ მაკიაჟით, ყოველთვის მოიწესრიგეთ სახე, ჩაიტარეთ ღამის რუტინა და ისე დაიძინეთ.
ჩემი აზრით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მოწესრიგებული ძილი. უძილობა პირდაპირ აისახება სახის კანსა და თვალის უპეებზე, ამიტომ ეცადეთ, ძილი ყოველთვის მოწესრიგებული გქონდეთ.
დაბოლოს, გვიანი კვება სახის შეშუპებას იწვევს, ამიტომ გვიან საღამოს ჭამას აუცილებლად მოერიდეთ.

**ინტერვიუ** ანანო დოლაბერიძე
**ფოტო** თაკო სკრიპნიჩენკო







1. BOBBI BROWN - სერუმ-ფაუნდეიშენი 40 SPF
2. BOBBI BROWN - კორექტორი
3. EX NIHILO - სუნამო
4. GUERLAIN - პუდრი ბრონზეთი
5. GIVENCHY - ტუჩსაცხი
6. BOBBI BROWN - წარბის ფიქსატორი
7. NB BEAUTY - ტუჩსაცხი












LIPSTICK RUBY WOO



# Don't Focus

PHOTO TAKO SKRIPNICHENKO STYLE ANANO DOLABERIDZE





STROBE CREAM
STUDIO RADIANCE FACE AND BODY FOUNDATION
EYEBROWS BIG BOOST FIBRE GEL
IN EXTREME DIMENSION 3D MASCARA
EYE SHADOWS PINK VENUS
LUSTREGLASS LIPSTICK POUT OF CONTROL





STROBE CREAM
STUDIO  RADIANCE FACE AND BODY FOUNDATION
EXATRA DIMENTION SKINFINISH
MINERALUZE SKINFINISH NATURAL
IN EXSTREME DIMENTION MASCARA
EYEBROWS BIG BOOST FIBRE GEL TAUPE
POWDER KISS EYE SHEDOWS A LITTLE TAMED
SHEERTONE SHIMMER BLUSH PEACHY KEEN
LUSTERGLASS LIPSTICK OUT OF CONTROL


SRTOBE CREAM
STUDIO RADIANCE FACE AND BODY FOUNDATION
EYEBROWS BIG BOOST FIBRE GEL
IN EXTREME DIMENSION 3D MASCARA
EYE SHADOWS CORAL
LIP GLASS





STROBE CREAM
STUDIO RADIANCE FACE AND BODY FOUNDATION
EYEBROWS BIG BOOST FIBRE GEL
IN EXTREME DIMENSION 3D MASCARA
EYE PENCIL FASCINATING



model **LIKA GASIEVA**/ GEOMODELS AGENCY
make-up LANA / SPECIAL THANKS TO MAC COSMETICS TBILISI

დღეს უკვე საქართველოშიც შესაძლებელია მსოფლიოში აღიარებული, ხარისხით და ეფექტიანობით გამორჩეული ბრენდებით შინ თავის მოვლის სისტემის შექმნაც და კოსმეტოლოგის კაბინეტში შესაბამისი პროცედურების ჩატარებაც, რადგან თბილისში გაიხსნა ახალი მაღალი კლასის სილამაზის სალონი Deo

# Deo

## ახალი სილამაზის სალონის ყველა პროცედურა და პროდუქცია გარანტირებული შედეგისთვის!



### ეკატერინა ოსეფაშვილი

თანამედროვე მსოფლიოში თავის მოვლის ყოველდღიურ რუტინას და შესაბამის კოსმეტიკურ პროცედურებს, აუცილებლად პროფესიონალების ჩართულობითა და ხარისხიანი, გამოცდილი პროდუქციით, ალტერნატივა აღარ აქვს. სანამ პლასტიკურ ქირურგამდე მიხვალთ, სილამაზისა და ახალგაზრდული იერის შენარჩუნების გზა თქვენი კანის კონკრეტული პრობლემების აღმოფხვრისკენ მიმართული საშუალებებია, რომლებიც ქირურგის კაბინეტში ვიზიტამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად გაახანგრძლივებს.

დღეს უკვე საქართველოშიც შესაძლებელია მსოფლიოში აღიარებული, ხარისხით და ეფექტიანობით გამორჩეული ბრენდებით შინ თავის მოვლის სისტემის შექმნაც და კოსმეტოლოგის კაბინეტში შესაბამისი პროცედურების ჩატარებაც, რადგან თბილისში გაიხსნა ახალი მაღალი კლასის სილამაზის სალონი Deo. მისი დამფუძნებელი ეკატერინა ოსეფაშვილი დიდი სიფრთხილით მიუდგა კონკრეტული ბრენდების შერჩევას და, მათთან ექსკლუზიური პარტნიორობის ფარგლებში, ქართველ მომხმარებელს ფართო და, რაც მთავარია, სასარგებლო არჩევანს სთავაზობს...

**ინტერვიუ** ნინო მურღულია
**ფოტო** ტატიანა გრესა









თანამედროვე მსოფლიოში თავის მოვლის ყოველდღიურ რუტინას და შესაბამის კოსმეტიკურ პროცედურებს, აუცილებლად პროფესიონალების ჩართულობითა და ხარისხიანი, გამოცდილი პროდუქციით, ალტერნატივა აღარ აქვს. სანამ პლასტიკურ ქირურგამდე მიხვალთ, სილამაზისა და ახალგაზრდული იერის შენარჩუნების გზა თქვენი კანის კონკრეტული პრობლემების აღმოფხვრისკენ მიმართული საშუალებებია, რომლებიც ქირურგის კაბინეტში ვიზიტამდე დარჩენილ დროს მაქსიმალურად გაახანგრძლივებს.
დღეს უკვე საქართველოშიც შესაძლებელია მსოფლიოში აღიარებული, ხარისხით და ეფექტიანობით გამორჩეული ბრენდებით შინ თავის მოვლის სისტემის შექმნაც და კოსმეტოლოგის კაბინეტში შესაბამისი პროცედურების ჩატარებაც, რადგან თბილისში გაიხსნა ახალი მაღალი კლასის სილამაზის სალონი Deo. მისი დამფუძნებელი ეკატერინა ოსეფაშვილი დიდი სიფრთხილით მიუდგა კონკრეტული ბრენდების შერჩევას და, მათთან ექსკლუზიური პარტნიორობის ფარგლებში, ქართველ მომხმარებელს ფართო და, რაც მთავარია, სასარგებლო არჩევანს სთავაზობს...

ჩვენს სალონში ყველა თანამშრომელი სათანადოდ მომზადებულია და ფლობს სრულ ინფორმაციას

დიდი ხანია, როგორც კოსმეტოლოგმა და ამ სფეროს პროფესიონალმა, პირადად შევისწავლე ყველა იმ ბრენდის პროდუქცია, რომელიც ახლა უკვე ჩვენს სალონშია წარმოდგენილი. იმისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ბრენდების შემოტანა გადაგვეწყვიტა, ჯერ თავად უნდა შემეფასებინა მათი ხარისხი და ისიც, სინამდვილეში რა გავლენას ახდენს ამა თუ იმ ბრენდის კონკრეტული პროდუქტი კანზე და როგორია მისი მუშაობის სპეციფიკა. რასაკვირველია, ჯერჯერობით სრულად არ ამოგვიწურავს შემოსატანი ბრენდების სია – უახლოეს მომავალში მომხმარებელს კიდევ არაერთ პროდუქტს წარვუდგენთ, რომელიც ქართული ბაზრისთვის სიახლე იქნება. ამ ეტაპზე ჩვენს





ესთეტიკის ცენტრში წარმოდგენილია ისეთი ბრენდები, როგორიცაა: Zielinski & Rozen, James Read, La Sultane De Saba, UltraCeuticals, Ligne St Barth, Babor, Oribe, Christina Fitzgerald, Authentic Beauty Concept. ყველა ეს ბრენდი ძალიან ცნობილი და პოპულარულია მსოფლიოში, რადგან ნამდვილად ეფექტიანია, დადებით გავლენას ახდენს კანზე. ჩვენს სალონში ყველა თანამშრომელი სათანადოდ მომზადებულია და ფლობს სრულ ინფორმაციას ყველა ბრენდის შესახებ, გარდა ამისა, თავადაც სულ ამ სივრცეში ვტრიალებ, შესაბამისად, შემიძლია მსურველებს კონსულტაცია გავუწიო და ეს ამ სივრცის ფარგლებში, კოსმეტოლოგის მომსახურებას თუ არ ჩავთვლით, უფასოა. შევადგენთ საშინაო თავის მოვლის შესაბამის რუტინას, რასაკვირველია, ინდივიდუალურად... კოსმეტიკურ პროდუქციას საქართველოში, ძირითადად, აფთიაქებში ყიდულობენ, სადაც დიდი არჩევანია; რუსეთში, ძირითადად, აფთიაქებში მხოლოდ მედიკამენტები იყიდება, თავის მოვლის საშუალებების შესაძენად კი სილამაზის სალონებს, ან კოსმეტოლოგიურ ცენტრებსა თუ ჰიპერმარკეტებს უნდა მიმართოთ.

> ეს არის მოვლის ის საშუალებები, რომლებიც თქვენს კანს გააახალგაზრდავებს და ახალშობილის კანის ეფექტთან მიაახლოვებს





ასეთ ადგილებში კოსმეტიკის სწორად შერჩევა ბევრად ადვილია, როდესაც თქვენთვის სასურველ და საჭირო პროდუქციას პროფესიონალები გირჩევენ. შეიძლება, ბრენდი კარგია, მაგრამ თქვენთვის არასწორად შეარჩიეს... ესეც გასათვალისწინებელი მომენტია. ჩვენ შეგვიძლია, ინდივიდუალური რუტინის გარდა, მომხმარებლებს შევთავაზოთ ტესტერები იმ პროდუქციისა, რომლებიც ვფიქრობთ, მათთვის საინტერესო იქნება. სახლში ტესტერების გამოყენების შემდეგ მათ შესაძლებლობა ექნებათ, მოგვმართონ და სწორი არჩევანი გააკეთონ ჩვენს სალონში შესაბამისი პროდუქტის შეძენით.

## DEO - მსოფლიოში ცნობილი ბრენდების ექსკლუზიური პარტნიორი საქართველოში

Zielinski & Rozen – ისრაელში დაფუძნებული ბრენდია, რომელიც უნისექსად მიიჩნევა, შესაბამისად, ის განკუთვნილია როგორც ქალების, ისე მამაკაცებისთვის. ამ ბრენდის შეძენა საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ. ის ყველასთვისაა და ყველას მოსწონს მისი არასტანდარტული არომატები. მაგალითად, თქვენ გამოიყენებთ შხაპისთვის განკუთვნილ გელს და შამპუნს და შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში, ეს არომატები თან გდევთ ისე, რომ სუნამო აღარც გჭირდებათ. სწორედ ამის გამო მიყვარს ეს ბრენდი. ის თქვენს ყურადღებას მიიპყრობს იმითაც, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია, თავისი ორიგინალური შეფუთვის ჩათვლით, და არ მიმდინარეობს ცხოველებზე მისი ტესტირება, რაც ბევრი ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანი მომენტია. ჩვენს სალონში წარმოდგენილი ყველა ბრენდი ამ მიმართულების გახლავთ.
ამავე ბრენდს აქვს სახლისთვის შესანიშნავი არომატები, გამორჩეული სანთლები, ორიგინალური გახმოვანების თანხლებით, რომელიც კოცონის ხმის იმიტაციაა.

La Sultane De Saba - უნიკალური და ძალიან პოპულარული ფრანგული ბრენდია, რომელიც ცნობილია საშინაო თავის მოვლის სპა–რიტუალებით.





თუკი ქალს უყვარს თავის მოვლა რიტუალების თანხლებით და შეუძლია, შხაპის მიღება ნებისმიერ დროს თავის მოვლის პროცედურად გადააქციოს, ეს ბრენდი ნამდვილად მისია. საქართველოში ამ ბრენდის კოსმეტიკას მხოლოდ ახლა ეცნობიან, რადგან აქამდე არ იყო წარმოდგენილი. ეს არის მოვლის ის საშუალებები, რომლებიც თქვენს კანს გააახალგაზრდავებს და ახალშობილის კანის ეფექტთან მიაახლოვებს. ნატურალური არომატების ნაკრებია.

თუკი თმის მოვლის საშუალებებზე ვისაუბრებთ, ამ ბრენდის თიხა შეუცვლელია თმის ზრდის სტიმულირებისთვის.
თიხა უნივერსალური საშუალებაა, რომელიც, ვფიქრობ, must-have-ია ყველა ქალისთვის, კანის თუ თმის მოსავლელად. ამავე ბრენდის ზეთი ახალშობილებისა და ორსულებისთვისაც კი რეკომენდებულია, რადგან კანის დაჭიმულობას ხსნის და მაქსიმალურად ატენიანებს მას. ის არ აცხიმიანებს კანს, არამედ დიდი ხნის განმავლობაში უწყობს ხელს მის დატენიანებას. რასაკვირველია, ამ ბრენდის პროდუქტებს შორის უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი BB კრემი, ე. წ. პატარძლის კრემი. ის მიესადაგება კომბინირებულ და მშრალ კანს და სასიამოვნო ღია ვარდისფერ შეფერილობას შესძენს მას.

Ligne St Barth – ფრანგული კოსმეტიკაა. მისი ბოთლები ვისკის ბოთლების იმიტაციითაა დამზადებული. მას მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე ცნობილი მზის დამცავი ხაზი აქვს. SPF-დამცველობითი მეექვსე ინდექსის მქონე ზეთი თან ხელს უწყობს გარუჯვას და თან კანს იცავს. მას მსოფლიო ვარსკვლავები ანიჭებენ უპირატესობას. Ligne St Barth-ის ბოთლი თუ გიდგათ გვერდით, როცა ირუჯებით, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ძალიან „luxury გოგონა" ხართ. ამავე ბრენდის საშუალებებს შორის დავასახელებდი გელს, რომელიც კანის პრობლემურ ადგილებზე წასმის










> მაგალითად, თქვენ გამოიყენებთ შხაპისთვის განკუთვნილ გელს და შამპუნს და შემდეგ, მთელი დღის განმავლობაში, ეს არომატები თან გდევთ ისე, რომ სუნამო აღარც გჭირდებათ. სწორედ ამის გამო მიყვარს ეს ბრენდი

შემდეგ ცელულიტის წარმოქმნას უშლის ხელს. მისი ყოველდღიური გამოყენებისას, თუკი ცელულიტის საწყისი ეტაპია და ანტიცელულიტურ მასაჟსაც დაახმართ, რომლისთვისაც ამავე ბრენდის პროდუქციას ვიყენებთ, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საუკეთესო გადაწყვეტას მიიღებთ. საქართველოში ძალიან უყვართ გარუჯვა და არ უყვართ SPF დამცავების გამოყენება, ზაფხულის შემთხვევაში ეს უნდა იყოს 50, ზამთრის პერიოდში – 30. ზედმეტმა გარუჯვამ შეიძლება კანის ჰიპერპიგმენტაცია გამოიწვიოს, ამ პრობლემის მოგვარება კი არცთუ ადვილია და კონკრეტული ინიექციური პროცედურების გამოყენებას მოითხოვს კანის გასათეთრებლად. ამ შემთხვევაში კიდევ ერთ ბრენდზე გავამახვილებდი ყურადღებას და ეს გახლავთ UltraCeuticals–ი.







ეს არის კოსმეტიკა, რომელიც გამოიყენება კოსმეტოლოგიაშიც და საშინაო თავის მოვლის სისტემაშიც. მათი პროდუქცია უკვე მესამე გამოყენების შემდეგ კანს შესამჩნევ ელასტიკურობას ანიჭებს და, ასევე, იწვევს ღრმა დატენიანების ეფექტს. მისი მოხმარება 21 წლის ასაკიდანვე შეიძლება, SPF დამცავებისა და კანის ჩამობანისთვის განკუთვნილი ქაფის ჩართულობით. მათი პილინგების გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ ზამთრის, არამედ ზაფხულის პერიოდშიც.

> პირველი პროცედურიდანვე ვაძლევთ მომხმარებლებს შედეგის გარანტიას

პილინგები უნდა ჩატარდეს ოთხ პროცედურად ორი თვის განმავლობაში, შემდეგ კი შეიძლება, სხვა პრობლემებთან გამკლავებაც დავიწყოთ, როგორიცაა: კანის დატენიანება, კვება და მიმიკური ნაოჭების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ბრენდს აქვს არაჩვეულებრივი დატენიანების საშუალებები რეტინოლით და ვიტამინ B-სა და C-ს შემადგენლობით.
არ მინახავს სხვა უკეთესი საშუალებები პიგმენტაციის წინააღმდეგ, რომლებიც ერთი კვირის შემდეგ შესამჩნევ ეფექტს გვაძლევს.
აქვე ვიტყვი, რომ UltraCeuticals-ი მაღალბიუჯეტური ბრენდია და შედარებით ბიუჯეტურ ვერსიად შეგვიძლია დავასახელოთ Babor-ი, რომელსაც ასევე არაჩვეულებრივი შედეგები აქვს. ეს გახლავთ ბრენდი–ლეგენდა მსოფლიო კოსმეტიკურ ბაზარზე, რომელსაც უკვე 60 წელია, აწარმოებენ და გერმანული ხარისხის ერთ–ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. ბრენდს აქვს თვისება, კონკრეტული საჭიროების შესაბამისად მოერგოს კანს. მისი საშუალებით შესაძლებელია კანის მოვლის ისეთი ინდივიდუალური სისტემის შექმნა, რომელიც მისი სიჯანსაღისა და გაუმჯობესებისთვის საუკეთესო და მარტივად გასავლელ გზას ქმნის. სწორედ ეს არის ბრენდის ფუნდამენტური პრინციპი.

## პროცედურები პროფესიონალებისგან

ჩვენს სალონში მანიკიურისა და პედიკიურის გაკეთება საუკეთესო გამოცდილებაა. ამ შემთხვევაში ვიყენებთ ბრენდებს: Zielinski & Rozen, La Sultane De Saba, Christina Fitzgerald. თუკი Christina Fitzgerald-ზე ვისაუბრებთ, მაშინ ვაკეთებთ საბაზისო მანიკიურს, რომლისთვისაც ლაქებსა და გელ–ლაქებს ვიყენებთ; ამავე ბრენდს აქვს სპა–მოვლა, როცა მთელი პროცედურისას კლიენტს სპეციალური ხელთათმანები აცვია. ზოგიერთს ეს ხელთათმანები სახლშიც მიაქვს და მთელი ღამის განმავლობაში უკეთია უკეთესი მკვებავი ეფექტის მისაღებად. პედიკიურის დროს სპეციალურ წინდებსაც დიდი ეფექტი აქვს, მათი გამოყენების შემდეგ პილინგის აუცილებლობაც აღარ არსებობს.
სხვათა შორის, Christina Fitzgerald-ს პირადად ვიცნობ, ვინაიდან მისი ექსკლუზიური წარმომდგენებიც ვართ საქართველოში. ის ადრე თავად იყო ოსტატი, ახლა კი საკუთარ პროდუქციას დიდი სიფრთხილით ეპყრობა.
ყველაფერი არის ეკოლოგიურად სუფთა. მათ არაჩვეულებრივი ხარისხის ლაქები აქვთ, შესანიშნავი ფერთა პალიტრით: ეს არის ჰიბრიდული ლაქები, რომლებიც გელ–ლაქებს ჰგავს, თუმცა ფრჩხილების დაცვის კუთხით ბევრად უკეთესია. ყველას ვურჩევდი, ჰიბრიდულ ლაქებზე გადავიდნენ, რომლებიც ძალიან სწრაფად შრება.
La Sultane De Saba-ს პროდუქციიდან სპა–მანიკიურისა და პედიკიურის პროცედურების დროს გამოიყენება ევკალიპტის ზეთი და თიხა–სკრაბი. ამ რიტუალის ხანგრძლივობა 2 საათია.
Zielinski & Rozen-ის პროდუქციაც გამოიყენება სპა–მანიკიურისა და პედიკიურის დროს. ამ რიტუალზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ხელებსა და ფეხის ტერფებზე ზრუნვა ახალგაზრდობიდანვე მნიშვნელოვანია. ეს არის ადგილები, სადაც პლასტიკურ ოპერაციას ვერ გავიკეთებთ, ამიტომაც აუცილებელია მათი ღრმა დატენიანება და კვება. პედიკიურზეც გავამახვილოთ ყურადღება: ჩვენთან წარმოდგენილია აპარატული და სპა–პედიკიურიც. ალბათ, არ არის საჭირო ამის ხაზგასმა, მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ ჩვენთან მაღალი დონის სპეციალისტები მუშაობენ, შესაბამისი განათლებით, რომლებიც ფრჩხილის დამუშავების ოსტატები არიან. პედიკიურის კაბინეტი მეორე სართულზე გვაქვს, სადაც ადამიანს შეუძლია, სრული რელაქსი განიცადოს და, როგორც დამატებითი მომსახურება, მოითხოვოს სახის პროცედურაც – ლიფტინგ–მასაჟი, ან სარელაქსაციო მასაჟი. ამ შემთხვევაში Babor-ის პროდუქციას ვიყენებთ; თუკი მშრალი კანია, მაშინ მაქსიმალურ დატენიანებას მივმართავთ, თუკი ცხიმიანი კანია – მაქსიმალურად მოვიყვანთ ტონუსში.

> ნებისმიერი პროდუქცია, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ, მუშაობს და ამას ადასტურებს ჩვენი მომხმარებლების გამოხმაურებები

რაც შეეხება კოსმეტოლოგიას და ინიექციურ პროცედურებს, მათ უნდა მიმართოთ 28 წლის ზევით. როცა კანი არ არის შესაბამისად დატენიანებული, ან პიგმენტაციის პრობლემა დგას, ან ნაოჭების გაჩენის პირველი ნიშნები შეამჩნიეთ: როცა მოდის 45 წლის პაციენტი და ამბობს, რომ მისთვის ადრეა ბოტულინოთერაპია, რასაკვირველია, ამ მიდგომას ვერ დავეთანხმებით, რადგან ნაოჭებს საწყის ეტაპზე უნდა ვებრძოლოთ. 25 წლიდანაც კი შესაძლებელია მცირე ნაოჭების გაჩენა, გააჩნია კანს. ინიექციური კოსმეტოლოგიიდან ყველა სახის მომსახურება გვაქვს წარმოდგენილი, რომლებსაც პროფესიონალი კოსმეტოლოგები ატარებენ. ჩვენი ყველა პრეპარატი სერტიფიცირებულია და ოფიციალურად ვყიდულობთ. ჩვენ პროდუქციის ხარისხზე პასუხს ვაგებთ, ყველაფერი კონტროლდება და შეესაბამება სახელმწიფოში დაწესებულ სტანდარტს, სტერილიზაციის ჩათვლით – გვაქვს ავტოკლავი, სადაც ყველა ინსტრუმენტს სტერილიზაცია უტარდება.
პროცედურებიდან ასევე უნდა ვახსენოთ მასაჟი: ჩვენთან მასაჟის სპეციალისტს სპეციალური სამედიცინო განათლება აქვს, მასთან პირველივე შეხვედრის შემდეგ ჩვენი ყველა კლიენტი ძალიან კმაყოფილი ტოვებს სალონს. მასაჟი ჩვენს სალონში ტარდება La Sultan De Saba-ს და Babor-ის შესაბამისი ხაზებით. სახის (დეკოლტეს, კისრისა და ზურგის ზონების სრულად დამუშავებით) და სარელაქსაციო მასაჟის გარდა, სადაც შესანიშნავი არომატების თანხლებით ძალიან სასიამოვნო დროს გაატარებთ, გვაქვს სპეციალური ანტიცელულიტური პროგრამა, რომლის 5-7 პროცედურის შემდეგ წელის გარშემოწერილობის 8-10 სანტიმეტრით შემცირებაა შესაძლებელი. ამ პროცედურის შედეგად ხდება ორგანიზმის წიდებისგან გასუფთავება. პირველი პროცედურიდანვე ვაძლევთ მომხმარებლებს შედეგის გარანტიას. ჩვენთან, სილამაზის სალონში, არცერთი პროცედურა არ ტარდება ისე, რომ მომხმარებელს შედეგზე გარანტიას არ ვაძლევდეთ...
ნებისმიერი პროდუქცია, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ, მუშაობს და ამას ადასტურებს ჩვენი მომხმარებლების გამოხმაურებები.



# გზავნილი ფლაკონში

სუნამოს ყიდვისას არც თუ ხშირად ვფიქრობთ, რა ემოციური გზავნილი ახლავს მას თან. არადა, ყოველი პროდუქტის შექმნას ცალკე ისტორია აქვს. ეს ამბები შესაძლოა იყოს სევდიანი, შთაგონებით სავსე, ან რომანტიკული...
**გაგაცნობთ სამი ლეგენდარული არომატის შექმნის ისტორიას.**




Guerlain–ის Mitsouko შეიქმნა, როგორც ქალის არომატი, თუმცა მის თაყვანისმცემელთა შორის იყვნენ კაცებიც, მაგალითად, ჩარლი ჩაპლინი. იგი არა მხოლოდ ხმარობდა ამ სუნამოს, არამედ ავეჯსაც აპკურებდა. ჟან გერლენმა თავისი ქმნილების სრულყოფისთვის თანხა არ დაზოგა და მის შესაფუთად Baccarat–ს ფირმის ოსტატები დაიქირავა. 102 წლის შემდეგაც კი, ეს არომატი კვლავ რჩება GUERLAIN–ის კლასიკად და ყოველ ჯერზე, მისი გახსნისას, კვლავ ვიძირებით მიცუკოს სიყვარულის ისტორიაში... თუმცა, სამწუხაროდ, დღეს აღარ არსებობს ამ არომატის თავდაპირველი ვერსია, რადგან კომპოზიციიდან გამოირიცხა მუხის ხავსი: 2010 წელს პარფიუმერთა ასოციაციამ მისი ამოღება მოითხოვა – პარფიუმერიაში მუხის ხავსის გამოყენება აიკრძალა.

## Mitsouko, *GUERLAIN*

არომატი Mitsouko ჟაკ გერლენმა 1919 წელს შექმნა. გერლენმა აღმოსავლეთი კლოდ ფარერის წიგნის „ბრძოლა“ საშუალებით აღმოაჩინა. მასში მოთხრობილია იაპონელი ადმირალის ცოლის, მიცუკოს შესახებ, რომელსაც რუსეთ–იაპონიის ომის დროს ბრიტანელი ოფიცერი შეუყვარდება. საბოლოოდ მას ომი ორივე საყვარელ კაცს წაართმევს და სხვა გზა არ რჩება, თავს იკლავს. ამ რომანტიკულმა ამბავმა ძალიან იმოქმედა გერლენზე და არომატის შექმნისკენ უბიძგა, რომელიც მომავალში ნამდვილ ლეგენდად იქცა. იაპონურად „მიცუკო“ „საიდუმლოს“ ნიშნავს და ეს სიტყვა საუკეთესოდ აღწერს ამ არომატს. აღმოსავლელი ქალის მსგავსად, ის მშვიდი და იდუმალია – მისი არცერთი ნოტი არ არის ამოვარდნილი კომპოზიციიდან.




MITSOUKO.






## L'Interdit, *GIVENCHY*

L'Interdit-ს ისტორია 1957 წელს დაიწყო, ის მოდის სახლ GIVENCHY–ს პირველი არომატია. დიზაინერის შთაგონების წყარო ოდრი ჰეპბერნი იყო, იუბერ ჟივანშის მუზა მთელი ცხოვრების განმავლობაში და ახლო მეგობარი. ცნობილია, რომ ოდრიმ არა მხოლოდ შთააგონა იუბერი, არამედ გავლენა იქონია ბრენდის ფორმირებასა და სტილზე. L'Interdit–ს არომატი, რომელიც პარფიუმერმა ფრანსის ფაბრონმა შექმნა, ოდრის პირველი დაპკურებისთანავე შეუყვარდა. ამ ქმნილებამ იგი იმდენად მონუსხა, რომ შეკითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა პარფიუმი ფართო საზოგადოებისთვის წარედგინათ, უპასუხა:

„მე თქვენ ამას გიკრძალავთ!“
ასე გაჩნდა სუნამოს დასახელება L'Interdit, რაც ფრანგულად „აკრძალულს“ ნიშნავს. არომატის სახე, ცხადია, ოდრი გახდა. ოდრის აკრძალვის მიუხედავად სუნამოს გაყიდვა დაიწყო და მან მთელ მსოფლიოში მოიპოვა პოპულარობა. ამერიკაში პირველი პარტია, 4000 ეგზემპლარი, რამდენიმე დღეში გაიყიდა. დღეს ამ სუნამოს განახლებული კომპოზიციაა წარმოდგენილი, რომელსაც დაემატა ჟასმინი, ტუბეროზა, ფორთოხალი და სხვა ინგრედიენტები. ფლაკონი კი თითქმის არ შეცვლილა და პირვანდელ ვარიანტს ჰგავს.

## Chanel № 5, *CHANEL*

*Столетний юбилей*






კოკო შანელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ბევრი ისტორია წაგვიკითხავს და მოგვისმენია, მათ შორის, ისიც, თუ როგორ აიძულა მთელი მსოფლიოს ქალბატონები, ეტარებინათ პატარა შავი კაბა, რადგან თავად საყვარელი კაცის გარდაცვალებას გლოვობდა. დღეს სხვა ამბავს მოვყვებით, რომელიც არანაკლებ ლეგენდარული CHANEL №5–ის შექმნას ეხება. ამ სუნამოს, რომელიც ბრენდის ბესტსელერად რჩება, ახლახან 100 წელი შეუსრულდა. არომატზე 1921 წელს მუშაობდა ცნობილი პარფიუმერი ერნესტ ბო. ორმა გენიოსმა მალევე გამონახა საერთო ენა და ერნესტმა კოკოს ასარჩევად 9 არომატი შესთავაზა. როგორც უკვე მიხვდით, კოკომ შეარჩია არომატი №5. მანამდე მან თქვა: „მე გამოვუშვებ არომატს ქალებისთვის, რომელსაც ქალების სუნი ექნება“ და №5 მართლაც ქალურობის სიმბოლო გახდა. კოკოს დახვეწილი და იმ დროისთვის უცნაური გემოვნება ჰქონდა. ფლაკონის შერჩევისას მან არჩევანი თეთრწარწერიან სადა დიზაინზე შეაჩერა. 100 წლის შემდეგ №5–ის იერსახე თითქმის არ შეცვლილა, გარდა ამისა, მოდაში კვლავ დაბრუნდა სადა ფლაკონები.

ამ არომატის სახეები იყვნენ ყველაზე ლამაზი და წარმატებული ქალები. აქ უნდა ვახსენოთ ბრედ პიტი, რომელიც პირველი კაცია, ვისაც ასეთი მნიშვნელოვანი პატივი ერგო, თუმცა Chanel №5–ის ჭეშმარიტ სახედ მერილინ მონრო რჩება, რომელიც გარდაცვალებიდან 50 წლის შემდეგაც ახალი სარეკლამო კამპანიის სახეა. ეს რეკლამები მონროს ძველი ვიდეო და აუდიოჩანაწერების საშუალებით შეიქმნა. ერთ–ერთ მათგანში, რომელიც 1960 წლით თარიღდება, ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რას იცვამს იგი ძილის წინ, მონრო პასუხობს:

„Chanel №5–ის რამდენიმე წვეთს“.












სასაჩუქრე ვაუჩერის სახით შეიძინეთ ნებისმიერი ტიპის მომსახურება:

სარელაქსაციო მასაჟი, აკვა აერობიკის ვარჯიშები, სპის ერთჯერადი ვიზიტი,
სატრენაჟორო დარბაზისა და აუზის ულიმიტო აბონემენტი ან მომსახურების სრული პაკეტი.

ყოველდღე 7:00 საათიდან 23:00 საათამდე







29 Rustaveli Avenue, 0108, Tbilisi, Georgia
T: +995 322 72 72 72 / info.bhtg@biltmorecollection.com

THE BILTMORE
TBILISI

# ენტონი ქუინის მოქანდაკე შვილის ცხოვრება წაგების გარეშე

**ინტერვიუ** ირინა ბელანი
**ფოტო** კრესმასალა

ერთხელ „ოსკაროსანმა“ ვარსკვლავმა ენტონი ქუინმა თქვა: „ქანდაკება უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე სახვითი ხელოვნება. ქანდაკებაში მეტი თავისუფლებაა“. იმის მიუხედავად, რომ სახვითი ხელოვნება მას მთელი ცხოვრება ძალიან უყვარდა, სახელი მაინც ფილმოგრაფიით გაითქვა. სამაგიეროდ მისი ვაჟი, ლორენცო ქუინი, მამამისის შეხედულებით, მართლაც თავისუფალი ადამიანია - იგი მოქანდაკეა იმის მიუხედავად, რომ რვა მხატვრულ ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული. ლორენცო რომში დაიბადა, სახვითი ხელოვნების აკადემია კი ნიუ-იორკში დაამთავრა. მისი ნამუშევრები ორჯერ ვენეციის ბიენალეზე იყო წარმოდგენილი. მათი ნახვა, აგრეთვე, შესაძლებელია დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ყატარის, საფრანგეთის, ამერიკის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ყველაზე ცნობილ არტსალონებში. 55 წლის იტალიელმა მოქანდაკემ და მსახიობმა ჩვენთან ინტერვიუში განმარტა, მსახიობისა და მოქანდაკის კარიერებს შორის რატომ აირჩია უკანასკნელი.

**რამდენად იქონია გავლენა პროფესიის არჩევაზე გარემომ, სადაც გაიზარდეთ?**
ნებისმიერ ადამიანზე აქვს გავლენა ბავშვობას, წარმომავლობას, ოჯახურ ტრადიციებს, განათლებას... არა ვარ ფსიქოლოგი და ვერ ვიტყვი, რამდენად იმოქმედა ამ ყველაფერმა ჩემზე, თუმცა ყოველთვის ვიცოდი, რომ ხელოვნება მაინტერესებდა: მხატვრობა, სიმღერა, მსახიობობა, ქანდაკება... თუკი რამე სხვას გავაკეთებდი, ალბათ, ეს სპორტული კარიერაა. მომწონდა ჩოგბურთი, თხილამურები, ცურვა, ველოსიპედი, მოტოციკლეტი, თუმცა სპორტსმენის კარიერა ძალიან დაძაბული და ხანმოკლეა, როცა მხატვრის შემთხვევაში საქმე პირიქითაა: კარიერა შესაძლოა, ადრე დაიწყოს, გაგრძელდეს მთელი ცხოვრება და სიკვდილის შემდეგაც კი. და თუკი საკმარისად წარმატებული ხარ, შესაძლოა, უკვდავიც გახდე.

**მამათქვენმა, რომელიც ხატვას სწავლობდა და ლეგენდარული არქიტექტორის, ფრენკ ლოიდ რაიდის მოსწავლე იყო, რატომ თქვა უარი ამ საქმიანობაზე?**
ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე უარი თქვა. მამა ძალიან კარგი მსახიობი იყო და გამომუშავებულ ფულს სახლებში აბანდებდა. ყოველთვის აშენებდა, ხშირად არემონტებდა, თავისი გემოვნების მიხედვით აკეთებდა, ყიდულობდა ნახატებსა და ქანდაკებებს. სამწუხაროდ, მსახიობის კარიერა დროში შეზღუდულია. მსახიობი, როგორც წესი, ასაკში აღწევს საკუთარი პროფესიონალიზმის მწვერვალს, თუმცა არავინ უხდის 60 წლისას იმდენს, რამდენსაც 30 წლის ასაკში. ასეთი რამ თითქმის ყველა პროფესიაში გვხვდება, გარდა სახვითი ხელოვნებისა. პირიქით, ასაკთან ერთად მხატვრებზე მოთხოვნა იზრდება. 7 მაისს 55 წლის გავხდი და ჯერ კიდევ ახალგაზრდა მხატვრად ვითვლები.

მამა ძალიან კარგი მსახიობი იყო და გამომუშავებულ ფულს სახლებში აბანდებდა







**ჩამოთვალეთ სამი ადამიანი, რომლებმაც თქვენზე გავლენა მოახდინეს...**
ჩემი ცოლი, მამაჩემი და სალვადორ დალი. ჩემმა ცოლმა კონკრეტული მიმართულება მომცა. ვიცოდი, რომ ხელოვნების დარგში ვიმუშავებდი, თუმცა არ ვიცოდი, ზუსტად რა მინდოდა. ვცდილობდი ხატვას, ვთამაშობდი, ვწერდი სიმღერებს და ვმღეროდი.
ჩემი ცოლი დამეხმარა არჩევანის გაკეთებაში და თავდაჯერებულობა შემმატა. მას ყოველთვის სჯეროდა ჩემი შესაძლებლობებისა. ძალიან მალე წარმატებასაც მივაღწიე. ენტონი ქუინის შვილობა არ ხდის ცხოვრებას უფრო მარტივს. ბედნიერი ვარ, რომ ამ ოჯახში დავიბადე. მშობლებმა მომცეს განვითარებისა და არჩევანის საშუალება, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ. არ მჭირდებოდა ბრძოლა – მათ ყველაფერი მომცეს: კარგი განათლება, მყუდრო სახლი და კეთილდღეობა, თუმცა როდესაც შენი მშობლები ცნობილი ხალხია, ამას უარყოფითი მხარეც აქვს: საზოგადოება შენგან მეტს მოითხოვს და არა გაქვს შეცდომის დაშვების უფლება. თუკი არავინ გიცნობს, შეგიძლია შეცდე, რამდენჯერაც გინდა და პირიქით, როდესაც შენი სახელი ცნობილია, შეცდომები მაქსიმალურად უნდა აირიდო თავიდან. და, რაც მთავარია – თუკი ცნობილი ადამიანის შვილი ხარ, არსაიდან უნდა ელოდო დახმარებას. ადამიანებს აზრადაც კი არ მოსდით, რომ შენ ეს გჭირდება.

**ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ აბსტრაქტული ხელოვნების წარმომადგენლებს. რატომ აირჩიეთ ფიგურატიული სტილი?**
იმიტომ, რომ ჩემი ნამუშევრები მიმართულია კომუნიკაციაზე, გზავნილებისა და ემოციების გაზიარებაზე. თუ მინდა, რომ ჩემი ესმოდეთ, სხვებისთვის გასაგები ხელოვნება უნდა შევქმნა. აბსტრაქტული ხელოვნება ძალიან სუბიექტურია და მხოლოდ მხატვრის სიღრმისეულ განცდებს უკავშირდება. ფიგურატიული სტილი კი იძლევა საშუალებას, მაყურებელი ჩაითრიოს და შენი განცდის თანაზიარი გახადოს.
**რატომ ქმნი ხელოვნების ნიმუშებს?**
იმიტომ, რომ მაქვს სათქმელი და გასაზიარებელი. ეს არ ხდება ფულის გამო. მინდა, რომ გზავნილები ერთობისა და სიყვარულის შესახებ მაქსიმალურად გავაზიარო.

თუ მინდა, რომ ჩემი ესმოდეთ, სხვებისთვის გასაგები ხელოვნება უნდა შევქმნა

«ადამიანებს ერთი წუთიც კი არა აქვთ, რომ თვალი შეავლონ იმას, რაც მათ ირგვლივ ხდება»







«ხელები უნივერსალური სიმბოლოა. თუკი ურთიერთობის საკითხს დავუბრუნდებით, ვთანხმდებით, რომ მთავარია, თქვენი გზავნილი გაიგონ და მიიღონ»

**ბევრ ნამუშევარში, ისეთებში, როგორიცაა:** Dreams come true, Give, Joining hearts, Stop playing, Give from the heart, You are the world **– ხელებზე ფოკუსირდებით. რატომ ხელები?**
ხელები უნივერსალური სიმბოლოა. თუკი ურთიერთობის საკითხს დავუბრუნდებით, ვთანხმდებით, რომ მთავარია, თქვენი გზავნილი გაიგონ და მიიღონ. ბევრ ქვეყანაში სხეულის ნატურალური გამოსახულება დაუშვებელია – შიშველი სხეული არაერთი ქვეყნის კულტურისთვისაა მიუღებელი. ამიტომ ჩემი ნამუშევრების უმრავლესობა, რომლებიც საზოგადოებრივ სივრცეებშია ინტეგრირებული, ხელებს ასახავს. ხელები ყველასთვის გასაგები და მისაღებია. გარდა ამისა, ჟესტები ურთიერთობის საერთაშორისო ფორმაა. შეერთებული ხელისგულები თხოვნას ნიშნავს, ყველასთვის გასაგებია ჟესტი, რომლითაც ადამიანს ეძახი, ანდა შეერთებული თითებით გამოსახული გული.

**თქვენი ქანდაკებები, რომლებიც საზოგადოებრივ სივრცეებშია წარმოდგენილი, რამდენად ახდენს გავლენას ქალაქის ატმოსფეროზე? ჩვენ ხომ მუდმივ მოძრაობაში ვცხოვრობთ...**
ადამიანებს ერთი წუთიც კი არა აქვთ, რომ თვალი შეავლონ იმას, რაც მათ ირგვლივ ხდება, დატკბნენ მარტოობით, უბრალოდ, დაისვენონ და შეიგრძნონ მომენტი, რომელშიც აქ და ამ წამს იმყოფებიან. მე ვქმნი ნამუშევრებს ადამიანისთვის, რომელიც შეიგრძნობს ხელოვნებას, მისი ნაწილი გახდება. როდესაც საზოგადოებრივი სივრცისთვის ვაკეთებ ნამუშევარს, ის ჩემი აღარაა, ხალხს ეკუთვნის. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილს, სადაც ქანდაკება დაიდგმება, ის ხომ გარემოს ბუნებრივად უნდა შეერწყას.

**რომელ ქალაქში გსურთ ქანდაკების დადგმა?**
მინდა, ჩემი ქანდაკებები ისეთ ქალაქებში დაიდგას, რომლებთანაც ჩემი ცხოვრებაა დაკავშირებული. მაგალითად, რომში – რადგან იქ დავიბადე და ის მარადიული ქალაქია. და კიდევ იმიტომ, რომ იქ დგას ხელოვნების შეუდარებელი ნიმუშები, მიქელანჯელოსი, ბერნინის... მინდა, რომში ჩემი დიდი ინსტალაცია იყოს. რა თქმა უნდა, ვოცნებობ, ჩემი ქანდაკება დაიდგას ნიუ-იორკში, რადგან ჩემი კარიერა სწორედ ამ ქალაქიდან დაიწყო. 25 წელია, ესპანეთში ვცხოვრობ და მსურს, ნიუ-იორკში დიდი ინსტალაციით დავბრუნდე, ასევე, ლოს-ანჯელესში, – ეს კიდევ ერთი ქალაქია, სადაც ვცხოვრობდი. ვფიქრობ, აგრეთვე, ლონდონზე, პარიზზე, ჰონკონგზე – ეს არაჩვეულებრივი ადგილებია, სადაც შესაძლებელია, ჩემი ნამუშევრები დაიდგას.



«ჩვენ არაჩვეულებრივი რამ მივიღეთ საჩუქრად - სიცოცხლე. უნდა დავაფასოთ ის, რაც გვაქვს და სანაცვლოდაც გავცეთ»



**რამდენად რთულია ქანდაკებაზე მუშაობა ქალაქებში, რომლებსაც მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა აქვთ, მაგალითად, ვენეციაში?**
პროექტს ადგილობრივი ხელისუფლება ამტკიცებს და, პირველ რიგში, კონცეფცია მათთვის უნდა იყოს მისაღები. აღსანიშნავია, რომ სკულპტურა Support, რომელიც ვენეციისთვის გავაკეთე, თავდაპირველად დაიწუნეს. ყველაფერი ვიღონე იმისთვის, რომ ადგილობრივი მმართველობა დამერწმუნებინა მის აუცილებლობაში და ამას მივაღწიე. ისტორიაში მსგავსი არაფერი მომხდარა და შესაძლოა, ჩემ შემდეგ აღარც მოხდეს. ვენეცია ძალიან რთული ადგილია „ფაბლიქ არტისთვის“, რადგან ეს ქალაქი თავადაა ხელოვნების ნიმუში.
აქ არ არის ბევრი ადგილი ინსტალაციებისთვის, ამიტომ თავად ფაქტი, რომ ობიექტის ექსპონირება შევძელი, ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია. უკვე ოთხი წელია, ჩემი ნამუშევარი აიღეს ვენეციის მთავარი არხიდან და დღემდე ხალხი მის ფოტოებს აქვეყნებს. ეს ნიშნავს, რომ მან შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი ითხოვს ვენეციაში მის დაბრუნებას, ან სხვა ქალაქში გადატანას. მოხარული ვიქნებოდი, ასე რომ მოხდეს, თუმცა, სამწუხაროდ, მე არ ვწყვეტ მსგავს საკითხებს.

«ვენეცია ძალიან რთული ადგილია „ფაბლიქ არტისთვის“, რადგან ეს ქალაქი თავადაა ხელოვნების ნიმუში»



**2019 წელს ვენეციის ბიენალეზე წარმოადგინეთ კომპოზიცია Building Bridges. ამ კომპოზიციაში ხელები ადამიანური ფასეულობების სიმბოლოებადაა ქცეული: სიბრძნე, იმედი, სიყვარული, პატიოსნება, დახმარება, მეგობრობა. მას შემდეგ ბევრი სირთულე გამოვიარეთ. შეიცვალა თუ არა თქვენი ფასეულობები? რას დაამატებდით, ან ამოიღებდით ამ კომპოზიციიდან?**
ფასეულობები არ იცვლება. სიყვარული და ურთიერთდახმარება ყოველთვის საჭიროა, ისევე როგორც სხვა ღირებულებები. მათ არა აქვს მოქმედების ვადა – ისინი 5000 წლის წინაც მნიშვნელოვანი იყო და ასე იქნება მომავალ ათასწლეულებშიც. კაცობრიობა უზარმაზარ მეტამორფოზს განიცდის, თუმცა მთავარი ფასეულობები უცვლელია.

**პატივისცემისა და ურთიერთგაგების ადგილი სადაა?**
ისინი სიყვარულის და სიბრძნის ნაწილებია.

**2020 წელს ფლორენციაში დაიდგა თქვენი სკულპტურა Give – ხე, რომელიც ხელებშია მოქცეული. რის თქმა გსურდათ ამ ნამუშევრით?**
ჩვენ არაჩვეულებრივი რამ მივიღეთ საჩუქრად – სიცოცხლე. უნდა დავაფასოთ ის, რაც გვაქვს და სანაცვლოდაც გავცეთ.



ბუნებამ გვაჩუქა სიცოცხლე, ჩვენ კი მას ვანადგურებთ. დადგა დრო, დავაბრუნოთ ის, რაც მისგან მივიღეთ. სწორედ ამას ამბობს ჩემი სკულპტურა.

**თქვენს სხვა ნამუშევარში** The Force of Nature **ბუნების დამანგრეველი, საშიში ძალა იგრძნობა. როგორ დაგებადათ ეს იდეა?**
ამ სკულპტურის იდეა დაიბადა მაშინ, როდესაც 2004 წელს ტაილანდს ცუნამი დაატყდა თავს და ათასობით ადამიანი დაიღუპა. ამ ნამუშევრით ვამბობ, თუ რამდენად უძლურები ვართ ბუნების ძალის წინაშე. ადამიანები ბუნებას ზედმეტად ქედმაღლურად ვექცევით. ვფიქრობთ, რომ ყველაფრის კონტროლი შეგვიძლია, მათ შორის, ბუნებრივი მოვლენებისაც და ვივიწყებთ, რომ სწორედ მისი ძალით ვარსებობთ. ქანდაკება სწორედ ამას გვახსენებს: მოექეცი ბუნებას პატივისცემითა და ღირსებით და ისიც შესაბამისად გიპასუხებს.

**ერთ-ერთი თქვენი ნამუშევარი – Gaia განასახიერებს ქალს, რომელიც პლანეტას იხუტებს. გჯერათ ქალის უნარის, რომ მას შეუძლია ბალანსის დამყარება კაცობრიობასა და ბუნებას შორის?**
მჯერა! ქალები თავიანთი ბუნებით უფრო ემპათიურები არიან. ისინი სიცოცხლეს გვჩუქნიან, კაცები კი მას გვართმევენ და ეს ძალიან სამწუხაროა. ნახატების უმრავლესობაზე მეომარი კაცები არიან გამოსახულნი. რა თქმა უნდა, ქალებიც იბრძოდნენ, თუმცა მებრძოლი ქალი გამონაკლისი უფრო იყო, ვიდრე წესი. ვფიქრობ, კაცობრიობა ქალების წყალობით გადარჩა. მამის სიყვარული ვერ შეედრება იმ გრძნობას, რასაც დედა განიცდის შვილის მიმართ. ძალიან მიყვარს ჩემი შვილები, ვცხოვრობ მათ გამო და მათი გულისთვის მოვკვდები, თუმცა მამის სიყვარული უფრო მეტად ურთიერთობაზეა აგებული, დედის კი – მტკიცე კავშირზე, რომლის მსგავსი მამას შვილთან ვერასდროს ექნება. ქალებს აქვთ სიცოცხლის მნიშვნელობის სრულად შეგრძნების უნარი. ვისურვებდი, კაცებსაც გვქონდეს ეს განსაკუთრებული თვისება.

«ბევრი ქანდაკება მაქვს გაკეთებული და მათ შორის არის კარგიც და ცუდიც»





**თქვენი მხოლოდ ერთი ნამუშევრის გადარჩენის შანსი რომ გქონდეთ, რომელს აირჩევდით?**
ვერ გავაკეთებ ასეთ არჩევანს! სამი შვილი მყავს, რომ მთხოვოთ რომელიმეს გამორჩევა, ვერ მოვახერხებ. ბევრი ქანდაკება მაქვს გაკეთებული და მათ შორის არის კარგიც და ცუდიც. ყოველი მათგანი ჩემი ცხოვრების გარკვეულ ეტაპს წარმოადგენს და არ ვნანობ არცერთ მომენტს ჩემი ცხოვრებიდან. ცუდი ნამუშევრები მეხმარებოდა უკეთესის გაკეთებაში. როდესაც არ გიმართლებთ, არაფერს კარგავთ – ან იგებთ, ან სწავლობთ. ვერ დააფასებთ ცხოვრებისეულ კარგ მომენტებს, თუკი არ გექნებათ ცუდი.







«თუკი გავიხუმრებ და არ გაგეცინებათ, ეს ნიშნავს, რომ ვერ ვიხუმრე კარგად. ასეა ხელოვნების შემთხვევაშიც – თუკი თქვენამდე არ მოვიდა გზავნილი, ესე იგი, არ ვარგა!»



**როგორ მივხვდეთ, კარგია თუ არა ნამუშევარი?**
თუკი გავიხუმრებ და არ გაგეცინებათ, ეს ნიშნავს, რომ ვერ ვიხუმრე კარგად. ასეა ხელოვნების შემთხვევაშიც – თუკი თქვენამდე არ მოვიდა გზავნილი, ესე იგი, არ ვარგა! რა არის ხელოვნება? ეს არის ჩემი ოცნებები და აზრები, რომლებსაც გადმოვცემ ქანდაკების საშუალებით. ხდება ხოლმე, რომ ხელოვნებას არ მოაქვს სიხარულის განცდა. ეს იმ შემთხვევას ჰგავს, როდესაც ადამიანის გაცნობისას მის მიმართ ცუდად განეწყობით, თუმცა მას თქვენთვის არაფერი დაუშავებია; ან საკვები ისე გამოიყურება, რომ მისი გასინჯვის სურვილი არ გიჩნდებათ. ხელოვნება არ არის რთული მოვლენა, მას მუზეუმები და გალერეები სძენენ ასეთ ელფერს: რაც უფრო რთულად გამოიყურება, მით უფრო მაღალია ფასი. ამ დროს თქვენ თავად იცით, რა მოგწონთ და რა – არა. ხშირად ბოდიშს მიხდიან და მეუბნებიან, რომ არ არიან არტკრიტიკოსები და რომ არ ესმით ჩემი ხელოვნება. ასეთ ხალხს მარტივ შეკითხვას ვუსვამ: თქვენს ქალაქში თუ არის კარგი რესტორნები? რომელ კერძებს გაუწევდით რეკომენდაციას? ისინი იწყებენ ლაპარაკს და ამ დროს ვეკითხები, თუ როგორ გაარკვიეს, რომელი კერძია კარგი? ისინი ხომ არ არიან გასტროკრიტიკოსები? როდესაც სამვარსკვლავიან რესტორანში მიდიხართ და არ მოგწონთ კერძი, რატომ არ უნდა თქვათ ამის შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ რესტორანი სამვარსკვლავიანია? ხელოვნებასთან მიმართებაშიც იგივეა – თქვენ გაქვთ უფლება, თქვათ, მოგწონთ თუ არა, მაგრამ ხალხი ხშირად მალავს საკუთარ აზრს, ამიტომაც ვამბობ მე.

თქვენ გაქვთ უფლება, თქვათ, მოგწონთ თუ არა, მაგრამ ხალხი ხშირად მალავს საკუთარ აზრს

**ლონდონში,** Halcyon Gallery**-ში გაიხსნა თქვენი გამოფენა** Love. **მისი ერთ-ერთი ექსპონატი მარადისობის სიმბოლოა. სიყვარული მარადიულ ფასეულობად მიგაჩნიათ?**
მე-18 საუკუნეში სიყვარული გაამარტივეს. მანამდე ის ხუთი ფორმით არსებობდა: სიყვარული-ნდობა, ვნებიანი სიყვარული, ოჯახის სიყვარული, მეგობრების სიყვარული, საკუთარი თავის სიყვარული. ჩვენ არ შეგვიძლია სიყვარულის გარეშე ცხოვრება, ის გვაძლევს ცხოვრების მიზანს, გვიხსნის, ვისთვის ვცხოვრობთ. პარტნიორთან ერთად გავდივართ სიყვარულის სხვადასხვა სტადიას – დაწყებული ვნებით და დამთავრებული უფრო ამაღლებული სიყვარულით. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თქვენი ურთიერთობა დასრულდა და ერთად აღარ ხართ, მაინც გიყვართ ეს ადამიანი. არ მჯერა, რომ შესაძლებელია, არაფერს გრძნობდე ადამიანის მიმართ, რომელიც გიყვარდა, ამიტომ სიყვარული – მარადიული ფასეულობაა.







# „არაფერია ისეთი სექსუალური, როგორც საკუთარ თავში დარწმუნებული ქალი...“

**ინტერვიუ** სონა ნასიბოვა
**ფოტო** პრესმასალა

როცა შვიდი წლის იყო, მშობლებმა ცეკვის გაკვეთილზე მიიყვანეს, რათა მეგობრები შეეძინა. ვინ იცოდა, რომ გოგონა ყველას განაცვიფრებდა თავისი ჩინებული წარმოდგენებით?! ახლა ბიონსე ნოულს-კარტერი არის ცოცხალი ლეგენდა, ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე კომერციული და მაღალანაზღაურებადი შავკანიანი არტისტი. ის არა მხოლოდ შესანიშნავი მომღერალია - მისი საფირმო სასცენო მოძრაობები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ადამიანები ეუფლებიან მისი განსაკუთრებული ცეკვის სტილს - იქნება ეს ჰიპ-ჰოპი თუ ტრადიციული აფრიკული ცეკვა. ოქსფორდის ინგლისურის ლექსიკონში მისი სიმღერის “BOOTYLISIOUS” (ითარგმნება, როგორც მიმზიდველი უკანალის მქონე) სახელწოდება ოფიციალურ სიტყვადაც კი შევიდა და აღნიშნავს „სექსუალურად მიმზიდველს“. ერთხელ მან გინესის მსოფლიო რეკორდი დაამყარა, როგორც „ინსტაგრამზე ყველაზე მოწონებულმა სახემ“, როდესაც 2017 წელს მისი მეორე ფეხმძიმობის შესახებ განცხადებამ ექვსი მილიონი მოწონება დაიმსახურა გამოქვეყნებიდან პირველი რვა საათის განმავლობაში.

მან ძალიან ბევრი იშრომა იმისთვის, რომ დღემდე მოსულიყო. ბიონსე წარმოადგენს ძალას, ნდობასა და აქტიურობას. ის ეხმარება მარტოხელა დედებს და ბავშვებს სამხრეთ აფრიკაში, რომლებიც შიდსით არიან დაავადებულნი; შიმშილთან საბრძოლველად მან დააარსა „ბიგუდის“ (Beygood) მოძრაობა; 2005 წელს იგი საკვებს აწვდიდა ქარიშხალ „კატრინათი“ დაზარალებულ უსახლკარო ადამიანებს; ბიონსეს კოსმეტოლოგიური ცენტრი ბრუკლინში (ნიუ–იორკი) ადამიანებს ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში ეხმარება და, ამავე დროს, კლიენტებს კოსმეტოლოგიის სასწავლო კურსს უტარებს. მან ფილმ „კადილაკ რეკორდსში“ მონაწილეობისთვის მიღებული მთელი ჰონორარი სარეაბილიტაციო ცენტრს გადასცა. შემთხვევით ვისარგებლეთ და ბიონსეს ვკითხეთ ქალების ძალაუფლების, გენდერული თანასწორობის, მისი მრავალფეროვანი გუნდისა და ბევრი სხვა საკითხის შესახებ.

**ვიცი, რომ მუსიკალური ფილმი „შავი არის მეფე“ (Black is King) თავდაპირველად გაცილებით პატარა პროექტი იყო, რომელიც შემდგომ უფრო ფართომასშტაბიან პროექტში გადაიზარდა. თუ გსურთ, რაიმე სრულყოფილი შექმნათ, ყოველთვის მოგიწევთ მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. როგორ იგებთ, რომ როცა რამეზე მუშაობთ, მაქსიმუმი გააკეთეთ და მუშაობა უნდა შეწყვიტოთ?**
როდესაც მუშაობ ისეთ პროექტზე, როგორიცაა „შავი არის მეფე“, იცით, რომ წარმატებული იყავით, როცა მიიღეთ შეტყობინება, რომლის გაზიარებასაც აპირებდით. ჩემი მიზანი იყო, შემეცვალა სიტყვის „შავი“ აღქმა და მეჩვენებინა, რომ „შავი“ სამეფო სიმბოლოა და ისტორიებითაა მდიდარი. მიმაჩნია, რომ ჩვენ ამას მივაღწიეთ, ასე რომ, ბედნიერი ვიყავი.

**რატომ არის თქვენთვის მნიშვნელოვანი აფრიკული ხელოვნებისა და მოდის ჩვენება?**
აფრიკული ხელოვნებისა და მოდის ჩვენება მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ იქ არიან საოცრად ნიჭიერი ადამიანები, რომლებიც აღიარებას იმსახურებენ, თუმცა ამაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ეს ჩვენს შვილებს და თავად ჩვენ გვიჩვენებს, რომ მეომრები ვართ.

ბიონსე „გრემის“ ისტორიაში ყველაზე მეტჯერ ნომინირებული ქალია, პირველი მომღერალი, რომელმაც ერთ ღამეში ექვსი „გრემი“ მიიღო; პირველი შავკანიანი ქალი, რომელიც სათავეში ჩაუდგა Coachella-ს მუსიკალურ ფესტივალს 2018 წელს; მუსიკალური ჩანაწერების სფეროში მოღვაწე პირველი შავკანიანი შემსრულებელი ქალი, რომელიც ჟურნალ „ვოგის“ ყდაზე (სექტემბრის ნომრის) გამოსახეს

**მოგვიყევით თქვენი მოდის არქივის, „სადღაც აშშ-ში მდებარე მითიური სახლის“ შესახებ – როგორ გამოიყურება ის? შეგიძლიათ თქვათ, რა არის მასში ყველაზე მნიშვნელოვანი?**
მიყვარს, როცა ტანსაცმელს და ფეხსაცმელს მოწესრიგებულად ვინახავ, წესრიგი აუცილებელია იმისათვის, რომ ადვილად შევძლო საჭირო ნივთების პოვნა. ვერასდროს შევარჩევდი ჩემთვის საყვარელ ერთ ნივთს – ასეთი იმდენია და ყველა მათგანი მიყვარს!



ეს იყო ძალიან სახალისო და თან რეალურ დროში ერთმანეთთან დაახლოების კარგი შესაძლებლობა

**როგორ უთავსებთ ერთმანეთს თქვენს საქმიანობასა და შვილებთან დროის გატარებას?**
ყველა დედას სურს, ბავშვებთან ერთად იყოს, თუმცა ყოველთვის არაა ადვილი, მოახერხო სახლში ოჯახთან ერთად ვახშმობა და, ამავე დროს, კომპანიის წარმატებულად მართვა. ეს ის გამოწვევებია, რომელთა წინაშე, ჩემი აზრით, რაღაც მომენტში ყველა მომუშავე დედა აღმოჩნდება ხოლმე. ჩვენც ყველანაირად ვცდილობთ, ამას თავი გავართვათ.

**ბავშვებთან ერთად გატარებულმა კარანტინის პერიოდმა თქვენზე როგორ იმოქმედა?**
ეს იყო ნამდვილი სიმშვიდის დრო, რომელმაც კარგად დაფიქრების შესაძლებლობა მომცა. ბავშვებთან ახლო ურთიერთობისთვის უფრო მეტი დროის გატარება განსაკუთრებული რამ იყო და იზოლაციის პერიოდში მომხდარ ცვლილებებს შემდგომშიც შევინარჩუნებთ. ჩვენ საფუძველი ჩავუყარეთ ტრადიციას სახელწოდებით „მოდის პარასკევები“, როცა ყველანი განსაკუთრებულად ვიმოსებით, ან ტანსაცმელს ვქმნით და ერთმანეთს სურათებს ვუღებთ.  ეს იყო ძალიან სახალისო და თან რეალურ დროში ერთმანეთთან დაახლოების კარგი შესაძლებლობა.

**ერთხელ თქვით, რომ გინდოდათ, თქვენს შვილს მაღალი ემოციური ინტელექტი ჰქონოდა, რადგან, როგორც წესი, დედები თავიან ვაჟიშვილებს არ უვითარებენ იმ თვისებებს, რომლებსაც ქალები ეძებენ მამაკაცებში. რას ურჩევდით ბიჭების დედებს?**
მათ უნდა ვასწავლოთ, იყვნენ ძლიერები და დამცველები. ბიჭები ფიქრობენ, რომ მათგან სწორედ ამას ელიან. მათ ასევე უნდა ვასწავლოთ მზრუნველობა, თანაგრძნობა და სიკეთე – ისტორიულად ეს ის თვისებებია, რომელიც ბიჭებს არ ვასწავლეთ. ძალიან მნიშვნელოვანია თანაგრძნობით სავსე მამაკაცების თაობის აღზრდა.



“ძალიან მნიშვნელოვანია თანაგრძნობით სავსე მამაკაცების თაობის აღზრდა”



"ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲗᲛᲔᲕᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ - ᲔᲡ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲥᲐᲚᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲐᲡ"

**რა ხდის ქალს ძლიერს? შეგიძლიათ დაასახელოთ თქვენს ცხოვრებაში ძლიერი ქალის რამდენიმე მაგალითი, რომლებიც თქვენი შთაგონების წყაროს წარმოადგენენ?**
დედაჩემი ყოველთვის იყო დაინტერესებული იმით, რომ ქალებს თავი ლამაზად ეგრძნოთ. მისთვის მნიშვნელოვანი იყო, გარშემორტყმული ყოფილიყო აფრიკული ხელოვნებით, რათა შეგვძლებოდა მასში საკუთარი თავის დანახვა. ის ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სხვის მიერ შენი დანახვა და შეფასება, არამედ იმის დანახვა, თუ ვინ ვართ ჩვენ სინამდვილეში.

**რა იყო ყველაზე დიდი გაკვეთილი, რომელიც დედათქვენმა გასწავლათ?**
დედაჩემს ყოველთვის ჰქონდა ურთიერთობის ძალიან უჩვეულო მანერა. როდესაც საუბრობს, მისი ნათქვამი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვები – მის ნათქვამს განსაკუთრებული ენერგია ახლავს. მან მასწავლა, რომ საუბრის მანერა, ურთიერთობების დამყარების ფორმა და ის, თუ როგორ ვაგრძნობინებთ თავს ჩვენს შვილებს, ყველაზე მნიშვნელოვანი რამეა.

**რომელია თანასწორობის განხორციელების ადეკვატური საშუალება იმისათვის, რომ ქალებმაც და კაცებმაც თავი კომფორტულად იგრძნონ? როგორ შეიძლება იყვნენ ქალები მამაკაცებივით ძლიერები და, ამასთან, ქალურობა არ დაკარგონ?**
ჩვენი ქალურობის წართმევაზე ლაპარაკი არც არასოდეს ყოფილა – ეს არ ნიშნავს ძლიერ ქალად ყოფნას. ეს ნიშნავს ახალგაზრდა გოგონებისთვის იმის სწავლებას, რომ მათ აქვთ უნარი, ადამიანისთვის შესაძლებელ მაქსიმალურ შედეგებს მიაღწიონ ყველა იმ საქმეში, რომელსაც აკეთებენ, მათ შორის, იმ დარგებში, სადაც მამაკაცები დომინირებენ. როგორც ქალებმა, ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მიზნები, ვიყოთ დამოუკიდებლები და დარწმუნებულები იმაში, რომ საკუთარ მომავალს ჩვენ თვითონვე განვსაზღვრავთ.



> ყველას აქვს თავისი პრობლემები, მაგრამ მთავარია, ერთმანეთის გვერდით ვიყოთ

**წარმატებული მეწარმე ქალების ბევრი მაგალითი არ გქონიათ, განსაკუთრებით თქვენს სფეროში, თუმცა მაინც აირჩიეთ, საკუთარ გზას გაჰყოლოდით. თავიდან ვერავინ შეძლებს წარმოიდგინოს, თუ რამდენად რთული შეიძლება იყოს საკუთარ ცხოვრებაზე სრული პასუხისმგებლობის აღება. რა შეგიძლიათ ურჩიოთ მათ, ვისაც ეშინია თავის ცხოვრებაში რაიმე მასშტაბურის დაწყება?**
ძალა ბუნებრივად არ გვეძლევა, განსაკუთრებით ქალებს; ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისი მიღება. ბიზნესი და თავაზიანობა – ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი რამაა. ბიზნესში უნდა იყოთ სამართლიანი, თუმცა თავაზიანობა საჭირო არ არის. უნდა იყოთ მტკიცე და მიაღწიოთ დასახულ მიზანს.

**გრძელვადიანი ურთიერთობა შოუბიზნესში იშვიათი მოვლენაა. რომელია თქვენთვის ის ძირითადი მომენტები, რომელთა მეშვეობითაც ახერხებთ მეუღლესთან ჰარმონიული ურთიერთობების შენარჩუნებას მაშინ, როცა ორივე ძალიან ხართ დაკავებული საკუთარი საქმიანობით? როგორ შეიძლება ქალის და მამაკაცის წყვილმა შეინარჩუნოს თავისი გრძნობები წლების განმავლობაში?**
ქალსა და მამაკაცს შორის დარღვეული ურთიერთობების ისეთი ისტორია გამოვიარე, სადაც ადგილი ჰქონდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და უნდობლობას. როდესაც ეს ცხადად დავინახე, შევძელი ჩემს საკუთარ ურთიერთობებში კონფლიქტის მოგვარება. ჩემი ქმარი არის არა მხოლოდ არაჩვეულებრივი მამა, არამედ საოცრად დიდი დასაყრდენი ჩემთვის. ეს ის არის, რაც ყველას ეხება – ყველას აქვს თავისი პრობლემები, მაგრამ მთავარია, ერთმანეთის გვერდით ვიყოთ, როცა ეს ნამდვილად გვჭირდება.

**რამდენად არის კავშირში სექსუალურობა ფემინიზმთან?**
სექსუალობა არის ის, რაც საუკუნეების განმავლობაში მამაკაცების უმეტესობას სურდა, რომ ქალებს ჰქონოდათ. დღეს სექსუალურობა შეიძლება იყოს რეალური დაბრკოლება ბიზნესში; კაცებს, უბრალოდ, არ სურთ აღიარონ, რომ მათი თანასწორები ვართ მაშინ, როცა ქალურად გამოვიყურებით. ჩემზეა დამოკიდებული, ამ სიტყვას თქვენ როგორ განმარტავთ. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ჩავიცვათ სექსუალური კაბა და თავი კარგად ვიგრძნოთ, მაგრამ ქალის ყველაზე მიმზიდველი თვისება მისი თავდაჯერებულობაა. არაფერია ისეთი სექსუალური, როგორც საკუთარ თავში დარწმუნებული ქალი.









> სრულიად დაუფარავად ვაცხადებ, რომ მომწონს სამუშაოზე აყვანის დროს ქალებისთვის წამყვანი პოზიციების შეთავაზება
>
> BEYONCÉ



**როგორ გესახებათ თქვენი სამომავლო კარიერა? შეგიძლიათ გაგვიმხილოთ მომავალი წლებისთვის თქვენი გეგმები და მიზნები?**

ჯერ კიდევ მაქვს ოცნებები და ჯერ კიდევ ბევრი რამის მიღწევა მინდა. როგორც კი ერთ საქმეს დავასრულებ, იქვე კიდევ უფრო მაღალ მიზანს ვისახავ – სწორედ ასე მოვედი დღევანდელ დღემდე.

**თქვენი გუნდი ძალიან მრავალფეროვანია. როგორ ირჩევთ იმ ადამიანებს, რომლებთანაც მუშაობთ?**

სრულიად დაუფარავად ვაცხადებ, რომ მომწონს სამუშაოზე აყვანის დროს ქალებისთვის წამყვანი პოზიციების შეთავაზება. ქალები არაჩვეულებრივები არიან, მათ აქვთ ძალიან კარგ ხედვა და თანაგრძნობა, როცა საჭიროა გადაწყვეტილების მიღება, თუ რა იქნება საქმისთვის ყველაზე უკეთესი. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა გოგონებმა ქალები იხილონ ხელმძღვანელების, აღმასრულებელი პირების როლში და გააცნობიერონ, რომ ეს ყველაფერი სრულიად შესაძლებელია.

„არც თუ ისე ბევრ შავკანიან ქალს ჰქონდა ადგილი მაგიდასთან, ამიტომ მომიწია წავსულიყავი ხის მოსაჭრელად და ჩემი საკუთარი მაგიდა დამემზადებინა. შემდეგ მომიწია საუკეთესო ხალხის მოწვევა და მათ ამ მაგიდასთან დასხდომა შევთავაზე. ეს გულისხმობდა ქალების, მამაკაცების, გარეშე პირების, უიღბლოების, ისეთი ადამიანების სამუშაოდ აყვანას, რომლებიც შეუმჩნეველნი დარჩნენ და ყურადღების მიქცევას ელოდებოდნენ. შემოქმედებითი და ბიზნესის სფეროების ბევრ საუკეთესო წარმომადგენელს, მათი უმაღლესი კვალიფიკაციისა და დიდი ნიჭის მიუხედავად, მსხვილი კორპორაციების აღმასრულებელი პირები კვლავ და კვლავ უარს ეუბნებოდნენ იმის გამო, რომ ისინი ქალები იყვნენ, ან იმის გამო, რომ მათ რასობრივი ნიშნით გამოარჩევდნენ. ძალიან ამაყი ვარ, რომ მათ ჩემს მაგიდასთან მივუჩინე ადგილი“, – თქვა ბიონსემ იუთუბის არხზე ონლაინ ღონისძიების „2020 წლის ძვირფასი კლასი“ (Dear Class of 2020) მიმდინარეობისას პირდაპირ ეთერში.

> “ჯერ კიდევ მაქვს ოცნებები და ჯერ კიდევ ბევრი რამის მიღწევა მინდა”



# ერთნი ცხოვრობენ; მეორენი ცხოვრებას უყურებენ. მე მესამე ჯგუფს მივეკუთვნები...

# ტილდა სვინტონი

**ინტერვიუ** თათიანა როზენშტაინი **ფოტო** პრესმასალა

თავისუფლების მოყვარე, მრავალმხრივი, ბლოკბასტერებსა და არტჰაუსში თანაბრად წარმატებული, „ოსკარისა“ და სხვა მრავალი პრიზის მფლობელი, მათ შორის, „ოქროს ლომისაც“, რომელიც პანდემიის პირობებში ჩატარებულ ვენეციის 77-ე ფესტივალზე მიიღო მსოფლიო კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის... ნახევარი წლის წინ ტილდა სვინტონმა 60 წლის იუბილე აღნიშნა, თუმცა ასაკი მისთვის არაფერს ნიშნავს. იგი ყოველწლიურად მონაწილეობს 4-5 ფილმში და დღეს იმაზე მეტად დაკავებულია, ვიდრე ახალგაზრდობაში. „ჩემი ასაკი კვლავ მოდაში შემოდის“, - ხუმრობს იგი. მის ბოლო ნამუშევრებს შორისაა პედრო ალმოდოვარის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ადამიანის ხმა“, რომელიც რეჟისორმა საკუთარი „კარანტინის დღიურების“ მიხედვით გადაიღო. ასევე უკანასკნელი პროექტების რიცხვშია უეს ანდერსონის კომიკური მელოდრამა „ფრანგული მაცნე. გაზეთ „ლიბერთის“ დანამატი. კანზას ივნინგ სანი“.

თავისუფლების მოყვარე, მრავალმხრივი, ბლოკბასტერებსა და არტჰაუსში თანაბრად წარმატებული






**მოგვიყევით პედრო ალმოდოვარის პროექტის შესახებ. ეს ხომ მისი პირველი ინგლისურენოვანი ფილმია...**

დიდი ხანია, ვგეგმავდით თანამშრომლობას, თუმცა პანდემიამ მოგვისწრო, საზღვრები ჩაიკეტა, მოგზაურობა აიკრძალა და ყველა გადაღება გაჩერდა. პედრომ თავის ჩანაწერებს გადახედა და თქვა: „ფილმი, რომელშიც მონაწილეობს მხოლოდ ერთი ქალი და ძაღლი – ამის გადაღებას შევძლებთ“. ბევრი წლის წინ მან დაწერა პიესა ჟან კოქტოს მოტივების მიხედვით, „ქალები ნერვული აშლილობის ზღვარზე“, რომლის ადაპტაციაც ნაწილობრივ ამ ფილმში მოახერხა. ქალის ისტორია, რომელიც გიჟდება კაცისადმი სიყვარულის გამო. ერთ-ერთ სცენაში ჩემი გმირი გამოიპრანჭება წვეულებაზე წასასვლელად, თუმცა სახლში დარჩენას გადაწყვეტს. მეორე წამს იგი უკვე აივანზე დგას და გადახტომა სურს. მთელი სიუჟეტი ამ ქალის გარშემო ტრიალებს, მხოლოდ ხანდახან ვხედავთ კადრში ძაღლს. „ადამიანის ხმა“ – ქალის ხმაა, რომელიც მარტოობისგან იტანჯება. ჩემთვის ეს ფილმი სურვილების თავისებურებებს, რისკს, როგორც სიცოცხლის განუყოფელ ნაწილს, სიყვარულს ეხება. ამ მოცემულობაში ორი სული იტანჯება: ქალი და მისი ძაღლი, რომელმაც პატრონი დაკარგა.

**ალმოდოვარი ქალების დიდი მცოდნეა, ყველა ფილმი მათ ეძღვნება. თქვენ რით მოგწონთ მისი ფილმები?**

ხშირად მიმიღია მონაწილეობა ფანტასტიკური ჟანრის ფილმებში, გავიხსენოთ თუნდაც „ნარნიის ქრონიკები“, თუმცა ყველა ამ ფილმში ფანტაზიები იქმნებოდა ვირტუალური რეალობის საშუალებით, პედროს კი არ აინტერესებს ტექნიკური ხრიკები, იგი ტექნოლოგიების გარეშე ქმნის ზღაპარს. მისი სამყარო თავისთავად სავსეა ფერებით, ემოციებით, სურვილებით, მუსიკით... მომწონს პედროს ესთეტიკური ხედვა. სცენარზე მუშაობის დასრულებისთანავე იგი დამდგმელ მხატვართან მიდის და ამ უკანასკნელს რამდენიმე თვე სჭირდება შესაბამისი გარემოს შესაქმნელად. ალმოდოვარის ინტერიერები ძალიან ეკლექტიკური, მკაფიო და თანამედროვეა. მისი მუდმივი დამდგმელი მხატვარი ამბობს, რომ ინტერიერი პედროსთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც გმირები. არანაკლებ დრამატულია

რეჟისორი მოდის უკანასკნელი ტენდენციების დიდი მცოდნეა

> „არასდროს მესმოდა, რას ნიშნავს „კარიერა“. განა შესაძლებელია კინოში კარიერის გაკეთება?“

კოსტიუმები. რეჟისორი მოდის უკანასკნელი ტენდენციების დიდი მცოდნეა. ფილმი იხსნება კადრით, სადაც ჩემს გმირს აცვია თვალისმომჭრელი წითელი სამოსი „ბალენსიაგას“ 2020 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციიდან, ხოლო როდესაც იგი მაღაზიაში ნაჯახის საყიდლად შედის, ფირუზისფერ კოსტიუმშია გამოწყობილი და ხელში Chanel-ის ჩანთა უჭირავს. სტილი არაჩვეულებრივ სილამაზეს მატებს მის ფილმებს და ხაზს უსვამს მოქმედებას. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რის გამოც მომწონს მისი ფილმები: მაგალითად, „ადამიანის ხმაში“, იმის მიუხედავად, რომ სიუჟეტს კოქტოს დაესესხა, აქცენტს სვამს თანამედროვე, თავისუფალ და დამოუკიდებელ ქალზე, იგი არ უწევს ექსპლუატაციას გმირს, არ ძირავს მას ინფანტილურ უძრაობასა და კაცისადმი ყურმოჭრილ მორჩილებაში, გვაჩვენებს მას მოქმედებაში, რომლის დროსაც იგი ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლას ცდილობს. მაშინაც კი, როდესაც კაცებს კარგავენ, ისინი არ ტყდებიან და ყოველთვის იმარჯვებენ. მისმა ქალებმა იციან გადარჩენა.

**როგორი დამოკიდებულება გაქვთ გამოწვევების მიმართ? თქვენი ხანგრძლივი და წარმატებული კარიერის განმავლობაში, ალბათ, არაერთი გამოწვევა გქონიათ...**

არასდროს ვვარდები დეპრესიაში, გამოწვევას ვიღებ, როგორც შანსს, გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები. კრიტიკულ სიტუაციებში ბრაზს აზრი არა აქვს და არ ღირს იმედის დაკარგვა. კრიზისულ პერიოდებში არაფერი ახალი არ არის, ისინი ყოველთვის იყო და იქნება.

**ვენეციის კინოფესტივალზე „ოქროს ლომის“ მფლობელი გახდით კარიერული მიღწევების გამო. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ასეთი აღიარების მიმართ?**

არასდროს მესმოდა, რას ნიშნავს „კარიერა“. განა შესაძლებელია კინოში კარიერის გაკეთება? ვფიქრობ, ადამიანები ორ კატეგორიად იყოფიან: ერთნი ცხოვრობენ, მეორენი კარიერას იკეთებენ. მე პირველ ჯგუფს მივეკუთვნები. არ ვიქმნი კინოს საშუალებით კარიერას, მე ვცხოვრობ კინოთი.

ფილმის გადაღებისას გადამღებ ჯგუფთან ერთად კი არ ვმუშაობ, არამედ მათთან ერთად ვცხოვრობ. ვიკრიბებით, ერთად ვამზადებთ, ვსხედვართ კაფეში, ვკამათობთ, ვხუმრობთ, ვიცინით – მოკლედ, ვიზრდებით და ვბერდებით ერთად. ჩვენი ფილმები ამ მეგობრობის ნაყოფია. როდესაც ვენეციის ფესტივალის დაჯილდოების ისტორია ვნახე, სიებში ბევრი ჩემი კერპი აღმოვაჩინე. მათთან გვერდით ერთ რიგში დგომა დიდი პატივია. მაგალითად, მათ შორის არის ჯული ენდრიუსი – პირველი ფილმი, რომელიც ვნახე, სწორედ მისი მონაწილეობით იყო. ადრე კინოთეატრებში პროგრამებს არიგებდნენ, ეს პროგრამა დიდხანს მედო ბალიშის ქვეშ... ამ სიაში პედრო ალმოდოვარიცაა. ჩვენი ერთობლივი ნამუშევრის შემდეგ იგი ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი გახდა ჩემს ცხოვრებაში.

**ერთ–ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ არასდროს ილტვოდით მსახიობობისკენ...**
მართალია. ახალგაზრდობაში ძალიან მიწიერი ოცნებები მქონდა. მინდოდა, მეცხოვრა საკუთარ სახლში, შოტლანდიური პეიზაჟებით გარშემორტყმულს, მქონოდა ბოსტანი... ვოცნებობდი ოჯახზე, მეგობრებზე და ბევრ ძაღლზე. შეიძლება ითქვას, ეს ოცნებები ამიხდა კიდეც, დანარჩენი მხოლოდ ამ ოცნებების სასიამოვნო დანამატია. არასდროს მიძებნია პროექტები, რეჟისორები თავად მპოულობდნენ და თუკი მათი იდეები გამიტაცებდა, მაშინ გუნდის წევრი ვხდებოდი. გადაღებების შემდეგ ჩემს მშვიდ ცხოვრებას ვუბრუნდებოდი.

“

დარწმუნებული ვარ, უნდა ვერიდოთ ისეთ ხალხს, ვინც ჩვენს გრძნობებს ბლოკავს

”

არასდროს მაინტერესებდა ფილმები, რომლებიც პოპულარობას და დიდ ფულს მომიტანდნენ

ყველა რეჟისორი, რომელთანაც მიმუშავია: ლუკა გუადანიო, უეს ანდერსონი, ჯიმ ჯარმუში და ახლა უკვე პედრო ალმოდოვარი – ჩემი ახლო მეგობრები არიან. არასდროს მაინტერესებდა ფილმები, რომლებიც პოპულარობას და დიდ ფულს მომიტანდნენ. არ მაინტერესებს კინო, როგორც ინდუსტრია, ამიტომ არასდროს ვფოკუსირდები ჰოლივუდზე, თუმცა ჰოლივუდის პროექტებზეც ვიტყვი ორ სიტყვას: იმ მომენტისთვის, როდესაც ე. წ. მეინსტრიმზე ვთანხმდებოდი, ეს პროექტები პოპულარობით არ სარგებლობდა. მაგალითად, ენდრიუ ანდერსონის „ნარნიის ქრონიკები“ დიდ ექსპერიმენტად ითვლებოდა და მას დაფინანსების მოპოვება საკმაოდ უჭირდა. იგი მხატვრულ კინოში ანიმაციიდან მოვიდა და „ნარნიის ქრონიკები“ მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია. ფრენსის ლოურენსის „უკუნის მბრძანებელს“ კიანუ რივზის გამო დავთანხმდი. სტუდიების აზრის საპირისპიროდ, მას არ ვთვლი კომერციულ მსახიობად.

**თქვენი პირველი გამოცდილება კინოში დერეკ ჯარმენის „კარავაჯო“ იყო. თქვით კიდეც, რომ მისი წყალობით გახდით მსახიობი.**
დერეკი 80–იან წლებში გავიცანი და კინო ჩემთვის მაშინ არაფერს ნიშნავდა, თუმცა დერეკი არ იყო მხოლოდ რეჟისორი, ის იყო მხატვარიც და მსახიობიც. მისი „თანამედროვე ბუნება“ დღემდე ჩემი ერთ–ერთი საყვარელი წიგნია. როდესაც დერეკმა თავისი დაავადების შესახებ განაცხადა, დღიურის წერა დაიწყო. ეს სიკვდილთან მიახლოებული ადამიანის ფიქრებია, მოკლე ესეები კაცობრიობის ისტორიის, ბუნების მშვენიერების შესახებ. იგი ეხება ცხოვრებისეულ სიხარულს, ქვებისგან შექმნილ ბაღს და ფილმების გადაღების პროცესს.



დერეკი თავის ფილმებს თითქმის უფასოდ იღებდა. გადაღებები წვეულებებს ჰგავდა: ვუკვეთდით სასმელს, წასახემსებელს, ვრთავდით მუსიკას და ვინაწილებდით როლებს. ცივილიზაციას მოშორებულ შოტლანდიურ სოფელში გაზრდილი გოგოსთვის ასეთი მოვლენები დიდი აღმოჩენა იყო. საბედნიეროდ, ცხოვრების ამგვარმა წესმა არ ჩამითრია და არ გავხდი „ქალაქელი ნევროტიკი“. დღემდე შორს ვარ ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელებისგან, რომელთა ტყვეობაშიც არიან ჩვენი თანამედროვეები. ყოველი პროექტის შემდეგ ჩემს გორაკებს და მინდვრებს ვუბრუნდები, სადაც განმარტოების საშუალება მაქვს. ვფიქრობ, მხოლოდ სიჩუმეში მოსდის ადამიანს გენიალური იდეები.

**დღევანდელ ფესტივალებზე ყოველი მეორე ფილმის რეჟისორი ქალია. რატომ გახდა ეს ასეთი აქტუალური?**
კრიზისებისა და ომების დროს, როდესაც კაცები ფრონტზე მიდიოდნენ, ქალები მათ ადგილს იკავებდნენ. არსებობს აზრი, რომ რაღაც მსგავსია ესეც, თუმცა არ ვიზიარებ ამ მოსაზრებას. ასაკი, სქესი და სხვა პირობითობები მხოლოდ მაშინ ხდება ათვლის წერტილები, როდესაც ჩვენ ვცდილობთ სხვის პრიორიტეტებში შეჭრას. დარწმუნებული ვარ, უნდა ვერიდოთ ისეთ ხალხს, ვინც ჩვენს გრძნობებს ბლოკავს, გვზღუდავს და ამისთვის ისეთ აღიარებულ კლიშეებს იყენებს, როგორიცაა ასაკი თუ სქესი.

ახალგაზრდობაში ძალიან მიწიერი ოცნებები მქონდა. მინდოდა, მეცხოვრა საკუთარ სახლში, შოტლანდიური პეიზაჟებით გარშემორტყმულს, მქონოდა ბოსტანი...



”
დღემდე შორს ვარ ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელებისგან
“
TILDA SWINTON

**შეგიძლიათ მოგვიყვეთ, როგორ გაატარეთ დრო იზოლაციაში?**
ჩვევები უცვლელი დარჩა: სიამოვნებით ვამზადებ, ვუვლი ბაღს, ვკითხულობ... თუმცა იზოლაციამ ბევრი რამის გადაფასება გვასწავლა და ცხოვრების სტილზე დაგვაფიქრა. ბევრი ძველი ფილმი ვნახე თავიდან, მათ შორის, ჩემი მონაწილეობით. მაინტერესებდა, შეიცვალა თუ არა ჩემი მიდგომა ცხოვრების მიმართ. იყო ამ პერიოდში ნოსტალგიური მომენტებიც – მენატრებოდა მოგზაურობა. ასეთ დროს ვუყურებდი დევიდ ატენბოროს დოკუმენტურ სერიას „ცისფერი პლანეტა“. თუკი არსებობს ადამიანი, რომელიც ჩვენს პლანეტას იცნობს, ეს დევიდ ატენბოროა. იგი ნამყოფია სამხრეთ პოლუსზე და საჰარაში, გადაიღო ასობით დოკუმენტური ფილმი ველური ბუნების შესახებ, იღებდა შენელებული კადრით, რაც საშუალებას იძლევა, თვალი ადევნო მოვლენებს, რომლებსაც შეუიარაღებელი თვალით ვერ დაინახავ. ეპიდემიამ დაგვაშორა, თუმცა კინოს შეუძლია ჩვენი გადაყვანა იქ, სადაც მოვისურვებთ.

**რომელ ფილმებში გნახავთ უახლოეს მომავალში?**
უეს ანდერსონის „ფრანგულ მაცნეში“, სადაც გამოგონილი გაზეთის კორესპონდენტს ვთამაშობ. როგორც ყოველთვის, უესთან ჩემი როლი საკმაოდ კომიკურია. მისი ფილმები ქაოსური და უშრეტი ფანტაზიით სავსეა, სხვადასხვა გამოგონებისგან შემდგარი ჭრელი მოზაიკაა. აქ ერთადაა თავმოყრილი ქეჩის ფაბრიკა, სადაც უამრავი უცნაური ინსტრუმენტია, ორად გაყოფილი თვითმფრინავები, მიტოვებული სხვენები... როგორ ახერხებს უესი ამგვარი სამყაროების შექმნას, ჩემთვის დღემდე გაუგებარია.

მისი ფილმები უზარმაზარ კიდობანს ჰგავს, რომელიც სავსეა იშვიათი განძით. მეორე პროექტია ჯოანა ჰოგის „სუვენირის“ გაგრძელება. ჯოანა გავიცანი, როდესაც 10 წლისები ვიყავით და მას შემდეგ ვმეგობრობთ. უკვე ორი ფილმი გადავიღეთ ერთად და ახლა მესამეზე ვმუშაობთ. პირველ „სუვენირში“ ჩემს ქალიშვილთან ერთად ვიმუშავე, თუმცა ახლა მას სხვა ინტერესები აქვს, სახლიდან წავიდა და ედინბურგის უნივერსიტეტში ფსიქოლოგიას სწავლობს.

პირველ „სუვენირში“ ჩემს ქალიშვილთან ერთად ვიმუშავე, თუმცა ახლა მას სხვა ინტერესები აქვს

“ ეპიდემიამ დაგვაშორა, თუმცა კინოს შეუძლია ჩვენი გადაყვანა იქ, სადაც მოვისურვებთ ”



# Dossier

- ტილდა ძველი შოტლანდიური გვარის წარმომადგენელია, რომლის ძირი მე-9 საუკუნემდე მიდის. სუინტონების ოჯახს აქვს საკუთარი გერბი და სასახლე.

- გარდამტეხი მომენტი ტილდასთვის იყო 1985 წელს დამოუკიდებელი კინოს რეჟისორის, დერეკ ჯარმენის გაცნობა, მისი ფილმის, „კარავაჯოს“ კასტინგის დროს.

- პერიოდულად ტილდა იწყებს მონაწილეობას არტჰაუსის გამოფენებში, როგორც არტობიექტი. 2013 წელს იგი რამდენიმე დღე იწვა შუშის ყუთში, ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში.

- კინოკარიერის 35 წლის განმავლობაში ტილდა სვინტონი 18-ჯერ აღიარეს საუკეთესო მსახიობად სხვადასხვა პრესტიჟულ კინოფორუმზე, 2008 წელს მიიღო „ოსკარი“ ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის (ფილმი „მარკ კეიტონი“, 2008 წ.)

- ტილდა ხშირად არის ცნობილი ბრენდების სახე, როგორიცაა: CHANEL, GENTLE MONSTER, HAIDER ACKERMANN, LOEWE, VIKTOR & ROLF.

- ტილდამ დააარსა სკოლა DRUMDUAN UPPER SCHOOL, სადაც არ არიან მასწავლებლები, არც სახელმძღვანელოებია, გაკვეთილები ტარდება ურთიერთობის ფორმატში სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებთან ერთად.

- ქალისა და მამაკაცის საწყისების ერთობლიობა ტილდაში ბევრ რეჟისორთან ასოცირდება ანდროგენობასთან, რომელიც ასე მოთხოვნადია თანამედროვე ხელოვნებაში. 2021 წელს ეპატაჟურმა ტილდა სვინტონმა თაყვანისმცემლებს ახალი ინტრიგა შესთავაზა და თავი ქვიარ-პერსონად დაასახელა.



**ინტერვიუ** სონა ნასიბოვა
**ფოტო** პრესმასალა

# ცხოვრება კადრს მიღმა

„თუ ლუპიტას უკანასკნელი დროის სამ კაბას მაინც ვერ დაასახელებთ, დიდი ალბათობით, ინფორმაციულ ვაკუუმში ცხოვრობთ“, – ეს სიტყვები ერთ-ერთი სტატიიდან მეხსიერებაში კარგად ჩამებეჭდა. ლუპიტა ნიონგო მართლაც დიდი გემოვნებით იცვამს და მისთვის ტანისამოსს ვარსკვლავური სტილისტი მიქაელა ერლანგერი არჩევს, თუმცა თვალში საცემი გარეგნობის მიღმა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი თვისებები იმალება.

2014 წელს ლუპიტამ ქალის მეორეხარისხოვანი როლისთვის ფილმში „12 წელი მონობაში“ „ოსკარი“ დაიმსახურა. ეს იყო მისი პირველი როლი სრულმეტრაჟიან კინოში და ლუპიტას შესახებ ბევრმა პირველად სწორედ მაშინ შეიტყო. ლუპიტას მამა - პროფესორი, წარსულში კენიის გეგმარებისა და ეროვნული განვითარების მინისტრი იყო, დღეს კი კენიის ერთ-ერთი ოლქის, კისიმუს გუბერნატორია. დედამისი კიბოსთან ბრძოლის ფონდს - AFRICA CANCER FOUNDATION-ს ხელმძღვანელობს და აფრიკის 20 ყველაზე გავლენიან ქალს შორისაა.

კარგი განათლება და აღზრდა შედეგს ყოველთვის იძლევა. იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ლუპიტა ნიონგო ვერ დარჩა გულგრილი სხვისი უბედურების მიმართ. ალბათ, არც არის შემთხვევითი, რომ მისი როლების უმრავლესობა სოციალურ უთანასწორობას უკავშირდება. თავისი სადიპლომო ნაშრომი - „ჩემი გენები“ მან კენიაში მცხოვრებ ალბინოსებს მიუძღვნა. ლუპიტა აქტიურად ეხმარება უგანდაში ქალებსა და ბავშვებს სოციალური პრობლემების დაძლევაში ორგანიზაცია MOTHER HEALTH INTERNATIONAL-თან ერთად, ხოლო მისი წიგნი “SULWE” მოგვითხრობს გოგონას შესახებ, რომელიც საკუთარი კანის ფერის გამო განიცდის. 2019 წელს ეს წიგნი, NEW YORK TIMES-ის თანახმად, ბესტსელერი გახდა.

ინტერვიუ ლუპიტა ნიონგომ ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის, WILDAID-ისა და მაიკლ კორსის საერთაშორისო პროექტის, WATCH HUNGER STOP-ის ელჩის სტატუსით მოგვცა.

*„თუ ლუპიტას უკანასკნელი დროის სამ კაბას მაინც ვერ დაასახელებთ, დიდი ალბათობით, ინფორმაციულ ვაკუუმში ცხოვრობთ“*

**მ ოგვიყევით სერიალის „ლედი ტბაში“ შესახებ: რით მოგხიბლათ სცენარმა და რატომ დათანხმდით მონაწილეობას?**

სერიალი ლაურა ლიპმანის არაჩვეულებრივ რომანს ეფუძნება და უარის თქმა, უბრალოდ, არ შემეძლო. ტელევიზიის ფორმატს მიუჩვეველი ვიყავი, ეს არ არის კინო, სადაც მთელი ისტორია ორ საათში ეტევა. მიმიზიდა იმანაც, რომ სიუჟეტის განვითარება აუჩქარებლადაა შესაძლებელი და გმირების ხასიათი ახლო კადრითაა ნაჩვენები.

**დიდ დროს უთმობთ ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და ველური ბუნების შენარჩუნების საკითხებს და, როგორც წესი, მონაწილეობთ ფილმებში, რომლებშიც მწვავედ დგას სოციალური პრობლემები. თქვენი სოციალური შეხედულებები თუ ახდენს გავლენას როლების შერჩევისას?**

პირველ რიგში, ჩემი ამბიციების რეალიზებას ვახდენ და ვარჩევ როლებს, რომლებიც ჩემთვისაა საინტერესო. მიმაჩნია, რომ არსებობს ისტორიები, რომლებიც აუცილებლად ხმამაღლა უნდა მოვყვეთ. კინო – ის ძირითადი ხერხია, რომლის საშუალებითაც საზოგადოებას ვუყვებით სიყვარულის, სიძულვილისა და ისეთი პრობლემების შესახებ, როგორიცაა, მაგალითად, რასიზმი, უმცირესობები და ა.შ. რა თქმა უნდა, მინდა, რომ სიუჟეტის განვითარებაში ჩემი წვლილი შევიტანო, რაც საზოგადოებას უფრო მეტად დააფიქრებს.

> მიმაჩნია, რომ არსებობს ისტორიები, რომლებიც აუცილებლად ხმამაღლა უნდა მოვყვეთ ”

**არსებობს თუ არა პრობლემები, რომლებსაც კინო ჯერ არ შეხებია? არის თუ არა საკითხები, რომლებიც ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩა, თუმცა მათზე საუბარი აუცილებელია?**

ვფიქრობ, ამ მხრივ, სიტუაცია დღითიდღე უკეთესობისკენ იცვლება და სულ უფრო მეტ პრობლემას მოიცავს, თუმცა კინოინდუსტრიას დღემდე აკლია მრავალფეროვნება. ხშირად მახსენდება ჯეიმს ბოლდუინის სიტყვები: „ვერ შეცვლი ყველაფერს, რასთანაც გაქვს შეხება, თუმცა ვერაფერს შეცვლი, თუკი არაფერს შეეხები“.

**რომელი როლი იყო თქვენთვის ყველაზე რთული და რატომ?**

ყოველი როლი ამოცანაა. მინდა აღვნიშნო, რომ ფილმში „ 12 წელი მონობაში“ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ისტორიაა გადმოცემული და შევეცადე, ჩემი გმირი მაქსიმალურად დამაჯერებლად განმესახიერებინა. ხოლო ისეთი ფილმი, როგორიც არის „შავი პანტერა“, მძიმე ფიზიკურ დატვირთვას მოითხოვდა.







> სიტუაცია დღითიდღე უკეთესობისკენ იცვლება და სულ უფრო მეტ პრობლემას მოიცავს, თუმცა კინოინდუსტრიას დღემდე აკლია მრავალფეროვნება

> „ვერ შეცვლი ყველაფერს, რასთანაც გაქვს შეხება, თუმცა ვერაფერს შეცვლი, თუკი არაფერს შეეხები“









გადაღებების დროს ისედაც ცუდად მეძინა, თუმცა იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს



ჩემი ყოველი დღე ვარჯიშით იწყება, თუმცა ამ ფილმისთვის ძალიან ბევრი ფიზიკური შრომა დამჭირდა. ჩემი გმირი დაოსტატებული მებრძოლია და გადაღებამდე 6 კვირით ადრე ყოველდღიურად 4 საათს ვეუფლებოდი საბრძოლო ხელოვნებას.

**ფილმზე „12 წელი მონობაში“ ნათქვამი გაქვთ, რომ ერთი ღამე „იარებთან ერთად გაატარეთ“. როგორ მოხდა ეს და აისახა თუ არა გადაღების პროცესზე?**

გრიმის გაკეთებას ძალიან დიდი დრო მიჰქონდა და ვიზაჟისტს შევთავაზე, რომ მისი დროის დაზოგვის მიზნით გრიმით დავიძინებდი. იმ ღამეს, პრაქტიკულად, არ მიძინია, იმდენად რეალისტური იყო ჭრილობები. გადაღებების დროს ისედაც ცუდად მეძინა, თუმცა იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. ვტიროდი და ვფიქრობდი, რომ მე მხოლოდ როლს ვთამაშობ, ხოლო ვიღაცამ ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაში გადაიტანა. ამის გაფიქრებისას ახლაც ვერ ვიკავებ ცრემლებს.

ჩემზე გავლენა იქონია როგორც კენიურმა, ისე მექსიკურმა კულტურამ



**თქვენ ხართ მაიკლ კორსის პროექტის – Watch Hunger Stop–ის ელჩი. როგორ ფიქრობთ, რა გზით არის შესაძლებელი მსოფლიოში შიმშილის პრობლემის მოგვარება?**
შიმშილი ჩვენი პლანეტის ყველაზე გლობალური პრობლემაა და კლიმატის ცვლილება მას მხოლოდ აღრმავებს. ამ მდგომარეობის შესაცვლელად აუცილებელია ადამიანების ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა. ამ მოძრაობას იმ იმედით შევუერთდი, რომ სხვა ადამიანებს, რომლებიც მზად არიან, ჩაერთონ პრობლემის გადაჭრის ძიების პროცესში, მაგალითი მივცე. ბავშვის გამოკვებით თქვენ ხელს უწყობთ მის ჯანმრთელ განვითარებას. მაიკლ კორსთან თანამშრომლობა ჩემი შეგნებული არჩევანია, რადგან ჩემთვის, ისევე როგორც ბევრი სხვა ადამიანისთვის, მოდა არა მხოლოდ თვითგამოხატვის, არამედ სოციალურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილების საშუალებაა.

**რომელი რიმეიქის ნახვას მოისურვებდით შავკანიანი მსახიობების მონაწილეობით?**
გამიჭირდება დასახელება, თუმცა ვისურვებდი, ეს სფერო კიდევ უფრო მეტად განვითარდეს. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი პროცესი დაიძრა და ის ჯგუფები ჩაერთნენ კინოინდუსტრიაში, რომლებიც არ იყვნენ ამ სფეროში სათანადოდ წარმოდგენილნი, თუმცა უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ეს არ იყოს ერთჯერადი ტენდენცია, არამედ გახდეს ნორმა, ახლაც და მომავალშიც.

**რამდენად იქონია გავლენა თქვენს სტილზე კენიის კულტურამ?**
ჩემზე გავლენა იქონია როგორც კენიურმა, ისე მექსიკურმა კულტურამ. ეს გულისხმობს გასტრონომიულ ჩვევებს, ტანსაცმლის შერჩევას და წიგნებს. ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე ამ ორმა არაჩვეულებრივმა ქვეყანამ დიდი გავლენა მოახდინა.

“ რაც უნდა აკეთოთ, აკეთეთ მთელი გულით და ბოლომდე დაიხარჯეთ ”

**შეგიძლიათ საყვარელი აფრიკელი დიზაინერის დასახელება?**
არსებობენ არაჩვეულებრივი აფრიკელი დიზაინერები, თუმცა ყოველთვის მინდოდა, რომ მოდას, პირველ რიგში, ჩემი ინდივიდუალობა აღენიშნა. როგორც ვთქვით, მოდა თვითგამოხატვის საშუალებაა და მისი დახმარებით მე ხაზს ვუსვამ ჩემს „მე“–ს და კულტურულ ფესვებთან კავშირს.

**რა უნდა ვნახოთ კენიაში, რომ მისი ატმოსფერო ბოლომდე შევიგრძნოთ?**
დევიდ შელდრიკის სპილოების თავშესაფარი – ეს არაჩვეულებრივი ადგილია, სადაც ასევე არაჩვეულებრივი ხალხი მუშაობს. ამ ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობ WildAid–ის ფარგლებში. სპილოები არაჩვეულებრივი ცხოველები არიან. იქ ნახავთ დაობლებულ პატარა სპილოებს, რომლებსაც ხელით კვებავენ და როცა დრო მოდის, კვლავ ველურ ბუნებაში აბრუნებენ. თუკი გემრიელად ჭამა მოგინდებათ, გასინჯეთ უგალი, მისი პოვნა კენიაში ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე პიცისა – ბრუკლინში.

**როგორ უვლით სახის კანს, რა საშუალებებს იყენებთ?**
თავის მოვლისას მარტივი საშუალებები ყველაზე მნიშვნელოვანია: საკმარისი ძილი, ბევრი წყლის მიღება და ვარჯიში. ჩემი კენიური და მექსიკური წარმოშობის გამო ამ ქვეყნების კოსმეტიკას ვიყენებ და მათ ვენდობი. რაც შეეხება კანის მოვლას, არასდროს გავდივარ სახლიდან კალენდულის ზეთისა და საცხის – Lancôme Nutrix Royal Body Butter–ის გარეშე.

**რა ისწავლეთ თქვენი მშობლებისგან?**
მშობლები ჩემთვის აბსოლუტური ეტალონები არიან. ამ არაჩვეულებრივმა ხალხმა გვასწავლა საკუთარი ოცნებების ფეხდაფეხ უშიშრად სიარული. არასდროს არაფერი დაუძალებიათ, მხოლოდ გვეუბნებოდნენ: „რაც უნდა აკეთოთ, აკეთეთ მთელი გულით და ბოლომდე დაიხარჯეთ“. ისინი ყოველთვის გვერდში გვედგნენ.

# ქართული ემოციის გადამლილი წიგნი

როდესაც ვამაყობთ, რომ ერთ-ერთი უძველესი ტრადიციის მატარებლები ვართ ღვინის წარმოებაში, ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, ეს მსოფლიომაც იცოდეს

Wine Library – სამი წლის წინ ამ პროექტს საფუძველი ღვინის ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანებმა ჩაუყარეს, რომელთაც ქართული ღვინის, მისი ორიგინალურობის ძალის სჯერათ და მცირე მარნების მიერ წარმოებული განსაკუთრებული ქართული ღვინის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ უფრო ფართოდ წარდგენას ემსახურებიან. ეს, რასაკვირველია, ქვეყნისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია, თუმცა, უპირველესად, იმ მცირე მარნების მფლობელებისთვის, რომლებიც „ღვინის ბიბლიოთეკაში" წარმოდგენილი თითოეული ბოთლის უკან დგანან საკუთარი ისტორიით და მომავალს ქმნიან დიდი შრომითა და სიხარულით, რაც საუკეთესოდ გაკეთებულ საქმეს ახლავს თან...

ნაზი ხვთისიაშვილი - Wine Library-ს გენერალური მენეჯერი მეღვინეების საუკეთესო მეგობარი, თუმცა ყველაზე დიდი კრიტიკოსიცაა. იმისთვის, რომ ღვინის ბოთლმა ბიბლიოთეკის თაროებზე დაიდოს ბინა, ძალიან ბევრი გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანის ხელში უნდა გაიაროს და მათი დასტური დაიმსახუროს, რომ საბოლოოდ მომხმარებლის ჭიქაში აღმოჩნდეს...

## ნაზი ხვთისიაშვილი

სამი წლის წინ, ქართული ღვინის 80-საუკუნოვანი ისტორიით და მისი სიყვარულით შეპყრობილებმა, გადავწყვიტეთ, დაგვეარსებინა „ღვინის ბიბლიოთეკა" – სივრცე, რომლის შექმნითაც ხელს შევუწყობდით როგორც მცირე მარნების საქმიანობას, ისე ღვინის სმის კულტურის განვითარებასაც. რატომ ბიბლიოთეკა?.. ღვინო ხომ ისტორიაა, მოყოლილი თითოეულ წვეთში, რომელიც უნდა გადაშალო და წაიკითხო. ის პირადად ჩემთვის არის ემოცია, მოგზაურობა ისტორიაში, რომელიც წიგნის კითხვას მოაქვს. ის ემოცია, რომელიც შეიძლება ღვინომ მოიტანოს, უნიკალურია, მას შეუძლია თავის გარშემო შემოიკრიბოს და გააერთიანოს ნებისმიერი სფეროს წარმომადგენლები, ეს ხომ საოცარია?! ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ „ბიბლიოთეკა" შესაბამისი სიტყვა იქნებოდა...
თუკი დაესწრებით „მეღვინის დღეს", რომელსაც ტრადიციულად უკვე სამი წელია, ყოველ ხუთშაბათს ვმასპინძლობთ, ნახავთ ღვინოზე შეყვარებულ ადამიანებს და სულაც არ არის აუცილებელი, მათ შორის ყველა პროფესიით მეღვინე იყოს, მაგრამ ღვინის სიყვარული ხომ ყველას გვაერთიანებს! ვამაყობთ, რომ ვქმნით ქართულ პროდუქტს და ვართ მსოფლიოში საქართველოს ელჩები. ორი თვის წინ კი უკვე ოფიციალურად ინგლისში გავხსენით ონლაინმაღაზია და ვამაყობთ, რომ ევროპის 20 ქვეყანაში ვუწევთ ქართულ ღვინოს პოპულარიზაციას.

**ინტერვიუ** ნინო მურღულია **ფოტო** შოთა გოთოშია












იმისთვის, რომ ღვინის ბოთლმა ბიბლიოთეკის თაროებზე დაიდოს ბინა, ძალიან ბევრი გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანის ხელში უნდა გაიაროს და მათი დასტური დაიმსახუროს, რომ საბოლოოდ მომხმარებლის ჭიქაში აღმოჩნდეს...




**პანდემიამ ხელი არ შეგიშალათ?**
რა თქმა უნდა, ბიზნესის განვითარებისთვის ძალიან დიდი ხელშემშლელი ფაქტორი გახდა პანდემია, მაგრამ ვეცადეთ, სრულად ონლაინგაყიდვებზე გადაგვერთო ჩვენი პროდუქტი, მომხმარებლის დიდი მოთხოვნიდან გამომდინარე. ასევე, ონლაინსივრცეში გადაინაცვლა ჩვენმა ტრადიციამ და სრულიად საქართველო ყოველ საღამოს, ხუთშაბათობით, სოციალური ქსელის მეშვეობით, პირდაპირი ეთერით ადევნებდა თვალს სხვადასხვა მცირე მარნიდან მოწვეულ მეღვინეებს, ეცნობოდა მათ ისტორიას, პროდუქციას და იზიარებდა ემოციას...

**ლონდონში ონლაინმაღაზიის გახსნის შემდეგ რა უკუკავშირი გქონდათ უცხოელი მომხმარებლისგან?**
სხვათა შორის, ძალიან კარგი... საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულმა ღვინომ, განსაკუთრებით ინგლისში მაცხოვრებელ ქართველ ღვინის მოყვარულებში. ზოგადად, ლონდონის ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნესის განსავითარებლად. თვითონ ქვეყანა არ აწარმოებს ღვინოს, მაგრამ მსოფლიოში ერთ-ერთი მსხვილი რეალიზატორია. ვერ გეტყვით, რომ დიდ ბრიტანეთში კარგად იცნობენ ქართულ ღვინოს, მაგრამ აუცილებელი იყო, რომ მათთვის გაგვეცნო... როდესაც ვამაყობთ, რომ ერთ-ერთი უძველესი ტრადიციის მატარებლები ვართ ღვინის წარმოებაში, ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, ეს მსოფლიომაც იცოდეს. განსაკუთრებულ პოპულარიზაციას ვუწევთ მცირე მარნებს, ხელს ვუწყობთ მათ განვითარებას, რაც არა მხოლოდ ჩვენი, არამედ ქვეყნის სიძლიერის საწინდარია – მეტი განათლება ღვინის კუთხით, ვენახების გაშენება და ტურიზმის განვითარება... საკმაოდ დიდი პროგრესია ამ კუთხით ღვინის სფეროში. წლების წინ ღვინო არც ისე პოპულარული იყო, ახლა ღვინის მომხმარებლებს შორის საგრძნობლად დაიწია ასაკობრივმა ზღვარმა.

შემიძლია ვთქვა, რომ ღვინო მოდაში შემოვიდა, გაიზარდა მოხმარება და, შესაბამისად, წარმოება. რა თქმა უნდა, წლებთან შედარებით, ღვინის ხარისხიც გაუმჯობესდა. ადრე ღვინოს მხოლოდ წვეულებებსა და დღესასწაულებზე მივირთმევდით, ახლა უკვე ღვინის ყოველდღიურად სმის კულტურა დაინერგა, – შუადღეს ლანჩის დროს ერთი ჭიქა ღვინის დალევა უკვე კარგი ტენდენციაა. საქართველოს ბაზარზე 4000-მდე მეღვინე და მცირე მარანია. ჩვენთან წარმოდგენილია 100-ზე მეტი მცირე მარანი და ეს არის ჩვენი ძირითადი მიმართულება.




ჩვენთან წარმოდგენილი ნებისმიერი სასმელი, რომელსაც ჩვენი სომელიე უწევს რეკომენდაციას, უნდა იყოს იდეალური და ბოთლს რომ გავხსნით, მას არანაირი ნაკლოვანება არ უნდა ჰქონდეს

**როგორია შერჩევის კრიტერიუმი?**
ძალიან ფრთხილი და კრიტიკის შემცველი – ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია ხარისხი. გარდა იმ სიხარულისა, რაც გვეუფლება, როდესაც ვიგებთ, რომ ახალი პროდუქცია შეიქმნა, ადგილზეც ჩავდივართ, ვსტუმრობთ მარნებს ყველა რეგიონში, კახეთსა თუ რაჭა–ლეჩხუმში, იმერეთსა თუ ქართლში, ვცდილობთ ვნახოთ, როგორი ტექნოლოგიით მზადდება ღვინო და სიამოვნებით ვმონაწილეობთ ყურძნის მოკრეფისა და დაწურვის პროცესში. ჩვენთვის, როგორც კომპანიისთვის, მომხმარებელზე ზრუნვა უპირველესია. ჩვენთან წარმოდგენილი ნებისმიერი სასმელი, რომელსაც ჩვენი სომელიე უწევს რეკომენდაციას, უნდა იყოს იდეალური და ბოთლს რომ გავხსნით, მას არანაირი ნაკლოვანება არ უნდა ჰქონდეს. დიდი შრომა გვიწევს, რომ „ღვინის ბიბლიოთეკაში“ წარმოდგენილი ნებისმიერი ღვინო აღმოჩნდეს მომხმარებლის ჭიქაში აღფრთოვანების გამოსაწვევად და ემოციის მისაღებად.

**ქართული ღვინის ხარისხზე დიდი ხნის განმავლობაში იყო კამათი, თუმცა ევროპულ ბაზრებზე ორიენტირის აღებამ ეს კამათი მნიშვნელოვნად შეამცირა...**
რამდენიმე კომპანია მუდმივად ინარჩუნებდა ხარისხს, მიუხედავად მაღალი წარმადობისა. რასაკვირველია, ევროპის ბაზარმა ხარისხის ზრდა და განვითარება გამოიწვია, რადგან გაიზარდა კონკურენცია. ის, რომ 80 საუკუნის ტრადიცია გვაქვს, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვიყავით პირველები ხარისხში, მაგრამ რატომაც არ უნდა გაგვიჩნდეს პრეტენზია, ჩვენი ადგილი დავიკავოთ ისეთი ტოპმწარმოებელი ქვეყნების გვერდით, როგორიცაა: საფრანგეთი, იტალია, ჩილე და ა.შ. ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფომ საკმაოდ გაამკაცრა კონტროლი, რამაც ღვინის ხარისხი საჭირო სტანდარტს დაუქვემდებარა. ქართული ღვინის ევროპის ბაზარზე დამკვიდრება არის უდიდესი მიღწევა. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ტურისტი ჩამოდის და იცის შენი ქვეყნის ისტორია, იშვიათი ჯიშები და აინტერესებს შენი ქვეყნის ტრადიცია. ქართული ღვინო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იყიდება, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია უნიკალური, ენდემური, აბორიგენული ყურძნის ჯიშების პოპულარიზაცია, როგორიცაა: დანახარული, ასურეთული შავი, შავკაპიტო, ძელშავი, ალექსანდროული, პანეში, ჩიტისთვალა, ცოლიკოური, ციცქა, მცვივანი, ხიხვი, მუხამწვანე და ა.შ. გვინდა, მსოფლიოს ვუთხრათ, რომ ჩვენ არ ვართ მხოლოდ საფერავის, რქაწითელისა და ქისის ქვეყანა. შესაბამისად, ევროპამ განაპირობა ღვინის ხარისხის, სმის წესისა და ამ სფეროში განათლების განვითარება.

**ერთ–ერთი მცირე მარანი, რომელიც თქვენთან თანამშრომლობს, ახლახან პრესტიჟული ჯილდოს მფლობელიც გახდა...**
,,პი“ – ღვინო, როგორც უსასრულობა... 500 ბოთლით დაწყებული ბიზნესი, არაჩვეულებრივი საფერავი. ვამაყობთ, რომ ,,ღვინის ბიბლიოთეკა“ იყო მათი პროდუქციის პირველი წარმდგენი. 2020 წლის მოსავლით და გაზრდილი რაოდენობით, 2021 წლის სექტემბერში „მეღვინეობა პიმ“ გერმანიაში, „მონდუს ვინიზე“ მიიღო მონაწილეობა. ვულოცავთ „ორმაგი ოქროს მედლის“ ჩამოტანას. ყველაზე საამაყო ისაა, რომ კომპანიას ქალი მეღვინე ჰყავს. დღეს ქართულ მეღვინეობაში ბევრი ქალია როგორც მეღვინე, ისე სომელიე. შეიძლება, ჩვენს წინაპრებს ადრე ეთქვათ, ქალს ღვინოსთან არაფერი ესაქმებაო, მაგრამ დღეს ქალები არაჩვეულებრივ ღვინოს ამზადებენ. ფემინიზმში თუ არ ჩამითვლით, დღეს ქალი მეღვინეები მამაკაცებსაც სჯობნიან.

**თქვენს გეგმებზე საუბრით დავასრულოთ...**
რასაკვირველია, პანდემიამ ბევრი სფერო დააზარალა და რაღაც კუთხით ჩვენც შეგვეხო, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად სულ ახლახან გავხსენით მეორე სივრცე ღვინის მოყვარულთათვის „შერატონ მეტეხი პალასში“, რითაც ავიღეთ უდიდესი პასუხისმგებლობა, ბიზნესკლასის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ქართული პროდუქტით ვიყოთ წარმოდგენილი. ვართ პატარა კომპანია დიდი ამბიციებით, ეტაპობრივად ვვითარდებით და ვიზრდებით როგორც საქართველოს, ისე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.
ერთ–ერთი საუკეთესო პროდუქტი, რასაც საქართველოში ჩამოსულ უცხოელებს ვთავაზობთ, ისევე როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ – ჩვენი ღვინოა. სიამაყითა და ბედნიერებით შეგვიძლია ვთქვათ: დიახ, ჩვენთან ღვინო 80 საუკუნეა იწარმოება, ჩვენ ვიცით ღვინის გაკეთება, ვიცით ვენახების მოვლა, გვყავს პროფესიონალები და მალე მსოფლიო ბაზარზე ერთ–ერთ წამყვან პოზიციას დავიკავებთ!..





# მცირე მარნის დიდი წარმატება - „მეღვინეობა პის“ „გრანდ გოლდი“

შეიძლება, თავისუფლად ითქვას, რომ საქართველოში ოჯახურ ღირებულებებსა და მემკვიდრეობით მიღებულ საქმეზე დაფუძნებული მცირე მარანი შექმნიდან მეორე წელს უდიდეს წარმატებას აღწევს. „მეღვინეობა პის“ მიერ წარმოებულმა საფერავმა გერმანიაში პრესტიჟულ კონკურსზე ორმაგი ოქროს მედალი დაიმსახურა. კიდევ უფრო მეტად საამაყო კი ის არის, რომ საერთაშორისო სტანდარტით აღიარებული საფერავის დამზადება ქართველი ქალი მეღვინის, თეონა ომარაშვილისა და მისი ოჯახის დამსახურებაა. იგი „ნარგისის“ მკითხველს თავად მოუთხრობს კომპანიის დაფუძნების, შექმნისა და უსასრულოდ გემრიელი ღვინის შესახებ...

**ინტერვიუ** ნინო მურღულია **ფოტო** ლერა პატეიშვილი






კომპანია „მეღვინეობა პი“ (WINERY PI) 2020 წელს დავაფუძნეთ იმ გამოცდილებისა და ტრადიციების შედეგად, რომელიც ჩვენს ოჯახს წინაპრებისაგან გადმოეცემოდა და ღვინის გემოების შექმნისა და დავარგების პროცესში შევიძინეთ. დღემდე ჩვენს მამაპაპისეულ სახლებში შემორჩენილია ქვევრები და ვენახები, რომლებიც გაშენებულია და განახლებულია წინანდლის მიკროზონაში.

ღვინის კომპანიის შექმნას რამდენიმე მკაფიო მიზეზი ჰქონდა. პირველი იყო მაღალი ხარისხის მქონე ვენახები, რომლებიც ათეული წლების წინ განვაახლეთ და გავაშენეთ (რქაწითელი–მწვანე – 40 წლის, ხოლო საფერავი – 17 წლის წინ). ვენახები გაშენებულია წინანდლის მიკროზონაში, აკურაში, თელავში, რაც მაღალი ხარისხის ყურძენს გვაძლევს. მეორე მიზეზი ოჯახის მიერ ღვინის დაყენების უნიკალური ტექნოლოგიაა, რომელიც ვინიფიკაციის ბუნებრივი პროცესებით მართვას გულისხმობს. ტექნოლოგია თაობებიდან გადმოგვეცა და ღვინის ჰარმონიული და დაბალანსებული გემოების შექმნით გამოირჩევა. და მესამე – ჩავთვალეთ, რომ ბოლო წლების საქართველოში მცირე მარნებისთვის ღვინის წარმოების პრაქტიკის განვითარება შესაძლებლობას გვაძლევდა, წარგვედგინა ჩვენ მიერ წარმოებული ღვინო.

ჩემთვის, როგორც ქალისთვის, ეს დიდი გამოწვევა იყო, პირველ რიგში, იმიტომ, რომ უნდა დამერწმუნებინა ოჯახის წევრები, მათი გამოცდილება და ჩვენი ვენახების განძი ფართო საზოგადოებისთვის გაგვეზიარებინა; და მეორე – შევაბიჯე სფეროში, სადაც ქალის მოღვაწეობა ჯერ კიდევ გაკვირვებას იწვევს. საბოლოოდ ეს გადაწყვეტილება მივიღეთ იმ ხედვით, რომ უნდა შევქმნათ ისეთი სტანდარტი, რომელიც გაუძლებს დროს, კრიტიკას და თავის ადგილს დაიკავებს ღვინის დიდ სამყაროში.

მიგვაჩნია, რომ მთავარი სამარკო ნიშანი თავად საფერავია და მთელ მსოფლიოში მან უნდა წარადგინოს როგორც კომპანია, ისე ჩვენი ქვეყანა ღვინის შექმნის თავისი 8000-წლიანი უწყვეტი ისტორიით და ტრადიციით

„მეღვინეობა პი“ ბაზარზე პირველად 2019 წლის საფერავის ღვინით წარდგა. გვსურდა, მთელი აქცენტი ღვინის ხარისხის ნიშანზე გაკეთებულიყო, ამიტომ ლიმიტირებული წარმოების ხაზი ავირჩიეთ და პრემიუმკლასის ღვინის წარმოებისკენ მოკრძალებული ნაბიჯი გადავდგით, ჩვენი ვენახიდან მოწეული ყურძნიდან 2019 წელს – 200, ხოლო 2020 წელს მხოლოდ 2 200 ბოთლი ღვინო ვაწარმოეთ. ასევე, ბევრი ვიფიქრეთ ბოთლის დიზაინსა და ეტიკეტირებაზე, კომპანიის სახელზე.

სახელწოდება „პი“ უკავშირდება მათემატიკურ რიცხვ პის, რომელიც უნივერსალური მუდმივაა, – „ღვინო როგორც მუდმივა, რომელიც არსებობდა და იარსებებს“. მიგვაჩნია, რომ მთავარი სამარკო ნიშანი თავად საფერავია და მთელ მსოფლიოში მან უნდა წარადგინოს როგორც კომპანია, ისე ჩვენი ქვეყანა ღვინის შექმნის თავისი 8000–წლიანი უწყვეტი ისტორიითა და ტრადიციით.
საფერავი 2020–ის მოსავალი ძალიან განსხვავებული და ელეგანტური გამოვიდა, რამაც გადაგვაწყვეტინა, ღვინო ჯერ ადგილობრივ დეგუსტაციებზე წარგვედგინა.
წარმატებული დებიუტის შემდეგ ძალები საერთაშორისო დონეზეც ვცადეთ, რათა ღვინისა და, შესაბამისად, კომპანიის ხარისხთან დაკავშირებით საერთაშორისო დასტური მიგვეღო, რაც სამომავლოდ კომპანიას ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე თავის დამკვიდრებაში დაეხმარებოდა.
შედეგად, „საფერავი 2020“ წარვადგინეთ გერმანიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე MUNDUS VINI SUMMER TASTING 2021, სადაც ჩვენმა ღვინომ MUNDUS VINI 2021 Grand Gold & Best of Show Georgia Red მედლები აიღო.

დიდმა აღიარებამ და წარმატებამ განამტკიცა ჩვენი საწარმოს განვითარების კონცეფცია და 2022 წლისთვის საზოგადოებას, საფერავის ღვინის გარდა, შევთავაზებთ, აგრეთვე, ლიმიტირებულ საფერავის როზეს, წინანდალს და წინანდლის ზონის ქვევრის რქაწითელს



„საფერავი 2020“ წარვადგინეთ გერმანიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე MUNDUS VINI SUMMER TASTING 2021, სადაც ჩვენმა ღვინომ MUNDUS VINI 2021 GRAND GOLD & BEST OF SHOW GEORGIA RED მედლები აიღო

ეს არის მესამე შემთხვევა, როდესაც ქართული ღვინო MUNDUS VINI–ს ფარგლებში GRAND GOLD მედლით დაჯილდოვდა. ამასთან, კონკურსში 35 ქვეყნიდან ღვინის 4 500 ნიმუში იყო წარმოდგენილი, საიდანაც 36 ორმაგი ოქრო გაიცა.
ჩვენთვის ეს წარმატება, პირველ რიგში, საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ღვინის კიდევ ერთი აღიარება და იმის დასტურია, რომ ხარისხიანი ღვინის წარმოება მცირე რესურსების, გამოცდილების, მონდომებისა და უკომპრომისო შრომის შედეგად შესაძლებელია.
ამ ძალიან მაღალი რანგის ჯილდომ მაღალი პასუხისმგებლობა დაგვაკისრა და დაგვარწმუნა, რომ სწორი გზით მივდივართ.
ამ დიდმა აღიარებამ და წარმატებამ განამტკიცა ჩვენი საწარმოს განვითარების კონცეფცია და 2022 წლისთვის საზოგადოებას, საფერავის ღვინის გარდა, შევთავაზებთ, აგრეთვე, ლიმიტირებულ საფერავის როზეს, წინანდალს და წინანდლის ზონის ქვევრის რქაწითელს. ამჟამად ჩვენი პატარა მარანი „პი“ ძველ თბილისში 1890–იან წლებში აშენებულ ისტორიულ სახლში მდებარეობს, სადაც ჩვენი ოჯახის მესამე თაობა ცხოვრობს.




GEOMODELS
studio


Solomoné
IMERETI GRAPEGROWING
ძველი იმერული ყურძნის ჯიშების უნიკალური ღვინოები
Otskhanuri Sapere?
Tsitska-Tsolikouri?
Otselshavi
Kvevri Red Dry
Solomoné
Produced in Georgia × 2020 × Alc11.5% × Vol750ml

„სწორედ ბევრი მუშაობისას იმსხვრევა სტერეოტიპები“

# მერიკოსთან, „ნინიას ბაღში“

„ქალი ვიცი მე სამზარეულოში“ - ამ ფართოდ გავრცელებული გამონათქვამის მიუხედავად შეფმზარეულები საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში, ძირითადად, მამაკაცები იყვნენ. მერიკო გუბელაძე ერთ-ერთი პირველი ქალია, რომელმაც პროფესიულ სამზარეულოში თავისი ადგილი მყარად დაიმკვიდრა... დღეს იგი კიდევ ერთი ახალი კონცეპტუალური რესტორნის დამფუძნებელია - ჩვენი შეხვედრაც სწორედ „ნინიას ბაღში“ შედგა...

## მერიკო გუბელაძე

სტერეოტიპი ასეთი იყო, რომ კაცი უფრო ძლიერია, სამზარეულო კი, მათ შორის, ფიზიკურ სიძლიერესაც მოითხოვს, ამიტომაც ითვლებოდა, რომ ეს უფრო კაცის პროფესიაა. არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ასე იყო მიღებული და შეიძლება ითქვას, რომ ახლაც მეტწილად ასეა. ამ პროფესიაში უფრო მეტი მამაკაცია, კაცების სამყაროში ვცხოვრობთ, არადა, ევოლუციურად და ლოგიკურად სამზარეულო ყოველთვის ქალების იყო...

მე სწორ დროს და სწორ ადგილას აღმოვჩნდი. 10 წელი საქართველოში არ ვცხოვრობდი. რომ ჩამოვედი, ეს ნიში თავისუფალი იყო. მინდოდა ამ სფეროში მუშაობა და ეს შევძელი. წლების წინათ თავის დამკვიდრება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ახლაა, რადგან ეს სფერო მას შემდეგ ძალიან განვითარდა. რომ გითხრათ, მიჭირს სამზარეულოში ყოფნა და კაცი რომ ვიყო, ამას უფრო კარგად გავაკეთებდი–მეთქი, ნამდვილად არ იქნება სიმართლე. თეკუნა გაჩეჩილაძემ გაკვალა ეს გზა პირველმა და, შეიძლება ითქვას, შექმნა ისტორია... მერე გამოვჩნდი მე, ქეთი ბაქრაძე...

**ინტერვიუ** ნინო მურღულია **ფოტო** შოთა გოთოშია





**ვისაც მამაპაპური სამზარეულო უყვარს, აქ არ მოვა, ვინც მოდის, აინტერესებს და გახსნილია სიახლეებისთვის**

**თეკუნა გაჩეჩილაძე ახლა „მასტერშეფის“ ჟიურის წევრია. სხვათა შორის, მახსოვს, თქვენ წერდით, რომ გიკვირთ, რატომ არიან სატელევიზიო შოუების ჟიურის წევრები მხოლოდ მამაკაცები...**
სამზარეულოში – ქალები და პიედესტალზე – მამაკაცები (იღიმის), ეს ცოტა უსამართლობა იყო, მაგრამ მიხარია, რომ თეკუნა ჟიურიშია.

სანამ სტუმარი „შენს ხელშია“ და კარიდან არ გასულა, გაფუჭებული საქმის გამოსწორებაც ადგილზევე შეგიძლია

**თქვენთვის კარგი რესტორანი როგორია?**
რესტორანი იწყება კონცეფციით, ჩვენთან კი ხშირად პირიქით აკეთებენ ხოლმე – ჯერ ფართს იქირავებენ და მერე ფიქრობენ, რა გააკეთონ. სახელსა და კონცეფციას უნდა შეურჩიო ადგილი, სწორი ასეა... ძალიან მნიშვნელოვანია და ეს ტრენდი საქართველოშიც არის უკვე, სეზონური კვება, რაც ნიშნავს, მაგალითად, იმას, რომ გაზაფხულზე უნდა მიირთვა ჩაქაფული, ზამთარში – უფრო სხვა ხორცის კერძი... ანუ უპირატესობა სეზონური პროდუქტებისგან მომზადებულ კერძებს უნდა მიანიჭო. არ მომწონს რესტორნები, სადაც მომსახურება ცუდ ფორმატშია წარმოდგენილი – ვფიქრობ, ეს რუსული მოდელია. ზოგ რესტორანში მიმტანი მიშლის ხელს, იმდენჯერ მოდის, მიცვლის თეფშს, რომ არ მაცდის იმ კომუნიკაციას, რისთვისაც რესტორანში მივდივარ. მიმტანი არ უნდა მაწუხებდეს. კარგი მომსახურება მის ოვერდოზში აგვერია. მომწონს, როცა მიღიმიან, როცა კარგად მემსახურებიან, მაგრამ მომსახურებისას ბალანსის დაცვა აუცილებელია.
ყველაზე მნიშვნელოვანი რესტორანში, რა თქმა უნდა, საჭმელია. წარმოიდგინეთ, მიდიხართ რესტორანში სიამოვნებისთვის, გასართობად და კარგი კერძების მისართმევად. უსამართლობაა, როცა კარგი განწყობით მოსულ ადამიანს უფუჭებ ხასიათს, რადგან რაღაც კარგად ვერ მოამზადე, დაწვი ან დაამლაშე... ყველას მოსდის შეცდომები და ეს ძალიან ლოგიკურია, მაგრამ სანამ სტუმარი „შენს ხელშია“ და კარიდან არ გასულა, გაფუჭებული საქმის გამოსწორებაც ადგილზევე შეგიძლია, თუ თავიდანვე ძალიან ცუდად განწყობილი მომხმარებელი არ შეგხვდა. ადამიანს არ უნდა უმტკიცო, რომ დამწვარი კერძი ისედაც ასეთი უნდა ყოფილიყო. ეს პირადად მე ძალიან მაბრაზებს.
ინტერიერი – ესეც არ უნდა მაწუხებდეს, აქაც ზოგჯერ ზედმეტი მოგვდის, ზოგჯერ დიზაინში გადავიჭრებით ხოლმე.





რესტორანი უნდა იყოს მზარეულის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია



„შავი ლომი“ გუგა კოტეტიშვილის გაკეთებულია, ის მის ხასიათს ასახავს. მერე ბევრმა დააკოპირა, მაგრამ ვიღაცებს არ გამოუვიდათ, რადგან მათ შემთხვევაში ეს მოგონილი და მიწებებულია. თუ არ იცით, რა გააკეთოთ, წადით სადა გზით.

**„ნინიას ბაღს“ საინტერესო ისტორია აქვს. როგორც ვიცი, არ აპირებდით მის შექმნაში მონაწილეობას...**
აქ სულ შემთხვევით მოვხვდი... მეგობარმა მომიყვანა. მაჩვენა ეს სახლი უზნაძის ქუჩაზე და მითხრა, რომ ჰქონდა ასეთი ადგილი. აქ მოსვლამდე ვფიქრობდი, რომ უარს ვეტყოდი, მაგრამ ნახვისთანავე მომეწონა. ასეთი არ იყო, მაგრამ შესაძლებლობა დავინახე. კონტრაქტს ხელი მოვაწერეთ 2019 წლის დეკემბერში – მაშინ, როცა ჩინეთში პირველად გავრცელდა კორონავირუსი. შეიძლებოდა, ამ ყველაფრის მერე პროექტზე უარი მეთქვა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა გადავწყვიტე. აქ რაც ყველაზე მეტად მომწონს, ის არის, რომ მყავს ორი პარტნიორი მზარეული, არაჩვეულებრივი ადამიანები. რესტორანი უნდა იყოს მზარეულის, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენს შემთხვევაში მენიუს დალაგება ჰარმონიულად ხდება.

**„ნინიას ბაღის“ მენიუ როგორ შექმენით?**
საქართველოში რასაც ვაკეთებ, ყველაფერი ქართულია და ეს, ვფიქრობ, ლოგიკურია. ტრადიციული ქართული სამზარეულო კარგია, მაგრამ ყველას მოგვბეზრდა, ამიტომაც „ნინიას ბაღის“ მენიუში, ქართულთან ერთად, ვარჩიეთ შუა აღმოსავლური გავლენების ჩართვა. ოთხი თვის გახსნილი ვართ და მენიუ რამდენჯერმე შევცვალეთ. ხალხს მოსწონს. სიახლეებს კარგად იღებენ, დამოკიდებულება შეიცვალა. ვისაც მამაპაპური სამზარეულო უყვარს, აქ არ მოვა, ვინც მოდის, აინტერესებს და გახსნილია სიახლეებისთვის.



ბოლო კერძი, რაც ძალიან მომწონს, არის ტოლმა კომბოსტოს ფოთლებში, გარნირად კი მოჰყვება ხორბალი და შავი, ფერმენტირებული ნიორი, რომელსაც მოტკბო გემო აქვს და თუ არ იცი, შეიძლება ვერ მიხვდე, რომ ნიორია. მომწონს ჩვენი აჯაფსანდალი, რომელიც არატრადიციული მეთოდით არის გაკეთებული, ბადრიჯანი ჩიფსებად შემწვარი და ა. შ.

**თქვენთვის შემოდგომისა და ზამთრის გემოებს რა ასახავს საუკეთესოდ?**
შემოდგომას საუკეთესოდ – გოგრა. გოგრისგან ბევრი რამის მომზადება შეიძლება. მომწონს ფერი, გემო, სტრუქტურა. შეგიძლია გამოიყენო როგორც გარნირად, ისე დესერტად. შემოდგომის გემო აქვს ბროწეულსაც. ზამთრის კერძების დიდი თაყვანისმცემელი არ ვარ, მაგრამ, ალბათ, საცივი უნდა დავასახელოთ, რომელიც ჩვენც გვაქვს მენიუში.

**ვცდილობთ, ჩვენს მომხმარებელს ნატურალური ღვინოები შევთავაზოთ, რომლებიც ძალიან პოპულარული გახდა ბოლო დროს**

**ღვინოს რა ადგილი აქვს მენიუსთან მიმართებაში?**
ძალიან მნიშვნელოვანი! მადლობა ღმერთს, რომ ქართველებს გვაქვს ღვინო, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. ეს სფერო ათი წლის წინ არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში იყო, მაგრამ ახლა კარგ გზას ადგას. ბევრი მცირე მარანია, ახალგაზრდებმა დაიწყეს ღვინის კეთება, ადამიანებმა ამ სფეროშიც გადაშალეს წიგნები და ეს ძალიან მაგარია!.. ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა.
ჩვენს რესტორნებში ხალხი კულტურულად სვამს ღვინოს. ვცდილობთ, ჩვენს მომხმარებელს ნატურალური ღვინოები შევთავაზოთ, რომლებიც ძალიან პოპულარული გახდა ბოლო დროს. მათ პატარა მარნები აწარმოებენ. როცა ცოტას ამზადებ, ხარისხი უფრო მაღალია. აქაურობასაც და „შავ ლომსაც“ უფრო უხდება მცირე მარნების ღვინოები. მათ შენახვის განსაკუთრებული პირობები აქვს, მაგრამ რთულ გზას ვირჩევთ, რადგან ბოთლს რომ ვხსნით, ინტერესით ველოდებით, რა არომატი დატრიალდება... ჩემდა საბედნიეროდ, ახლა ასპარეზზე ნელ–ნელა გამოვიდა იმერული ღვინოები, რომლებიც, ჩვენთან ერთად, უცხოელ მეღვინეებსაც ძალიან მოსწონთ...

**თქვენი აზრით, კულინარიაში სტერეოტიპებს ბოლომდე როდის დავამსხვრევთ?**
ბევრი სტერეოტიპი ნაკლებ განათლებას, გაჭირვებას უკავშირდება. ალბათ, მათ მაშინ დავამსხვრევთ, როცა მეტი პროფესიონალი გვეყოლება ამა თუ იმ სფეროში და როცა ქართველები მუშაობას ვისწავლით... სწორედ ბევრი მუშაობისას იმსხვრევა სტერეოტიპები.





# შემოდგომისა და ზამთრის კერძები
## მერიკო გუბელაძისგან

## 1. გოგრის და კინოის საშემოდგომო სალათა



მარილი გემოვნებით

### საჭირო პროდუქტი:

1 კგ გოგრა
1 ცალი წითელი ხახვი
300 გ კინოა
2 ს. კ. გარჩეული ბროწეული
50 გ პიტნა
50 გ ქინძი
100 გ მოხალული ნიგოზი
1 ჩ. კ. მშრალი აჯიკა
1/2 ლიმონი
1 ს. კ. თაფლი
3 ს. კ. ზეითუნის ზეთი

### მომზადების წესი:

*გასუფთავებული გოგრა გამოვაცხოთ ღუმელში, ძალიან არ დავარბილოთ, გავაგრილოთ და საშუალო ზომის კუბებად დავჭრათ. პარალელურად მოვხარშოთ კინოა, გადავწუროთ და გავაგრილოთ. დავჭრათ ხახვი მოგრძო ფორმებად, მწვანილი დავკეპოთ და ბოლოს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ინგრედიენტი შევურიოთ ერთმანეთს, მოვაყაროთ მოხალული ნიგოზი და ბროწეული.*

სალათას მოვასხათ სოუსი

### სოუსის მომზადების წესი:

ავურიოთ ერთად მშრალი აჯიკა, ლიმონი, თაფლი, ბოლოს ზეითუნის ზეთი და კარგად ავთქვიფოთ.

## 2. საფერავში მოხარშული საქონლის ნეკნები



### საჭირო პროდუქტი:

მარილი, პილპილი გემოვნებით

2 კგ საქონლის ნეკნები
2 ცალი ხახვი
2 ცალი სტაფილო
2 ცალი ნიახურის ღერო
5-6 კბილი ნიორი
3-4 დაფნის ფოთოლი
5-6 ცალი სურნელოვანი პილპილი
5-6 ღერი როზმარინი
1 ს. კ. პომიდვრის პასტა
2 ს. კ. ფქვილი
750 მლ საფერავი
500 მლ საქონლის ბულიონი (ან წყალი)
100 მლ ზეითუნის ზეთი

### მომზადების წესი:

*ნეკნები დავჭრათ მოზრდილ ნაჭრებად, მოვაყაროთ მარილი, პილპილი, ამოვსვაროთ ფქვილში და ზეთით გახურებულ ქვაბში შევბრაწოთ ყველა მხრიდან 3-5 წუთი, მაღალ ცეცხლზე. პროცესში დავუმატოთ პომიდვრის პასტა და ხორცს კარგად მოვურიოთ. იმავე ქვაბში, მობრაწულ ხორცთან ერთად, მოვათავსოთ ოთხად გაჭრილი ხახვი, სტაფილო, მთლიანი ნივრის კბილები, ნიახურის ღერო, დაფნა, როზმარინი, სურნელოვანი პილპილი, დავუმატოთ ღვინო, ბულიონი და ძალიან დაბალ ცეცხლზე ვშუშოთ, სანამ ხორცი ძვალს ადვილად არ მოსცილდება. შევაზავოთ მარილითა და პილპილით.*



ᲐᲠᲝᲛᲐᲢᲘᲡ, ᲒᲔᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲧᲣᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲓ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲐᲠᲘᲝᲢᲘ“, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲓ ᲠᲩᲔᲑᲐ...



# ჰოლივუდის ვარსკვლავების მიერ ტრადიციად დამკვიდრებული ბრანჩი - გემრიელი გვიანი დილა

# „თბილისი მარიოტში“

ᲑᲠᲐᲜᲩᲘ (BRUNCH) ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ - „ᲡᲐᲣᲖᲛᲔ“ (BREAKFAST) ᲓᲐ „ᲚᲐᲜᲩᲘ“ (LUNCH) - ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ. ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲔᲠᲗᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲐᲥᲪᲘᲔᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔᲜᲘ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲖᲣᲡᲢ ᲗᲐᲠᲘᲦᲡᲐᲪ - ᲔᲡ 1895 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ. HUNTER’S WEEKLY-Ს ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ ᲒᲐᲘ ᲑᲔᲠᲘᲜᲒᲔᲠᲛᲐ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲙᲕᲘᲠᲐᲝ ᲬᲘᲠᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲐᲠᲗᲛᲔᲕᲘ ᲙᲔᲠᲫᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔ, ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲜᲘᲣᲗᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲨᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲓᲘᲚᲐᲡ. ᲑᲔᲠᲘᲜᲒᲔᲠᲛᲐ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲝᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲘ - „ᲑᲠᲐᲜᲩᲘ“ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲮᲡᲔᲜᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲔᲜᲘᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲔᲑᲘᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ.
ᲒᲕᲘᲐᲜᲘ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲖᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲑᲠᲐᲜᲩᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ, ᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ...

**ᲢᲔᲥᲡᲢᲘ** ᲜᲘᲜᲝ ᲛᲣᲠᲦᲣᲚᲘᲐ **ᲤᲝᲢᲝ** ᲨᲝᲗᲐ ᲒᲝᲗᲝᲨᲘᲐ

პარნასის ბრანჩის მენიუ გახლავთ საავტორო, ინსპირაცია საერთაშორისო კერძებიდან წამოვიდა, თუმცა ჩვენ ის ქართული ელემენტებით გავაჯერეთ



ს ადაც არ უნდა წარმოშობილიყო ბრანჩი, მან სრულყოფილებას ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაღწია. ბრანჩის შემსწავლელი ერთ-ერთი ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ გვიანი დილის საუზმე პოპულარული გახდა 1930-იან წლებში, როდესაც ჰოლივუდის ვარსკვლავები, რომლებიც მთელ ქვეყანაში მატარებლით მოგზაურობდნენ, ჩიკაგოში ჩერდებოდნენ გვიანი დილის საუზმის მისართმევად და ამით დიდ სიამოვნებას იღებდნენ. სწორედ პოპულარული ადამიანების უნებური პიარის წყალობით, ბრანჩი ნამდვილ კულინარიულ ჰიტად იქცა და ტრადიციადაც დამკვიდრდა.

## ისტორიული კაფე „პარნას ი“ ყოველთვის სიახლეებისკენ ისწრაფვის და შაბათ-კვირის გვიანი საუზმის ტრადიციად დამკვიდრებაც გადაწყვიტა




ბრანჩის კულტურა, რასაკვირველია, რესტორნებისთვის დამატებითი საშუალება გახდა, ესიამოვნებინათ თავიანთი მომხმარებლებისთვის, შეფებმა კი მონდომებით დაიწყეს მუშაობა და ბრანჩის მენიუს გამრავალფეროვნება. და მართლაც, გვიან დილას, უქმეებზე, როდესაც თქვენი ორგანიზმი დასასვენებლად არის მომართული და ახალი გემოების შესაცნობადაც მზადაა, არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე ფრანგული ტოსტი, ბეკონი, ბელგიური ვაფლი, ომლეტი და დილის კოქტეილები, როგორიცაა ბელინი ან მიმოზა... საქართველოში ბრანჩის კულტურა მხოლოდ ახლა მკვიდრდება და, როგორც ყველა სიახლის შემთხვევაში, აქაც პირველობა არავის დაუთმო „თბილისი მარიოტმა“. ისტორიული კაფე „პარნასი“ ყოველთვის სიახლეებისკენ ისწრაფვის და შაბათ-კვირის გვიანი საუზმის ტრადიციად დამკვიდრებაც გადაწყვიტა.

„თბილისი მარიოტის“ შეფმზარეულები სასტუმროს სტუმრებს მუდმივად გამორჩეული გემოებით ანებივრებენ და ბრანჩისთვის მათ მიერ სპეციალურად შექმნილი ა ლა კარტ მენიუც, რასაკვირველია, არ არის გამონაკლისი.

კაფე „პარნასში“ შესულს, სტანდარტულად ბუფეტიდან მოწოდებული ბრანჩის კონცეფცია შეცვლილი დაგხვდებათ – ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, მან სწორედ ა ლა კარტ მენიუში გადაინაცვლა, საიდანაც სასურველ კერძებს სტუმარი თავად შეარჩევს.

რომელი თქვენგანი იტყვის უარს სასტუმროს მზარეულების მიერ მომზადებულ საქვეყნოდ აღიარებული და მსოფლიოში ცნობილი დესერტების უგემრიელეს ვერსიებზე, მაგალითად, ისეთზე, როგორიცაა ბელგიური ვაფლი ათქვეფილ ნაღებთან და ჟოლოს ჯემთან ერთად? სურნელოვანი ცხელი სასმლით, მათ შორის, არომატული ყავის ჭიქით ხელში, ამ სეზონის ცივ ამინდებსაც შესანიშნავ განწყობაზე მიიღებთ და გააცილებთ – დილის კარგი დასაწყისი მთელი დღის სასიამოვნოდ გატარების გარანტიაა...

როდესაც თქვენი ორგანიზმი დასასვენებლად არის მომართული და ახალი გემოების შესაცნობადაც მზადაა, არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე ფრანგული ტოსტი, ბეკონი, ბელგიური ვაფლი, ომლეტი და დილის კოქტეილები, როგორიცაა ბელინი ან მიმოზა...

„პარნასის“ უიქენდის ბრანჩის მთავარ აქცენტებზე გავამახვილოთ ყურადღება: მის ცენტრში მხოლოდ ორგანული და ჯანსაღი საკვები დგას. მენიუ ყველა ტიპის გემოვნებას აკმაყოფილებს და გათვლილია არა მხოლოდ ზრდასრულების კულინარიული სიამოვნებისთვის და მათ დასანაყრებლად, არამედ ბავშვებისთვისაც, ვინაიდან მათთვის „პარნასს“ ცალკე აქვს შესათავაზებელი კერძების მდიდარი ჩამონათვალი.

„თბილისი მარიოტის“ უქმეების ბრანჩს მისი უცვლელი შემადგენელი ელემენტი, მიმოზის კოქტეილი ამშვენებს, რომელსაც ბრანჩის დროს ყველა სტუმარს ულიმიტოდ სთავაზობენ.

### „პარნასის“ შეფი ლერი დარსაველიძე გატაცებით საუბრობს უქმეების ბრანჩის მთავარ კონცეფციაზე:

„პარნასის ბრანჩის მენიუ გახლავთ საავტორო, ინსპირაცია საერთაშორისო კერძებიდან წამოვიდა, თუმცა ჩვენ ის ქართული ელემენტებით გავაჯერეთ. ჩემთვის მთავარი იყო, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, მაქსიმალური კომფორტი შეგვექმნა სტუმრებისთვის და რაც შეიძლება მრავალფეროვანი არჩევანი მიგვეწოდებინა. მოხარული ვარ, რომ ჩვენმა შექმნილმა ბრანჩმა საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა და სტუმრებისგან დადებით შეფასებებს ვიღებთ“.



# სოკარი -სოციალური პასუხისმგებლობის 15 წელი

გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული საკითხები კომპანიისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ რჩება

**ტექსტი** ნინო მურღულია

უკვე 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარმა“ საქართველოში ბიზნესსაქმიანობა დაიწყო და, მის პარალელურად, სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტიც დაამკვიდრა. წლების განმავლობაში იზრდებოდა იმ მიმართულებებისა და სფეროების ჩამონათვალი, რომელთა მხარდაჭერასაც „სოკარი“ მუდმივად ახორციელებდა და დღესაც აგრძელებს. სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში არაერთი სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პროექტი ამოქმედდა, რომელთა მთავარი მხარდამჭერი სწორედ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია გახდა.

## „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ პროექტი, რომელიც ადამიანთა ცხოვრებას ცვლის

გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული საკითხები კომპანიისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ რჩება, რომლის განვითარებისთვის უამრავი დრო, ენერგია და ფინანსური რესურსია დახარჯული. „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმმა“ თბილისსა და რეგიონებში არაერთი სკვერი ააშენა, მათ შორისაა რეკრეაციული ზონები დედაქალაქში, ასევე, რუსთავში; თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კერძოდ, ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში არსებული ტერიტორია გამწვანდა და 1 500-მდე ძირი ხე დაირგო; ბორჯომის ტყე-პარკის ტრაგიკული ხანძრის შედეგად განადგურებულ ტერიტორიაზე, 2 ჰექტარ მიწის ფართობზე 4 700 ძირი ხე დაირგო.





კომპანია 2019 წლიდან უჭერს მხარს პროექტს „აქტიური ცხოვრება ჩემი სტილია“, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად მრავალი სპორტული ღონისძიება და სპორტული ბანაკი იმართება

კომპანიისთვის მთავარია ნარჩენების მართვა, ამიტომაც უტილიზაციას ყველა წესის დაცვით წარმართავს; ეკოლოგიაზე ზრუნვა, პირველ რიგში, საწვავის ხარისხის კონტროლითაა შესაძლებელი, რასაც „სოკარი“ საკუთარი აკრედიტებული ლაბორატორიის აქტიური მუშაობით ახორციელებს. მიმდინარეობს რეზერვუარების სისტემატური წმენდა, ბენზინგასამართი სადგურების უმრავლესობაზე დამონტაჟებულია ელექტრომანქანების სატენები.

ქალთა გაძლიერებაზე ზრუნვა „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ კიდევ ერთი საინტერესო მიმართულებაა. ბოლო წლების განმავლობაში „სოკარმა“ რამდენიმე საინფორმაციო კამპანიას გაუწია ორგანიზება ამ კუთხით და ცნობიერების ამაღლება დაიწყო საავტომობილო სტიკერებით – #ქალივიციმესაჭესთან, რომელთა საშუალებითაც არსებულ სტერეოტიპებს დაუპირისპირდა. იმავე კამპანიის ფარგლებში, ყოველკვირეულად, „სოკარის“ ფეისბუქგვერდებზე განთავსებულ საინფორმაციო პოსტებზე ასახული იყო საინტერესო ამბები ქართველ და უცხოელ ქალებზე, მათ სამეცნიერო მიღწევებსა და ცხოვრებისეულ გამბედაობაზე. 2018 წელს, ქალთა გაძლიერების მიმართულებით, „სოკარი“ შეუერთდა გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს, რაც გულისხმობს სამუშაო ადგილებზე ქალთა უფლებების მაქსიმალურად დაცვას, ქალების წახალისებას მაღალი რგოლის მენეჯმენტის პოზიციებზე და ქალების დასაქმებას ე. წ. „არატრადიციულ თანამდებობებზე“. პროექტის მიზანი იყო, აგრეთვე, სქესობრივი დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა და პრევენცია.



ქალთა გაძლიერებაზე ზრუნვა „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" კიდევ ერთი საინტერესო მიმართულებაა



გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული საკითხები კომპანიისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ რჩება, რომლის განვითარებისთვის უამრავი დრო, ენერგია და ფინანსური რესურსია დახარჯული

„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" ბიზნესლიდერთა ფედერაციის „ქალები მომავლისთვის" წევრი კომპანია გახდა. ვინაიდან კომპანია ყოველთვის გვერდში უდგას ქართულ სპორტს, ამ მხრივ არც ქალთა ფეხბურთია გამონაკლისი.
შშმ პირების უფლებების რეალიზაცია – „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" განსაკუთრებული მიმართულებაა, სადაც განხორციელებული აქტივობებისა და პროექტების რაოდენობა ერთ–ერთი ყველაზე მაღალია.
„სოკარმა" დაიწყო სადგურებზე არსებული სველი წერტილების ეტაპობრივი ადაპტაცია. ავტობანზე მდებარე სადგურებთან არსებული საპირფარეშოების დიდი ნაწილი მორგებულია შშმ პირთა საჭიროებებზე. კომპანია 2019 წლიდან უჭერს მხარს პროექტს „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა", რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად მრავალი სპორტული ღონისძიება და სპორტული ბანაკი იმართება. ბანაკში მონაწილეობენ საომარი მოქმედებების დროს დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები, ვეტერანები, ცნობილი ადამიანები და რეგიონებში მცხოვრები შშმ პირები. „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა" ახალგაზრდულ მედიაკავშირთან ერთად ხორციელდება. ჟურნალ „ნარგისს" ესაუბრება პროექტის ორი მონაწილე, თამარ მაჭარაშვილი და ნანა ბრეგვაძე.

**თამარ მაჭარაშვილი:**
ზოგადად, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი, აქტიურად ვიყავი ჩართული ყველა ტიპის ღონისძიებებში, რომლებიც ჩემი თემის წარმომადგენელთა გააქტიურებას შეუწყობდა ხელს. მინდოდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სხვა ქალებისა და გოგონებისთვის პირადი მაგალითი ვყოფილიყავი. პროექტში „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა", ხატია გავაშელთან ერთად, ვცდილობდით, მაქსიმალურად ბევრი ადამიანი ჩაგვერთო. ახალგაზრდულ მედიაცენტრთან ერთად ვამზადებდით ისეთ ვიდეორგოლებს, რომლებითაც შშმ ქალების იმიჯი სხვაგვარად წარმოჩნდებოდა – არა ქველმოქმედების კუთხით, არა იმ მიმართულებით, რომ ისინი რაღაცას ითხოვდნენ, არამედ პირიქით, რის გაცემა შეეძლოთ მათ... ჩვენი ყველა ტიპის თანამშრომლობა ამას ემსახურება.
მე თავად წარმოვადგენ კავშირს „ქალი და რეალობა", რომელიც 2012 წლიდან დავაფუძნე. 2019 წელს კი, სწორედ აქტიური ქალბატონებისა და გოგონების უშუალო მონაწილეობით, დავაარსეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ეროვნული ქსელი, რომელსაც ამჟამად წარმოვადგენ. დაკავებულები ვართ უფლებადაცვითი საქმიანობით, გვსურს, რაც შეიძლება მეტ შშმ პირს გავაცნოთ საკუთარი უფლებები, ვავლენთ მთავარ გამოწვევებს, ვამსხვრევთ შექმნილ სტერეოტიპებს, რა ხერხითაც შეგვიძლია – მინდა, მეტი შშმ ქალი და გოგონა მოვიცვათ იმისათვის, რომ ისინი უფრო მეტად მოტივირებულები იყვნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთონ. ამ კუთხით პროექტს, რომელზეც ზევით ვისაუბრეთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საზოგადოების აქტიური წევრობა მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ დასაქმებული ხარ და სამსახურში დადიხარ; სპორტი, კულტურული ღონისძიებები თუ სხვა და ამ სფეროებში ჩართულობა შშმ ქალებისა და გოგონებისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს.
მე არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ მნიშვნელოვანია გარემოს შექმნა, რომელსაც ადამიანები თავიანთი საჭიროებების მიხედვით ადვილად მოერგებიან. კომპანია „სოკარის" მხარდაჭერა ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია.
ადამიანების ცხოვრება ასეთი პროექტების შემდეგ ძალიან იცვლება. მინდა, საზოგადოებამ გაიგოს, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს არ იყოს ერთჯერადი. ეს გახლავთ ჯაჭვი, რომელიც არ უნდა დაირღვეს!

**ნანა ბრეგვაძე:**
ამ პროექტის ანალოგი საქართველოში არ არსებობს, ის აერთიანებს ერსაც და ბერსაც, შშმ პირებსაც და არა შშმ პირებსაც. აქ შესაძლებლობები არ ჩანს და ყველა თანაბარია, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანაში.
მე 202–ე სკოლაში ვსწავლობდი და არასდროს ვყოფილვარ დაინტერესებული სპორტული აქტივობებით, ფიზკულტურის გაკვეთილებით. როცა ამ პროექტში ჩავერთე, და მასში პირველივე დღიდან ჩართული ვარ, ვერც კი წარმომედგინა, ისეთი დიდი სიყვარული ვიგრძენი სპორტული აქტივობების მიმართ. ყველა ემოცია, რასაც ახლა გიზიარებთ, გულიდან მოდის – იმდენად მიყვარს ეს პროექტი და იმდენად ველოდები ყოველ წელს... ვერასდროს წარმომედგინა, რომ პარაპლანით გადმოვფრინდებოდი. უკვე ექვსჯერ გამოვცადე ეს შეგრძნება. მხედველობის პრობლემა მაქვს, მაგრამ როცა მიზანში ვისვრი და თუნდაც ვერ გავარტყამ, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს... როცა იცი, რომ ეს აქტივობა შენთვის არ იყო და უცებ მასში ხარ ჩართული – სწორედ ეს არის ამ პროექტის მთავარი მიზანი.
„სოკარი" ამ პროექტის დამფინანსებელია. ვფიქრობ, ამ კომპანიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ხედავს, რამდენ ადამიანს ანიჭებს ბედნიერებას. ეს არსად იკარგება... მინდა ვისურვო, რომ „სოკარი" მთელი ცხოვრება ჩვენ გვერდით იდგეს!..
აქ, გარდა იმისა, რომ სხვადასხვა სპორტულ სახეობაში ვცდით თავს, უამრავ ახალ ადამიანს ვიცნობთ. შვიდი წელია, თბილისის მერიაში ვმუშაობ და, რასაკვირველია, მყავს ჩემი სანაცნობო წრე, მაგრამ პროექტიდან გამომდინარე, უამრავი ახალი მეგობარი შევიძინე, დავუმეგობრდი მასში მონაწილე ცნობილ ადამიანებსაც და საჯარო პირებსაც, რომლებიც მოგვიანებით ჩემს პროექტებშიც ჩავრთე. მყავს მეუღლე, რომელსაც არ აქვს მხედველობის პრობლემები, ჩემთან ერთად დადის სპორტულ აქტივობებზე და ზოგჯერ მეუბნება ხოლმე, რომ რასაც მე ვცდი, თავად ვერ გაბედავდა... როდესაც ადამიანს შეზღუდული შესაძლებლობა გაქვს და ამას ისმენ, ძალიან დიდი მიღწევაა. ის, რაც არ გაქვს, უფრო მეტად გინდება და უფრო მეტად აფასებ... მიზანში მორტყმაზე ვსაუბრობდით და, სხვათა შორის, საკმაოდ კარგად ვიასპარეზე ამ სახეობაში... მაგრამ მთავარი გონების თვალია... სადაც უნდა ვიყო და რასაც უნდა ვაკეთებდე, მინისტრი ან პრეზიდენტიც რომ გავხდე, ამ პროექტის ქომაგი მაინც ვიქნები.

**კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები „სოკარ ენერჯი ჯორჯიასგან"**

„სოკარ ენერჯი ჯორჯია" ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ჰეიდარ ალიევის პარკის, როგორც საზოგადოებრივ–კულტურული ღირსშესანიშნაობის, კეთილმოწყობასა და მოვლას როგორც თბილისში, ისე რუსთავში. კომპანიამ მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, თბილისში ჰეიდარ ალიევის ფონდის შენობის სარემონტო–აღდგენით სამუშაოებში, აქტიურად იყო ჩართული გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლის, ნარიმან ნარიმანოვის მუზეუმის სარემონტო–სამშენებლო სამუშაოებში.

ამ პროექტის ანალოგი საქართველოში არ არსებობს, ის აერთიანებს ერსაც და ბერსაც, შშმ პირებსაც და არა შშმ პირებსაც. აქ შესაძლებლობები არ ჩანს და ყველა თანაბარია, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, მით უმეტეს, ჩვენს ქვეყანაში





ეს გახლავთ ჭაჭვი, რომელიც არ უნდა დაირღვეს!

2013 წელს, „სოკარ ენერჯია ჯორჯიას“ ინიციატივით, სრულად გარემონტდა და აღდგა აზერბაიჯანელი მწერლისა და განმანათლებლის, მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ–მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია აზერბაიჯანული ნაციონალური სამოსი, სამკაულები, მუსიკალური ინსტრუმენტები, მწერლის პირადი ნივთები...

კომპანია დიდი ენთუზიაზმით მუშაობს ახალგაზრდების განათლების მიმართულებითაც: პროგრამა „1+4“–ის ფარგლებში, 2008 წლიდან დაწყებული დღემდე, ფინანსდება ეთნიკურად აზერბაიჯანელი სტუდენტების სწავლა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, 2020-2021 სასწავლო წლისთვის მათი საერთო რაოდენობა თითქმის 4000–ს აღწევს.

ახალგაზრდების მეტი ჩართულობისა და ინტეგრაციისთვის ქართულ საზოგადოებაში ქვემო ქართლში მარნეულის ახალგაზრდული ცენტრი უკვე 9 წელია ახორციელებს პროექტს, რომელშიც წელიწადში დაახლოებით 1000 ადამიანია ჩართული; მარნეულში აშენდა „ჩაის სახლი“, რომელიც ამავე მიზანს ემსახურება. კომპანია აფინანსებს დმანისის რაიონის შორეული აზერბაიჯანული სოფლების მკვიდრი ბავშვების განვითარებისა და განათლებისთვის განკუთვნილ პროექტს, რომელიც ჰეიდარ ალიევის სახელობის სკოლისა და დმანისის საგანმანათლებლო ცენტრის ეგიდით ხორციელდება.

კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპორტის ხელშეწყობა.

„სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გამორჩეული და მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან, რომლის გენერალური სპონსორი იყო 2008 წლიდან 2019 წლის ჩათვლით.

„სოკარ ენერჯია ჯორჯია“ 2011–2014 წლებში საქართველოს 19 ბავშვთა სახლის კომუნალურ გადასახადებს სრულად აფინანსებდა, მის ანგარიშზეა არაერთი გარემონტებული სკოლისა და ბაღის შენობა, ასევე, ამბულატორია სოფელ ქვემო არქევანში, მინისტადიონი გარდაბნის რაიონის სოფელ კესალში, ავტოგზების რეაბილიტაცია თუ მათი გაყვანა სხვადასხვა მიმართულებით.



2014 წლის დასაწყისიდან კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და მეჩეთებს კონკრეტული ოდენობის ბუნებრივ აირს სრულიად უფასოდ აწვდის, 2011 წლიდან კი დახმარებას უწევს ორგანიზაცია „კათარიზსს“, რომელიც დაფინანსების შედეგად გაჭირვებულ მოხუცებულებს ზესტაფონის რაიონში უფასო სადილებითა და მედიკამენტებით ეხმარება.

2015-16-17 წლებში „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ გახდა ნინო სურგულაძის საქველმოქმედო ფონდის გენერალური სპონსორი და დაეხმარა ფონდს საქველმოქმედო კონცერტების გამართვაში, შემოსული თანხა მძიმედ დაავადებულ ბავშვებს მოხმარდათ.

„სოკარ ენერჯი ჯორჯია“ კორონავირუსის პანდემიის დაწყების პირველივე დღეებიდან აქტიურობდა, როდესაც სამთავრობო ფონდში 200 000 ლარი გადარიცხა, ასევე, 100 000 ლარის პროდუქტებით დაეხმარა 3000 სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომლებიც პანდემიის პერიოდში დაზარალდნენ. 6 თვის განმავლობაში მაღაზიათა ქსელი „ვეი მარტი“ უფასოდ უმასპინძლდებოდა ყავით პოლიციელებსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაკებს.

კომპანიამ, აგრეთვე, დაიწყო შიდა კამპანია ვაქცინაციის წასახალისებლად: ორჯერ აცრილმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გათამაშებაში, რომელშიც 45 გამარჯვებული გამოვლინდა და თითოეულ მათგანს გადაეცა 1000 ლარი.










ადამიანებს, რომლებსაც არ ჰყავთ გაცნობილი საკუთარი „მე", განსაკუთრებით უჭირთ დაბერება

# სილამაზის ფილტრები

## სოციალურ ქსელებში - პოზიტიური და ნეგატიური მხარეები

სილამაზის სტანდარტები ყველა ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. სითეთრისადმი ქალების სიყვარული ერთ დღეს კოკო შანელმა გარუჯული სხეულისადმი სიყვარულად გადააქცია. სხვადასხვა ეპოქაში ქალბატონები წვრილი წელით, წვრილი ტუჩებითა და ღრმა დეკოლტეთი იწონებდნენ თავს, მოდური იყო ცოტა ზედმეტი წონაც, რაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ზედმეტი სიგამხდრის მოთხოვნილებამ შეცვალა; ტუჩის მოცულობაც გაიზარდა და მკერდის - კიდევ უფრო მეტად, რაც მრავალმხრივი სამედიცინო პროცედურების შედეგად უფრო გაადვილდა. სოციალური ქსელების ფილტრებმა კი ადამიანები კიდევ ერთი გამოწვევის წინაშე დააყენა - მოჩვენებითი სილამაზის ცნება შექმნა. ადამიანებს აღარ მოსწონთ საკუთარი თავი ისეთი, როგორსაც სარკეში უყურებენ, ფილტრი კი მცირე ხარვეზებსაც კარგად ნიღბავს...
რამდენიმე ხნის წინ ნორვეგიაში მიიღეს კანონი, რომელიც ინფლუენსერებს ავალდებულებს, მიუთითონ, როდესაც ფოტომასალა სხვადასხვა ტიპის ფილტრით ან ფოტოშოპითაა დამუშავებული. ფსიქოლოგი **სალომე ბლიაძე** გვესაუბრება იმის შესახებ, თუ რატომ დადგა ამ კანონის მიღების აუცილებლობა და როგორ ავირიდოთ ზედმეტობა, როდესაც საქმე თავის მოვლას ეხება.

**ტექსტი** ნინო მურღულია





**21-ე საუკუნემ ბევრი სამედიცინო მეთოდი მოიტანა და ადამიანებს უფრო ადვილად შეუძლიათ სურვილების ასრულება. ზომიერება მნიშვნელოვანია, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი ძალიან დამოკიდებული ხდება პლასტიკურ ოპერაციებზე...**

აქ ძირითადი საკითხი არის თვითშეფასება და საკუთარი თავის სიყვარული. სხეულის კონკრეტული ზონის გალამაზებით ადამიანი საკუთარ თავს ვერ შეიყვარებს. თვითშეფასებაზე ცოტა სხვანაირად მუშაობაა საჭირო. როდესაც ეს დარღვეულია და არ არის საკუთარი თავის მიმღებლობა და სიყვარული, იწყება გარეგნული ნაწილის გალამაზება, თუმცა ეს არ არის საკმარისი. ამ გზაზე ზომიერების დაცვა არ ხდება. ზომიერების დაცვას ახერხებენ ადამიანები, რომლებიც სხეულის ნაწილის გაუმჯობესებას კი მიმართავენ, მაგრამ ისედაც აქვთ ჰარმონია საკუთარ თავთან და ეს კიდევ უფრო მეტად აუმჯობესებს მათ კონტაქტს საკუთარ თავთან – როცა  გარეგნული ცვლილება არ განსაზღვრავს საკუთარი თავის სიყვარულს, არამედ ცდილობს, შექმნას თავისი თავის უკეთესი ვერსია და აუმჯობესებს მას ზომიერების ფარგლებში. ადამიანს მუდმივად აქვს სწრაფვა, იყოს უკეთესი გონებრივად, გარეგნულად თუ ფსიქოემოციურად.

**როგორ უნდა დავიცვათ ზღვარი?**

ადამიანმა უნდა დასვას კითხვა: შემდეგი სხეულის ნაწილის გალამაზება მოუტანს თუ არა საკუთარი თავის სიყვარულს? როდესაც ადამიანს ხან ცხვირი არ მოსწონს, ხან ყური და ეს არ მთავრდება, საკუთარი თავის აღქმასთან გვაქვს პრობლემა და ასეთმა ადამიანებმა აუცილებლად უნდა იმუშაონ პირად თერაპიაზე, მიმართონ სხვადასხვა საშუალებას. საკუთარი თავის მოწონება ასე არ მოვა, არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია – უნდა იღებდე საკუთარ თავს ისეთს, როგორიც არის. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუკი რაიმე გამოსასწორებელია გარეგნულად, ამას ვერ აღვიქვამდე... მაგალითს მოგიყვანთ: გყავთ შვილი, მასზე გიჟდებით, ძალიან გიყვართ, მაგრამ იცით, რომ ის არ არის იდეალური. ამის მიუხედავად მისდამი თქვენი სიყვარული არ იცვლება. „მე მეყვარება ჩემი თავი, თუ ხუთი კილოთი ნაკლები ვიქნები" – ეს არ არის სწორი მიდგომა.
კარგი იქნება, თუკი თქვენი მკითხველები მიმართავენ ასეთ ექსპერიმენტს: სარკის წინ დადგებიან და საკუთარ თავს „ჩამოაშორებენ" რამდენიმე ფაქტორს, მაგალითად, სოციალურ სტატუსს, განათლებას, გარეგნობას... როცა ამას აშორებ შენს თავს, ვინ რჩება? ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. თუკი არაფერი რჩება, ე.ი. ნამდვილად მაქვს ჩემს თავზე სამუშაო. გარეგნობა წლების შემდეგ შეიცვლება, რაც უნდა პლასტიკურ ქირურგიას მივმართოთ. იმ ადამიანებს, რომლებსაც არ ჰყავთ გაცნობილი საკუთარი „მე", განსაკუთრებით უჭირთ დაბერება. ჰგონიათ, რომ მათი სავიზიტო ბარათი ესაა. ასევე, კარიერა, ფინანსური წარმატება და სხვა. სტატუსებს მიღმა აუცილებლად უნდა იყოს სხვა რამ...

> სხეულის კონკრეტული ზონის გალამაზებით ადამიანი საკუთარ თავს ვერ შეიყვარებს

**სოციალურმა ქსელებმა მოიტანა ე.წ. სილამაზის ფილტრები, რომლებიც ადამიანებს ასხვაფერებს და უფრო ლამაზს ხდის, ბევრი ამაზეა დამოკიდებული. სილამაზის ტრენდი, შეიძლება ითქვას, ყველგან ერთი გახდა...**

სოციალურმა ქსელებმა ბევრს მისცა მოტივაცია, რომ დაეწყო თავის მოვლა, ვარჯიში, საკუთარ თავზე ზრუნვის სტიმული. ბევრმა საკუთარი საქმეც იპოვა აქ, ინფლუენსერებს ვგულისხმობ. მეორე მხრივ, თუკი რაღაც სტანდარტში არ ჯდება, ადამიანს ექმნება წარმოდგენა, რომ ის ლამაზი არ არის. ეს ფილტრი აწესებს რაღაც სტანდარტს, რადგან კონკრეტული შაბლონის მიხედვითაა შექმნილი.
თერაპიის დროს ახალგაზრდა ულამაზესი გოგონებისგან უკვე ხშირად მესმის ეს ფრაზა: „არ ვარ საკმარისად ლამაზი!.." ეს მოქმედებს ადამიანებზე, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში მყოფებზე, როცა არ არის დასრულებული პიროვნული მე–ს გაცნობა და თვითშეფასების ჩამოყალიბება.

**ახლახან ნორვეგიაში მიიღეს კანონი, რომელიც ავალდებულებს ყველას, სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ მასალას დაურთონ მითითება, გამოყენებულია თუ არა რაიმე სახის ფილტრი ან ფოტოშოპი...**

თუკი დავინახავთ რეალურ საფრთხეს, რომელიც არსებობს, სრულიად გამართლებულია ამ კანონის მიღება. ადამიანები საკუთარი თავის გადაკეთებას ცდილობენ  გარდატეხის ასაკიდანვე, რადგან იწყება ასეთი დონის კომპლექსების ჩამოყალიბება. ვფიქრობ, კანონის მიღება სწორია, რომ ადამიანს არ შეექმნას ილუზია, თითქოს თვითონ არის მახინჯი და ყველა სხვა ადამიანი ლამაზია. ფილტრის ეფექტის რეალურ ცხოვრებაში მიღწევას ადამიანი დაუსრულებელი პლასტიკური ოპერაციებით ცდილობს. მივესალმები მოდელების ფოტოებს, რომლებიც ბოლო დროს ძალიან ტენდენციური გახდა, მაკიაჟის გარეშე, გარკვეული ხარვეზების მქონე სხეულის ჩვენებით. ამ ფოტოებს ძალიან დადებითი გამოხმაურება ჰქონდა.
ბუნებრივია, რომ დროთა განმავლობაში რაღაცები შეიძლება შეიცვალოს. შეიძლება გქონდეთ მცდელობა, მაგრამ დასაშვებია, რომ ყოველთვის იდეალურად არ გამოიყურებოდეთ...
თუკი ჩვენს საუბარს შევაჯამებთ – ძალიან ბევრი ადამიანისთვის სილამაზის ფილტრები შეიძლება იყოს მოტივაცია სხვა კუთხით, რომ ნამდვილად დაიწყონ საკუთარ თავზე ზრუნვა, ივარჯიშონ, მიმართონ ჯანსაღ კვებას და ა.შ., მაგრამ აქ არ უნდა დაივიწყონ საკუთარი თავი, საკუთარი მე. არსებობს გარკვეული რისკები და ადამიანები უნდა დააკვირდნენ ინდიკატორებს და აღმოაჩინონ რისკები, ზღვარს რომ არ გადავიდნენ.

# 2021 წლის შემოდგომა-ზამთრის ასტროპროგნოზი

**მოამზადა** ასტროლოგმა რამაზ გიგაურმა

მნიშვნელოვანი გახდება ადრე დაწყებული პროექტების დასრულება ან დასტაბილურება მაინც, რათა სრულად კონცენტრირება შეძლოთ ახალ პერსპექტივებზე, რომლებიც ამ პერიოდში გაჩნდება

## ვერძი

მიუხედავად ერთი შეხედვით გართულებული სიტუაციებისა და დაგროვილი საქმეებისა, შეძლებთ სიძნელეების გადალახვას და შექმნილი წინაღობების დაძლევას. მთავარია, არ იჩქაროთ და კონცენტრაცია პრიორიტეტულ საკითხებზე გააკეთოთ. მოერიდეთ ურთიერთობების გართულებას სასიყვარულო თუ საქმიან პარტნიორებთან. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ინფორმაციის გადამოწმების და ფაქტების შეჯერების შემდეგ მიიღეთ. ეს არა მხოლოდ შეცდომებისგან დაგაზღვევთ, არამედ წარმატებების მიღწევის ალბათობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

## კურო

საკუთარი თავისთვის დამატებითი პასუხისმგებლობის დაკისრება და ბევრი საქმის კეთება მოგიწევთ. ამ ყველაფრის მიუხედავად წინსვლის შანსი მაინც გექნებათ. ენერგია და დრო კონკრეტულ პროექტებს მოახმარეთ და არაფრის მომტან დაპირისპირებებზე ნუ დახარჯავთ. გაწეული შრომა თქვენს ფინანსურ შემოსავლებზე პირდაპირპროპორციულად აისახება. მოერიდეთ რისკზე წასვლას და აკონტროლეთ ფინანსური დანახარჯი. მოქმედებებისას უპირატესობა გამოცდილ მეთოდებს მიანიჭეთ.

## ტყუპები

წარმატების მიღწევა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად სწრაფად და ეფექტიანად შეძლებთ წარსულის ნეგატიური გავლენისგან თავის დაღწევას და აწმყოს გაცნობიერებას. ეს გაგიიოლებთ „ტოქსიკური“ ურთიერთობებისგან გათავისუფლებას და დასახულ მიზანზე კონცენტრაციას. შეძელით საკუთარ იერსახეში ახალი შტრიხების შეტანა და საკუთარი დადებითი თვისებების მაქსიმალურად გამოვლენა. ეს თქვენს პოპულარობას ერთიორად გაზრდის და ახალ მეგობრებსაც შეიძენთ.

## კირჩხიბი

შეძლებთ დაძაბული ემოციური სისტემის მოწესრიგებას და დამშვიდებას, თუმცა ამას თქვენც უნდა შეუწყოთ ხელი. შეეცადეთ, მართოთ თქვენი განწყობა, ხასიათი და წვრილმანებს თქვენი გაღიზიანების უფლება არ მისცეთ. რამდენადაც მშვიდად შეხვდებით გამოწვევებს, იმდენად ეფექტიანად მოახერხებთ მათ მართვას და გამკლავებას. ფინანსურ თემებთან დაკავშირებით თავშეკავებულად იმოქმედეთ. უპირატესობა საქმიან ცხოვრებას და სამსახურებრივი საკითხების განვითარებას მიანიჭეთ.

## ლომი

თუ ჯიუტად არ მოიწადინებთ მხოლოდ საკუთარი პოზიციების გათვალისწინებას და საქმის კეთებისას გარშემო მყოფების აზრსაც გაითვალისწინებთ, წარმატების მიღწევა არ გაგიჭირდებათ. ახლობელ ადამიანებთან გართულებული ურთიერთობების ფონზე, მაქსიმალურად ყურადღებიანი იყავით. არ დაგავიწყდეთ საჭირო დროს კომპრომისზე წასვლა და უკან დახევაც. ეს როგორც ოჯახურ ცხოვრებაში, ისე კარიერული წინსვლის გზაზე კარგ სამსახურს გაგიწევთ.

## ქალწული

შეიძლება გაგიჩნდეთ განცდა, რომ ეს ორმაგი მნიშვნელობის პერიოდია. სამსახურში, საქმიან ცხოვრებასა თუ ბიზნესში შეძლებთ სიტუაციის დაბალანსებას და შექმნილი წინაღობების გადალახვისთვის კონკრეტულ გეგმებსაც შეიმუშავებთ, თუმცა წვრილმანებზე მეტისმეტმა ჩაციკვლამ და რუტინამ მოსალოდნელია, ემოციური რეაქციების გამოხატვა შეანელოს, ეს კი კარგად არ აისახება პარტნიორთან ურთიერთობებზე. ამიტომ ახლობელ ადამიანების მიმართ სიყვარული გამოავლინეთ.

## სასწორი

ერთი შეხედვით ბობოქარი პერიოდი იქნება, თუმცა შეეცადეთ, პირველხარისხოვანი მეორეხარისხოვნისგან გამიჯნოთ. ყურადღება მხოლოდ იმ საკითხებისკენ მიმართეთ, რომლებიც მოცემულ მომენტში ყველაზე მნიშვნელოვანია. ასე შეძლებთ სტრესული სიტუაციებისთვის გვერდის ავლას და წინსვლისთვის საჭირო პერსპექტივების შემჩნევასა და გამოყენებას. შიში და გაუბედაობა უფრო გაგირთულებთ საქმეს, ამიტომ სწორი დასკვნები გააკეთეთ და წინ იარეთ.

## თხის რქა

იოლი არ იქნება ყველა მიმართულებით პროგრესი განიცადოთ, თუმცა ის მაინც უნდა მოახერხოთ, რომ დაწყებული საქმეები შუა გზაზე არ მიატოვოთ და ფარული მტრები არ გაიჩინოთ, ამიტომ სამსახურში თუ ოჯახში თავშეკავებული იყავით და პრეტენზიები ტაქტიანად გამოთქვით. უფრო მეტიც, მოსალოდნელია, ახლობელ ადამიანებს თქვენი დახმარება დასჭირდეთ. გახსოვდეთ, რა ენერგიასაც გასცემთ, აუცილებლად იგივე დაგიბრუნდებათ.

## მორიელი

მოსალოდნელია, დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის და პრობლემების ანალიზი მოგიხდეთ. წარსულის სწორად შეჯამებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. სწორად განსაზღვრეთ, რას უნდა გაუშვათ ხელი და რა უნდა გაიყოლოთ მომავალში. დაისახეთ მიზნები და დაგეგმეთ დეტალურად, რის მიღწევას და როგორ აპირებთ. შეეცადეთ, მოძებნოთ დამატებითი სამსახური, ან ახალი ფინანსური შემოსავლის წყარო.

## მერწყული

ბრძოლა მოგიწევთ არა მხოლოდ თქვენი იდეების რეალიზაციისთვის, არამედ ავტორიტეტისა და რეპუტაციის გამყარებისთვისაც. მთავარია, სწორად შეაფასოთ განვლილი თვე და დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. ურთიერთობებში ნუ იქნებით ჯიუტი და რადიკალური. მნიშვნელოვანი იქნება ემოციური და ფინანსური სტაბილურობაც, მით უმეტეს, რომ ეს ორი სფერო ამ პერიოდში ერთმანეთს მჭიდროდ გადაეჯაჭვება.

## მშვილდოსანი

ეს გარდამავალი პერიოდია, ამიტომ სამყაროს მინიშნებებს დააკვირდით. გადაავლეთ თვალი, თუ რისი მიღწევა შეძელით და რას ვერ მიაღწიეთ. გააცნობიერეთ ამის მიზეზები. ეს საშუალებას მოგცემთ ახალი ენერგიით აივსოთ, ახალი პერსპექტივები აღმოაჩინოთ და ბევრი მიმართულებით თქვენთვის სასურველი ცვლილებები განახორციელოთ. ურთიერთობებში ნუ იქნებით ხისტი და არადიპლომატიური, ეს საერთო მდგომარეობას გაგირთულებთ.

## თევზები

მოიმატებს თქვენი ენერგიულობა და მიზანსწრაფვა, ეს კი საშუალებას მოგცემთ, თავი გაართვათ ამ პერიოდში თქვენთვის მნიშვნელოვან ყველა გამოწვევას, თუმცა მოგიწევთ პრაქტიკულ ჭრილში დაინახოთ ყველა შესაძლო ცვლილება. ამასთანავე, კონკრეტული და პრაგმატული გეგმების შემუშავებაც აუცილებელი იქნება. მიუხედავად ბევრი მიმართულებით აქტიურობისა, შეეცადეთ, ფიზიკურად არ გამოიფიტოთ და არც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა დაგავიწყდეთ.

# მე რომ შემეძლოს...



ფოტო: გიორგი დადიანი

მე რომ შემეძლოს, საქართველოში ადამიანებს ერთმანეთს თავიდან შევაყვარებდი...

## ბახვა ბრეგვაძე

ტელეწამყვანი ბახვა ბრეგვაძე გვაცნობს თავის ჩამონათვალს, რას გააკეთებდა, ერთ დღეს ჯადოსნური უნარი რომ შეეძინა, რომელიც ყველა ოცნების ასრულებას შეაძლებინებდა...

მე რომ შემეძლოს, ჩვენს ქალაქში უშნო სახლებს გავაქრობდი და ზოგიერთი მათგანის მაგივრად ლამაზ შენობებს დავხატავდი და ავაგებდი...

მე რომ შემეძლოს, გამოვიგონებდი წამალს, რომელიც ყველა დაავადებას განკურნავდა და ამით, ალბათ, ყველაზე ბედნიერი ვიქნებოდი მეც და სხვებიც...

მე რომ შემეძლოს დროში მოგზაურობა, თითო თვეს გავატარებდი ჩემთვის საინტერესო ადამიანებთან ერთად, რომლებთანაც ბევრი კითხვა მაქვს...

მე რომ შემეძლოს, ვნახავდი, სად და როგორ არიან ის ადამიანები, რომლებიც ჩემთვის ძვირფასია და დღეს ჩემთან ერთად აღარ არიან... და ვისაც უკან დაბრუნება უნდა, ცხადია, წამოვიყვანდი...

მე რომ შემეძლოს, ვისაც ძალიან სურს რამე, აუცილებლად ავუსრულებდი...

მე რომ შემეძლოს, საქართველოში ადამიანებს ერთმანეთს თავიდან შევაყვარებდი...

მე რომ შემეძლოს, რა თქმა უნდა, საქართველოს გავამთლიანებდი...

მე რომ შემეძლოს, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ვილა ან სახლი მექნებოდა და ხან ვის წავიყვანდი, ხან ვის – მათთან ერთად დავისვენებდი და კარგ დროს გავატარებდი...

მე რომ შემეძლოს, ყველაზე მაგრად დავუკრავდი როიალზე, ყველაზე მაგრად ვითამაშებდი ჩოგბურთს და ყველაზე ლამაზ მუსიკას დავწერდი...

მე რომ შემეძლოს, ყველა ბავშვი უზომოდ ბედნიერი იქნებოდა... ვიცი, რასაც გავაკეთებდი ამისთვის...

მე რომ შემეძლოს, სიამოვნებით ვითამაშებდი ჩემი საყვარელი ხუთი რეჟისორის ფილმში, ძალიან მაგრად და ბევრ ჯილდოსაც მოვიპოვებდით, მეც და ისინიც...

მე რომ შემეძლოს, რა სატელევიზიო პროექტიც მაქვს თავში, ახალი, იქ – „ამერიკებში“ გავაკეთებდი და ძალიან კარგი გამოვიდოდა, უცხოელი და ქართველი სტუმრებით...

მე რომ შემეძლოს, ყველა კარგად იქნებოდა...






ფრენჩაიზინგი „უიქენდ მაქს მარა“: ჭავჭავაძის გამზირი 50, თბილისი, საქართველო WEEKENDMAXMARA.COM
WEEKEND
MaxMara